საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
17 მარტი **ხუთშაბათი** 2011
№ 062 (13 359) ფასი 60 თეთრი

საქართველოს ჩემპიონატი

# ტური კოლხური აქცენტებით



სოსო ფილია

## კოლხეთმა და ფილიამ ლიდერებს არ აწყენინეს: ქულები ორივეს აართვეს

2-3,5

ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი

# რეალმა ჯადო აიხსნა

**სამეფო კლუბი 2004 წლის შემდეგ პირველად გავიდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში**

| მეოთხედფინალისტები |
|---|
| მანჩესტერი |
| ტოტენჰემი |
| ბარსელონა |
| ჩელსი |
| რეალი |
| ინტერი |
| შახტარი |
| შალკე |

წილისყრა 18 მარტს ჩატარდება



9

ევროპის ლიგა. მერვედფინალების წინ

# ჯანო ჯერ მხოლოდ არბენინებს



9

დღეს მეოთხედფინალისტები გაირკვევა ევროპის ლიგაზე. **ჯანო ანანიძის** „სპარტაკმა“ „აიაქსთან“ მატჩის წინ ბოლო ვარჯიში ჩაატარა. ქართველმა ნახევარმცველმა ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშა - მოედნის გარშემო ირბინა და მეცადინეობა სხვებზე ადრე დაასრულა. თუმცა მოსკოვური კლუბის პრესცენტრის ცნობით, ჯანოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები არ აქვს - სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებით, მას უბრალოდ დატვირთვები შეუმსუბუქეს.



ზუგდიდელი ირაკლი ქობალია თამაშიდან უგოლოდ არ გამოდის

ს.კ. სპარტაკის პრესსამსახურის ფოტო

## ეს ბიჭი მართლა კარგად თამაშობს

2-3,5

სკანდალი

# ფინეთში ქართველი ფეხბურთელი დააკავეს



გუშინ დილით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფინურ ფეხბურთში დიდი სკანდალი აგორდა - მატჩების ჩაწყობაში ეჭვმიტანილი 6 ფეხბურთელი ამ ქვეყნის პოლიციამ დააკავა. პირველად ეს ინფორმაცია ფინურ ვებგვერდ მტვ3-ზე დაიწერა. 6-დან 4 ფეხბურთელი ფინეთის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონ, ვეიკაუსლიგაში გადასული „როვანიემის“ წევრია, თუმცა თავიდან გვარები არ სახელდებოდა.

სამწუხაროდ, ჩვენი შიში ნაშუადღევს „როვანიემის“ ოფიციალურმა ვებგვერდმა დაადასტურა - დაკავებულთაგან ერთ-ერთი ქართველი ლეგიონერი **პავლე ხორგუაშვილია**. აი, რას ვკითხულობთ „როვანიემის“ საიტზე:

„კლუბმა 4 დაჭერილი ფეხბურთელის გარეშე გააგრძელა ვარჯიში. პოლიციამ ზამბიელები **ჩანდა მვაბა, ჩილეშე ჩიბვე, ნჩიმუნია მვეეტვა** და ქართველი **პავლე ხორგუაშვილი** დააკავა. მათ, ისევე, როგორც ადრე დაჭერილ **კრისტოფერ მუსონდას,** გარიგებულ თამაშებში მონაწილეობის თაობაზე დაკითხავენ. მთავარმა მწვრთნელმა **ჯონ ალენმა** ჩვეულებისამებრ მისცა დარჩენილ ფეხბურთელებს ვარჯიშზე დავალებები, თუმცა ის ძალიან შეწუხებულია.

- მიუხედავად ასეთი რთული სიტუაციისა, უნდა განვაგრძოთ მუშაობა, თასის მატჩები კარს მოგვადგა და არც ლიგის სტარტია შორს. წარმოდგენაც არა მაქვს, რამდენი ფეხბურთელის იმედი უნდა მქონდეს იმ დროისთვის. პოლიციამ ჩემთვის განმარტების მოცემა არ ისურვა.

გუნდის გენერალური მენეჯერი **იოუკო კიისტალა** ამბობს: *„პოლიცია დეტალებს არ ახმაურებს. შეიძლება, პარასკევს, რაღაც გაირკვეს“.* პოლიციის დეპარტამენტის შეფი **იუკა ლაკალა** ადასტურებს, რომ „როვანიემის“ 4 ფეხბურთელი დაკავებულია. ჯერჯერობით იმის თქმაც არ შეგვიძლია ზუსტად, დაკავებულები ეჭვმიტანილები არიან თუ მათ წინააღმდეგ საქმე ჯერ არ აღძრულა. ფინეთის პოლიცია შარშანდელი ლიგის 10 საეჭვო მატჩს იკვლევს.

შეგახსენებთ, რომ შარშან იკონენლიგაში პირველ ადგილზე გასულ გუნდში ორი ქართველი ირიცხება, ტყუპი ძმები პავლე და **ვალტერ ხორგუაშვილები**. 23 წლის პავლე შემტევი ნახევარმცველია. გასულ სეზონში მან 24 თამაშში 10 გოლი გაიტანა. მისი ძმა ვალტერი უფრო დაცვით ფუნქციებს ასრულებს - 16 თამაში, 1 გოლი. დაკავებულნი არიან „როვანიემის“ შარშანდელი შემადგენლობის ლიდერები: მვეეტვამ 13 გოლი გაიტანა, მუსონდამ - 8, ჩიბვემ - 9 და მვაბამ - 6. ჯამში „როვანიემის“ 5 დაკავებულზე მოდის 46 გოლი (61-დან).

პავლე ხორგუაშვილი შარშან იკონენლიგის ბომბარდირთა დავაში მე-5 იყო. გორელი ფეხბურთელი ადრე მოლდოვაში გამოდიოდა („შერიფის“ მეორე გუნდში), შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, სადაც ფინეთში წასვლამდე „გაგრას“ ღირსებას იცავდა. პავლემ ახლახან, 6 მარტს ფინეთის ლიგის თასზე „ოულუსთან“ გასვლით მატჩში (0:1) გამარჯვების გოლი გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ეროვნული ნაკრები

# ვოლგა ვანაძეს ვიზის გამო ვერ უშვებს

## ქეცბაიამ ოლიმპიდან მოდებაძე დაიმატა

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა გამოაქვეყნა იმ მოთამაშეთა სია, რომლებიც 26 მარტის საქართველო-ხორვატიის ნაკრებთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის მოემზადებიან. ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის **თემურ ქეცბაიას** შერჩეულ 23 ფეხბურთელს შორის იყო ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" 22 წლის თავდამსხმელი **მათე ვანაძე**, მაგრამ შევიტყვეთ, რომ იგი ნაკრების შეკრებაზე ვერ ჩამოდის. მისგან განსხვავებით, შეკრებაზე ჩამოდიან ნიჟნინოვგოროდელთა ვიცე-კაპიტანი **ოთარ მარცვალაძე, გოგიტა გოგუა და ლაშა სალუქვაძე.** ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, ისინი ერთ გუნდში თამაშობენ და ვანაძე თუ ვერ მოდის, დანარჩენი ვოლგელები ამას როგორ ახერხებენ?



მათე ვანაძე

კომენტარისთვის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორს **ნიკა ჩხეიძეს** დავუკავშირდით:

- მათეს ვიზის პრობლემა შეექმნა. ეს არის ყველაფრის თავი და თავი. საქმე ისაა, რომ რუსეთში სამუშაო ვიზის ალება საქართველოს მოქალაქეებისთვის საკმაოდ გაძნელდა. მათემ რუსეთის დროებითი სამთვიანი სამუშაო ვიზა კი მიიღო, მაგრამ საქართველოს ნაკრების შეკრებაზე ჩამოსვლის, ანუ რუსეთიდან გასვლის შემთხვევაში უკან ველარ დაბრუნდებოდა და რუსეთის ვიზის ხელახლა ალება დასჭირდებოდა. სწორედ ამის გათვალისწინებით გვთხოვეს „ვოლგას" ხელმძღვანელებმა, ვანაძე არ გამოგვეძახებინა. სხვაგვარად, მას კიდევ დიდხანს დასჭირდებოდა ვიზის ლოდინი და საწვრთნელ პროცესს ჩამოშორდებოდა. სხვათა შორის, მსგავსი პრობლემა ექმნებოდა ადრე ოთარ მარცვალაძეს, გემახსოვრებათ, რამდენჯერმე შეკრებაზე ისიც ვერ გამოცხადდა.

**- რუსეთში მოთამაშე სხვა ქართველები როგორ მოდიან შეკრებაზე?**

- რუსეთში ხანგრძლივი სამუშაო ვიზის ასალებად რთული პროცედურის გავლაა საჭირო. კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, ფეხბურთელს ჯერ დროებით ვიზას აძლევენ, ერთწლიანს კი მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ. ვანაძე ახლახან ჩაირიცხა „ვოლგაში", სხვები კი დიდი ხანია, რუსეთში თამაშობენ და პრობლემა ამიტომ არ შეჰქმნიათ.

**- ვანაძის ნაცვლად ქეცბაიამ ვინ გამოიძახა?**

- ქეცბაიამ ვანაძე რუსთავის „ოლიმპის" თავდამსხმელ ირაკლი მოდებაძით შეცვალა.

**- ნაკრების შეკრება როდის დაიწყება?**

- 20 მარტს ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ "ბასაში". ბაზაზე მდებარე ცენტრალურ მოედანზე ახალი ბალახის საფარი უკვე დაგებულია, საცხოვრებელი კორპუსი გარემონტებულია, შენობა სამშენებლო მასალისგან გასუფთავდა და 20 მარტისთვის ნაკრების მისაღებად სრულ მზადყოფნაში იქნება.

ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები "ბასაზე" 20 მარტს შეიკრიბებიან, ლეგიონერები კი მოგვიანებით ჩამოფრინდებიან. მაგალითად, "ვოლგა" 21 მარტს მოსკოვის "სპარტაკს" ხვდება და ნიჟნინოვგოროდულ კლუბში მოთამაშე ნაკრების წევრები იმავე დღეს მოსკოვიდან გამოემგზავრებიან, სრული შემადგენლობით კი გუნდი 22 მარტს შეიკრიბება.

**მერაბ მამულაშვილი**

● სიტუაცია

# აკაკი გოგია: გმადლობთ, მაგრამ გერმანიის ნაკრებში ვთამაშობ

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ გაბელიამ** 36-კაციანი გაფართოებული სიიდან საბოლოოდ შეარჩია ის 20 მოთამაშე, რომლებსაც ავსტრიაში საერთაშორისო ოთხთა ტურნირზე წაიყვანს.

გერმანიის ბუნდესლიგელი "ვოლფსბურგის" შემტევი ნახევარმცველი **აკაკი გოგია** შეკრებაზე არ ჩამოდის. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, მან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშზე უარი თქვა.

*"ავსტრიის ოთხთა ტურნირზე გამგზავრების წინ ოთარ გაბელიამ ნაკრებში ოფიციალურად მოიწვია გერმანული „ვოლფსბურგის" ფეხბურთელი აკაკი გოგია. საპასუხოდ, სფფ-ში მოვიდა გოგიას წერილი, სადაც ის ამ ეტაპზე საქართველოს ნაკრებში თამაშზე უარს ამბობს"* – იუწყება სფფ-ს პრესსამსახური.

კომენტარი ფედერაციის ტექნიკურმა დირექტორმა **ნიკოლოზ ჩხეიძემ** გააკეთა: *"აკაკი გოგიასგან მივიღეთ წერილი, გვატყობინებს, რომ ამ ეტაპზე თავს იკავებს საქართველოს ნაკრებში თამაშისგან, რადგან გერმანიის 20-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში გამოდის. თუმცა სფფ გააგრძელებს მუშაობას, გოგიამ საქართველოს ნაკრებში სამომავლოდ მაინც რომ ითამაშოს".*



აკაკი გოგია

**მერაბ მამულაშვილი**

16.03. ფოთი. ფაზისი. 1000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| **კოლხეთი** | **0** |
| **ოლიმპი** | **0** |

| კოლხეთი 4-4-1-1 | ოლიმპი 4-1-3-1-1 |
|---|---|
| ძაგანია | ბათიაშვილი |
| ცხვიტარია | დობროვოლსკი |
| ინწკირველი | რეხვიაშვილი |
| მახვილაძე | კვახაძე |
| გელაჭეიშვილი | ჯაფარიძე |
| სიჭინავა | რაზმაძე |
| გავაშელიშვილი | ი. მაისურაძე |
| გოგონაია | დ. ბოლქვაძე |
| გულუა | გენაძე |
| გვალია | პაველიაშვილი |
| მდივნიშვილი | მოდებაძე |
| მწვრთნელი ს. ფილია | მწვრთნელი თ. მაისურაძე |

**კოლხეთი**

35. მდივნიშვილი - **სამადაშვილი**
70. სამადაშვილი - **წიქარიშვილი**
88. სიჭინავა - **მეგრელიშვილი**
*სათადარიგოები: ლობჟანიძე, კვერენჩხილაძე, მოისწრაფიშვილი, ბარამიძე*

**ოლიმპი**

46. გენაძე - **ქავთარაძე**
69. მაისურაძე - **იაშვილი**
*სათადარიგოები: ბედიაშვილი, გ. ჭელიძე, მურველაშვილი, გ. გორდეზიანი, ქემოკლიძე*

გაფრთხილება: სიჭინავა (85), ცხვიტარია (89)
არბიტრი: ლ. სილაგავა (თბილისი)

# ფაზისური კომპლიმენტი: ზესტაფონი, გშორდები...

## ფოთი, რა თქმა უნდა, კმაყო-ფილია: კოლხეთი ლიდერთა რისხვად იქცა!

... მატჩის ბოლო დამატებით წუთზე, კოლხ **გულუას** ჩინებული შანსი მიეცა და მისთვის სიზუსტეს რომ არ ემტყუნა, „კოლხეთი" ზედიზედ მეორე სენსაციას შემოგვთავაზებდა. ფოთელებმა პატარა სასწაული ფრითაც მოახდინეს, თუმცა სულ ბოლო წამებზე წაგებისგან გადარჩენას იღბალს, „ოლიმპის" ფორვარდების უხეირო თამაშს და განსაკუთრებით მეკარე **ძაგანიას** უნდა უმადლოდნენ — გოლკიპერმა ხუთიოდ მეტრიდან დარტყმული მოიგერია და მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულმა ნამატჩევს „კოლხეთის" მხარდამჭერი ერთ-ერთი ბიზნესმენისგან 500-ლარიანი პრემიაც სამართლიანად დაიმსახურა.

... გუშინ „ფაზისზე" **სოსო ფილია** დაბრუნდა. გამოცდილმა სპეციალისტმა „კოლხეთს" იმედი, ხოლო ჩემპიონატს ინტრიგა გაუღვივა. „რა გინდათ, თქვენამდე ხომ „ზესტაფონსაც" დავაკარგვინეთ ქულები" — ხუმრობით „ამშვიდებდა" ნამატჩევს სტუმართა თავკაცებს კოლხთა მწვრთნელი.



სოსო ფილია

მართალია, გუშინ ფოთელებს ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტიათ, მაგრამ „ოლიმპს" ამ სეზონში უკვე მეორედ დააკარგვინეს ქულები და ისიც დაგვანახვეს, რომ „კოლხეთი" ხელწამოსაკრავი არავისთვის იქნება. შესაძლოა, უფულო და აუტსაიდერ გუნდს ლიდერთან გაუმართლოს, მაგრამ, მოგეხსენებათ, ყარაულის თოფი მხოლოდ ერთხელ ვარდება — ფოთელებმა კი გუშინ მეორედ „გაისროლეს" და ქულები კიდევ ერთ ლიდერს აართვეს. ჰოდა, წარმოიდგინეთ, ამის შემდეგ ვინ უნდა ელოდეს ფოთელებთან იოლ თამაშს, როცა თვით გათამაშების ლიდერებს ზედიზედ ორ შეხვედრაში აწაპნეს უმნიშვნელოვანესი ქულები. თანაც ამ ქულებს მათთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

თავად შეხვედრა დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მოლოდინისამებრ, სათამაშო კლასში სტუმრების უპირატესობა შეიმჩნეოდა, რასაც მასპინძლებმა დიდი მონდომება დაუპირისპირეს. სახიფათო მომენტებსაც უმეტესად „ოლიმპი" ქმნიდა, თუმცა ყველა შემთხვევაში საიმედოდ ირჯებოდა კოლხთა კარის დარაჯი. იშვიათად, მაგრამ გატანის შანსი ფოთელებსაც ეძლეოდათ. რაც დრო გადიოდა, აშკარა ხდებოდა, რომ „კოლხეთი" ფრეზეც ყაბულს იყო. მათგან განსხვავებით, რუსთაველები მხოლოდ მოგებაზე ფიქრობდნენ - შეტევაშიც აქტიურად ერთვებოდნენ და მათ კართან ხიფათი უმეტესად სწორედ ამიტომ იქმნებოდა.

სულ ბოლოს კი იყო ის ორი მომენტი, 3 ქულის მოტანა ორივე გუნდისთვის რომ შეეძლო. განსაკუთრებით გამორჩეული „ოლიმპის" კონტრშეტევა გამოდგა, რომლის გაცუდებამ აღშფოთებული რუსთაველების მხრიდან ერთი სათადარიგო სკამი შეიწირა. უკმაყოფილებას ნამატჩევს ოლიმპელებიც გამოხატავდნენ. სავარაუდოდ, მსაჯების მიმართ, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სილაგავასა და კომპანიას მათთვის ამის საფუძველი ნამდვილად არ მიუციათ.

**მატჩის შემდეგ**

**არმაზ ჯელაძე („ოლიმპი"):** „ასეთ მინდორზე თამაში არ შეიძლება! ეს თამაშის ხარისხზეც აისახა. დაძაბული მატჩი იყო, მომენტები შევქმენით, მეტოქესაც ჰქონდა შანსი, მაგრამ ასეთ მოედანზე რაიმე ხარისხზე ლაპარაკი ზედმეტია".

**სოსო ფილია („კოლხეთი"):** „შედეგით და თამაშით კმაყოფილი ვარ. გასაგები მიზეზების გამო, მე ვერ მოვთხოვ გუნდს იმას, რაც უმაღლესლიგელს მოეთხოვება. თავდასხმაში პრობლემები გვაქვს, სამიდან არც ერთია მზად, მთელი თამაში დაიტვირთოს, ამიტომაც თითოეულს 30-30 წუთი მივეცით. რაც მთავარია, ბიჭებს აქვთ მონდომება. ასეთი მონდომებული გუნდი არასდროს მყოლია და მადლობას ვუხდი ბესო შეროზიას, ასეთი კარგი ბიჭები რომ შეკრიბა. დღეს იღბალი ჩვენკენ იყო, თუმცა მოგებაც შეგვეძლო. კოლეგას ვეთანხმები, მინდვრის საფარი ცუდია, მაგრამ ამას გამოვასწორებთ - კლუბში მოვიდა ხალხი, რომლებიც ამ პრობლემას მიხედავენ".

**მამუკა ქანთარია**
ფოთიდან
ავტორის ფოტო

16.03. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე. 450 მაყურებელი

| | |
|---|---|
| **ბაია** | **2** |
| **სპარტაკი** | **0** |

1:0 ქობალია (13), 2:0 აფაქიძე (28)

| ბაია 4-4-2 | სპარტაკი 4-2-3-1 |
|---|---|
| სომხიშვილი | ხომერიკი |
| აფაქიძე | ალავიძე |
| აქუბარდია | ბოიომო |
| რ. ონიანი | ტეტუნაშვილი |
| გამრეკლიძე | ოთარაშვილი |
| რიგვავა | მგელაძე |
| სიხარულია | მამუჩიშვილი |
| ვართაგავა | კილასონია |
| შ. ლომია | ვ. ბოლქვაძე |
| ეხვაია | თუხარელი |
| ქობალია | მეტრეველი |
| მწვრთნელი ე. ქომეთიანი | მწვრთნელი გ. კვარაცხელია |

**ბაია**

46. ეხვაია – **წურწუმია**
79. ლომია – **გ. ქირია**
89. ქობალია – **კუკავა**
*სათადარიგოები: მაქაცარია, ქვარცხავა, სვირავა, ჩანგელია*

**სპარტაკი**

32. ტეტუნაშვილი – **დეკანოიძე**
46. თუხარელი – **მ. ბარაბაძე**
74. მგელაძე – **მ. ჯიშკარიანი**
*სათადარიგოები: დაუშვილი, კაკაშვილი, ნარიმანიძე, დ. ლობჟანიძე*

გაფრთხილება: კილასონია (74), აფაქიძე (90)
არბიტრი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

# ხომ ვამბობდი!

## ქომეთიანმა ქობალია ნამდვილად იწინასწარმეტყველა

სატურნირო ცხრილის ქვედა ხუთეულში მართლაც საინტერესო ვითარებაა. აქედან გამომდინარე, შეხვედრა პრინციპულ ხასიათს ატარებდა. მატჩის დაწყების წინ ორივე კლუბის ხელმძღვანელები აცხადებდნენ, რომ მხოლოდ სამი ქულა იყო მათი მიზანი. "ბაიას" თავკაცმა წინა ორ ტურში განცდილი მარცხის შემდეგ ნაცად ხერხს აღარ მიმართა და პირველად ათამაშა გუნდი ორი თავდამსხმელით. სტუმრებს კი წინა ხაზზე მხოლოდ **ზვიად მეტრეველი** ჰყავდათ გამწესებული. "სპარტაკი" ზუგდიდში დანაკლისით ჩამოვიდა. ტრავმის გამო ცხინვალელებს **გრიშიკაშვილი, ჭაფოძე** და **შონია** ვერ დაეხმარნენ, მაგრამ, ალბათ, არსებული კონტინგენტითაც შიდაქართლელებისგან კლუბის ხელმძღვანელობა სხვა თამაშს ელოდა.

მატჩი მასპინძელთა აშკარა უპირატესობით დაიწყო და "ბაია" უკვე მე-**13** წუთზე დაწინაურდა. ზუგდიდელებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, **სიხარულიამ** გრძელი გადაცემით **აფაქიძე** მოძებნა, მან კი გამჭოლი პასით - **ირაკლი ქობალია.** ზუგდიდელთა ფორვარდის გოლი ცალკე აღნიშვნის ღირსია: მან ყველას დაასწრო და თავური დარტყმით ჩინებული ბურთი გაიტანა. გოლის შემდეგ მასპინძლებმა გაილაღეს და რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნეს. მასპინძელთაგან ხიფათს ძირითადად **ეხვაია-ქობალიას** დუეტი ქმნიდა, თუმცა ფლანგიდან **ლომიაც** არანაკლებ აქტიურობდა და მეორე გოლიც სწორედ მის მიერ შესრულებულ კუთხურს მოჰყვა. 28-ე წუთზე თავი "ბაიას" მცველმა აფაქიძემ გამოიჩინა და მანაც თავით გაიტანა. რამდენიმე წუთში ქობალია დუბლსაც გაიფორმებდა, თუმცა ცაციათი უძლიერესად დარტყმულმა ბურთმა მეტოქის კარს სანტიმეტრებში ჩაუქროლა. ამ ეპიზოდიდან ორ წუთში ლომიამ ქობალია მეკარეს პირისპირ შეატოვა, მაგრამ მას **ბოიომომ** დაასწრო და ბურთი ფეხიდან ააცალა. პირველი ნახევრის ბოლოსკენ უკვე ქობალიამ გაიყვანა ლომია დასარტყმელ პოზიციაზე, თუმცა ზუგდიდელთა ნახევარმცველმა კარის ჩარჩოს მცირედით ააცილა.

მეორე ტაიმი სტუმრებმა თითქოს რიხიანად დაიწყეს და თამაშიც დაალაგეს, მაგრამ საქმე გოლამდე არ მისულა. ჯერ **ბოლქვაძემ** დაარტყა შორიდან, შემდეგ შეცვლაზე შესულმა **ბარაბაძემ** გაისროლა კარისკენ, თუმცა მიზანს ორივე ასცდა. სტუმართა აქტიურობას მასპინძლებმაც კონტრშეტევით უპასუხეს და კვლავ ქობალიამ გაიბრწყინა თავური დარტყმით, თუმცა მსაჯმა ორთაბრძოლისას თავად გოლის ავტორი დააჯარიმა.

>> მე-3 გვერდზე

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

16.03. ბოლნისი. თ. სტეფანია
800 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სიონი | 0 |
| დინამო | 2 |

0:1 ხმალაძე (45. პენ), 0:2 ჯუსი (88)

| სიონი 4-3-2-1 | დინამო 4-2-3-1 |
|---|---|
| ბობლიაშვილი | ლორია |
| კობაური | თ. ლონლაძე |
| ორბელაძე | კაკუბავა |
| დ. ლომაია | ჰომოლა |
| ქორიძე | ხმალაძე |
| ნოზაძე | ჰაჯიბულიჩი |
| გოგოპერიშვილი | არზიანი |
| გ. ოქროპირიძე | რობერტინიო |
| ისიანი | კოშკაძე |
| ჩირიკაშვილი | კახელიშვილი |
| რ. ჯიქია | იელიჩი |
| მწვრთნელი გ. ყიფშიძე | მწვრთნელი კ. კაჭარავა |

**სიონი**

44. ჩირიკაშვილი – **ლეგაშვილი**
66. ისიანი – **რეხვიაშვილი**
72. ორბელაძე – **გ. თარგამაძე**

*სათადარიგოები: სვანიძე, მ. ოქროპირიძე, გ. მელქაძე, ნ. კვასხვაძე.*

**დინამო**

46. რობერტინიო – **ჯუსი**
61. კახელიშვილი – **კვეკვესკირი**
85. იელიჩი – **ტატანაშვილი**

*სათადარიგოები: ზარქუა, მაროვიჩი, ციმაკურიძე, ფირცხალავა.*

გაფრთხილება: **ორბელაძე (40), ნოზაძე (44), კობაური (45), რობერტინიო (45), იელიჩი (54), ჯიქია (80), არზიანი (79)**

გაძევება: **ბობლიაშვილი (44)**

არბიტრი: **ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)**

# ეპიზოდი, რომელმაც სიონი ძალიან დაამძიმა



მეკარე მინდია ბობლიაშვილი გაძევების შემდეგ

ეპიზოდი, რომელმაც მატჩის მიმდინარეობასა და შედეგზე ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა, პირველი ტაიმის მიწურულს მოხდა. "სიონის" მეკარე **მინდია ბობლიაშვილი** ბურთს დაეუფლა და მის თამაშში შეყვანასაც აპირებდა, მაგრამ მანამდე რატომღაც, დინამოელი **პეტარ იელიჩისთვის** ფეხის მირტყმა გადაწყვიტა. არბიტრმა **ლევან კვარაცხელიამ** მართებული გადაწყვეტილება მიიღო, ბობლიაშვილი მოედნიდან გააძევა და მასპინძელთა კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა. **ლევან ხმალაძემ** "დინამო" დააწინაურა და არცთუ შთამბეჭდავი თამაშის მიუხედავად, დედაქალაქელებს ბოლნისიდან დაგეგმილი სამი ქულის წაღება დიდად აღარ გასჭირვებიათ.

ბობლიაშვილის უპასუხისმგებლო საქციელმა "სიონი" მხოლოდ გუშინ კი არა, შემდეგი მატჩებისთვისაც აზარალა. ბოლნისელთა კიდევ ერთი მეკარე, გამოცდილი **მირზა მერლანი** წინა ტურში მძიმედ დაშავდა და, სავარაუდოდ, ამ სეზონში ველარ ითამაშებს. ბობლიაშვილს, ალბათ, ორმატჩიან დისკვალიფიკაციას მიუსჯიან და "სიონი", რომელსაც უმაღლესი ლიგიდან გავარდნის რეალური საფრთხე ემუქრება, "ზესტაფონსა" და "ოლიმპთან" ურთულეს შეხვედრებში 18 წლის **დავით ლეგაშვილის** იმედად იქნება. ლეგაშვილი, რომელიც გულშემატკივარს **გიორგი დევდარიანის** ფორმაციის 17-წლამდელთა ნაკრებიდან უნდა ახსოვდეს, გუშინ პირველად მოხვდა "სიონის" მთავარი გუნდის 18-კაციან განაცხადში და უმაღლესლიგური დებიუტიც გამოუვიდა.

"სიონმა" დისკვალიფიკაციის გამო კაპიტანი **გივი დიდავა** მოისაკლისა, "დინამოს" ტრავმების გამო **შოთა კაშია** და **გულვერდ თომაშვილი** დააკლდნენ, **გივი კვარაცხელია, ედნილსონი** და **გიორგი თექთურმანიძე** კი კონკურენციის გამო განაცხადს მიღმა დარჩნენ. "დინამოს" ძირითადი შემადგენლობა გასული ტურის თერთმეტეულის იდენტური იყო.

მზიან ამინდში არცთუ ურიგო სანახაობა გაჩაღდა. მეტოქის ფაქტორიდან გამომდინარე, სიონელებს განსაკუთრებული მოტივაცია ეტყობოდათ, ჩემპიონობისთვის მებრძოლი "დინამოსთვის" კი თითოეულ შეხვედრას ისედაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ტაიმის ბოლოს მომხდარ უსიამოვნო ამბამდე მასპინძლები სტუმრებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ და ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა ორივეს ჰქონდა.

მატჩი ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო და თამაშში ჩართვა მეკარეებს თავიდანვე მოუხდათ. **რევაზ ჯიქიას** დარტყმა **გიორგი ლორიამ** კუთხურზე მოიგერია, ბობლიაშვილმა კი მასთან პირისპირ გასულ **ალექსანდრე კოშკაძეს** აჯობა. მოვლენებს გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ "დინამოს" შემადგენლობაში ყველაზე შემოქმედებითად სწორედ იგი თამაშობდა. თბილისელთა კაპიტანი თამაშსაც ხშირად ამწვავებდა და ხისტ ორთაბრძოლებშიც იმარჯვებდა.

ტაიმის ბოლომდე მეტოქეებმა კიდევ ორი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი გაცვალეს. "სიონის" შემადგენლობიდან გატანა **ვილი ისიანსა** და **ალექსანდრე გოგობერიშვილს** შეეძლოთ, "დინამოს" რიგებიდან კი კოშკაძესა და **გიორგი კახელიშვილს.**

დაახლოებით მე-20 წუთიდან თამაშის ტემპი ოდნავ დაეცა და აღარც ველოდით, რომ შესვენებამდე რაიმე საინტერესო მოხდებოდა. თუმცა ბობლიაშვილის გაძევებასა და პენალტს გარკვეული ვნებათაღელვა მოჰყვა. "სიონის" ფეხბურთელებმა მსაჯის გადაწყვეტილება აქტიურად გააპროტესტეს, გულშემატკივრებმა კვარაცხელიასა და მის ბრიგადას ობსტრუქცია მოუწყვეს, მაგრამ, საბედნიეროდ, არბიტრს თამაშის სადავეები ხელიდან არ გაჰქცევია.

ბოლო ტურებში აშკარად ჩანდა "სიონის" არასახარბიელო ფიზიკური მომზადება და თითქოს კაცნაკლული გუნდი მეორე ტაიმში უშანსოდ იყო დარჩენილი, მაგრამ გადიოდა დრო და **კახა კაჭარავას** გუნდი მოპოვებული უპირატესობის განმტკიცებას ვერ ახერხებდა. "დინამო" ჯერჯერობით ვერ აჩვენებს იმ ფეხბურთს, რასაც მისი ქომაგები ელიან, მაგრამ თბილისელებმა სასურველ შედეგს მიაღწიეს და თამაშის ხარისხის გამოსწორების რესურსიც ნამდვილად გააჩნიათ.

"სიონმა" წონასწორობის აღდგენა რამდენიმეჯერ სცადა. მასპინძელთაგან ყველაზე გამორჩეული ჯიქია გახლდათ და შესაძლებელი იყო, მისი შორეული დარტყმები შედეგიანი გამომდგარიყო. მან პირველად ლამის ცენტრიდან დაარტყა ოდნავ არაზუსტად, შემდეგ კი მისი ძლიერი დარტყმა ლორიამ მოიგერია.

მატჩის მიწურულს ქვემოქართლელებს გადამწყვეტი შტურმისთვის ენერგია აღარ ეყოთ, "დინამო" კი წინ თამამად წავიდა. იელიჩმა მეკარესთან ერთი-ერთზე გაიყვანა შეცვლაზე შესული **ნიკა კვეკვესკირი**, რომელმაც მიზანს ააცილა, წერტილი კი კიდევ ერთმა შემცვლელმა, გოლამდეც აქტიურმა **დონალდ ჯუსმა** დასვა. კამერუნელმა ხმალაძის წამოწყებული და **დიმიტრი ტატანაშვილის** გაგრძელებული კომბინაცია დააგვირგვინა.

გასახდელისკენ მიმავალ მსაჯებს ბოლნისელმა ქომაგებმა უწმაწური სიტყვები მიაწიეს, თუმცა, საბედნიეროდ, საქმე ამის იქით აღარ წასულა – ბოლნისში ყველაფერი მშვიდობიანად და ლოგიკურად დასრულდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ბოლნისი-თბილისი
ავტორის ფოტო

# ვიტ ჯორჯია ნაცნობ გზაზე
## მუდამ კორექტულ გიგატაძეს მსაჯებზე აზრი არ შეუცვლია

16.03. თბილისი. შატილი (თემქა).
800 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 2 |
| ტორპედო | 1 |

1:0 კორიფაძე (7), 2:0 ჩიმაკაძე (10. ჯანელიძის პასით), 2:1 მეგრელაძე (74)

| ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 | ტორპედო 4-1-3-2 |
|---|---|
| ა. მიქაბერიძე | მიგინეიშვილი |
| ხურცილავა | ფოფხაძე |
| ადამაძე | თოდუა |
| კასრაძე | ფარულავა |
| ჭანკვეტაძე | ჩიკვილაძე |
| გურ. გურეშიძე | დილმელაშვილი |
| ვასაძე | გ. სეთურიძე |
| ბეჭვაია | ქებაძე |
| ჯანელიძე | დათუნაიშვილი |
| კორიფაძე | საბანაძე |
| ჩიმაკაძე | მეგრელაძე |
| მწვრთნელი მ. კოჭლაშვილი | მწვრთნელი გ. გიგატაძე |

**ვიტ ჯორჯია**

80. ჩიმაკაძე - **როსტიაშვილი**
82. კორიფაძე - **ზაქრაძე**
86. ბეჭვაია – **გოგიაშვილი.**

*სათადარიგო: ძაძამია, ლობჟანიძე, გაბრიჭიძე, გიორგი გურეშიძე.*

**ტორპედო**

46. ფოფხაძე – **დოლიძე**
46. დათუნაიშვილი - **თარხნიშვილი**
46. საბანაძე – **კვარაცხელია**

*სათადარიგოები: ქვილითაია, გუგუჩია, მაჭავარიანი, გოცირიძე*

გაფრთხილება: **დათუნაიშვილი (17), დილმელაშვილი (50), მიქაბერიძე (65)**

არბიტრი: **თ. გვანცელაძე**

წლები გადის და "ვიტ ჯორჯია" არ იცვლება: გუნდი ყოველ მესამე წელიწადს ლიდერებს ელევა, მაგრამ მალე მათ შემცვლელებს იოლად პოულობს და, რაც მთავარია, მნიშვნელოვნად თითქმის არ დასუსტებულა. ვინ წარმოიდგენდა, რომ ლამის ყველა შარშანდელი ლიდერის წასვლის შემდეგ გუნდი მაინც ევროთასების საგზურისა და სამეულში მოსახვედრად თუ იბრძოლებდა? არადა, გუშინ "ვიტ ჯორჯიამ" ჩემპიონატში ზედიზედ მეხუთე შეხვედრა მოიგო. ეს გამარჯვება იმით იყო ფასეული, რომ თბილისელებმა უშუალო კონკურენტი დაამარცხეს.

თამაში ლამაზიც გამოდგა და დაძაბულიც. მაყურებელმა იხილა გოლები, გამოუყენებელი მომენტები, მოულოდნელი და დრამატული ეპიზოდები, ხისტი ორთაბრძოლები...

მეტოქეები მატჩის მნიშვნელობას კარგად აცნობიერებდნენ და შეხვედრა ორმხრივი შეტევებით დაიწყო, მაგრამ მასპინძლებმა "ტორპედოს" თავიდანვე მიაყენეს მტკივნეული დარტყმა და თამაშის ბედიც ამ დროს გადაწყვიტეს.

ანგარიში თამაშის მე-7 წუთზე გაიხსნა: **გიორგი კორიფაძე** მარცხენა ფლანგზე ორ მეტოქეს მშვენიერი ფინტებით გაექცა და უზუსტესი დარტყმით ბურთი კარში გაახვია - 1:0.

სულ რაღაც სამ წუთში ვიტჯორჯიელებმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს, **გიორგი ჯანელიძემ** მშვენიერი გადაცემით **ბესიკ ჩიმაკაძე** მეკარესთან პირისპირ დატოვა და მანაც ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა – 2:0.

გოლის შემდეგ თავის გამოჩენა შეეძლო **გიორგი ვასაძეს**, მაგრამ მისი გასროლილი ბურთი კარს მცირე მანძილით ასცდა.

ცხადია, სტუმრებისთვის ასეთი დასაწყისი მოულოდნელი აღმოჩნდა, მაგრამ გონს დროულად მოეგნენ, "ვიტ ჯორჯიას" მთელი ძალებით შეუტიეს და რამდენიმე მწვავე იერიშიც განახორციელეს: **ლაშა ქებაძეს** ახლო მანძილიდან ანგარიშის შემცირება შეეძლო, მაგრამ ბურთს **დავით ხურცილავა** გადაელობა და მასპინძლები გადაარჩინა.

25-ე წუთზე მთავარ მსაჯ **თორნიკე გვანცელაძის** გადაწყვეტილებამ სტუმართა უკმაყოფილება გამოიწვია: კუთხურის მოწოდების შემდეგ **გიორგი დათუნაიშვილმა** თავური დარტყმით გაიტანა, მაგრამ არბიტრმა წესების დარღვევა დააფიქსირა.

29-ე წუთზე უკვე "ვიტ ჯორჯია" დარჩა უკმაყოფილო, რადგან მეკარესთან პირისპირ გასული კორიფაძე მცველთან ბრძოლაში წაიქცა, მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ უშედეგოდ.

» მე-6 გვერდზე

BG Bet Guru
http://bet.goli.ge
სრულიად უფასოდ !!!

ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი ?
გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე !

- თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
- Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
- სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

« მე-2 გვერდიდან

# ხომ ვამბობდი!



ს.კ. სპარტაკის პრესსამსახურის ფოტო

მალე ქობალიამ შორიდან უძლიერესი დარტყმით ხარიხა შეაზანზარა და მაყურებელთა ოვაციებიც დაიმსახურა. ცხინვალელებს არც მეორე ტაიმში მიუყვანიათ საქმე შედეგამდე, თუ არ ჩავთვლით **ბარაბაძის** გოლს, რომელიც მან მსაჯის სასტვენის შემდეგ თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანა, რის გამოც არბიტრს კინაღამ ყვითელი ბარათიც გამოსტყუა. "ბაიამ" 2:0 მოიგო და მოპოვებული სამი ქულით სატურნირო მდგომარეობაც გაიუმჯობესა.

**მატჩის შემდეგ**

**ბადრი კვარაცხელია (სპარტაკი):** "ბოლო სამი თამაშია, საკუთარ გუნდს ველარ ვცნობ. პირველ ტაიმში რას აკეთებდნენ ჩემი ფეხბურთელები, ვერ გამირკვევია. განვიხილავთ ამ მატჩს და სათანადო კორექტივებს აუცილებლად შევიტანთ. რაც შეეხება მეტოქე გუნდს, მათ სასურველ შედეგს ბრძოლით მიაღწიეს და ვულოცავ წარმატებას".

**ელგუჯა ქომეთიანი (ბაია):** " საჭირო სამი ქულის გარდა ისიც მიხარია, რომ ჩემი სიტყვა მართლდება და **ქობალია** სეზონის აღმოჩენა ხდება. ჩვენს გუნდში დავალება აბსოლუტურად ყველა რგოლმა ჩინებულად შეასრულა.".

**ლაშა გოგილავა**
ზუგდიდიდან

დინამოელებო – გაერთიანდით!
დინამოს გვერდით ყოფნა უკვე საამაყოა!
აქ 90 წუთი თავდადებაა!
გაწევრიანება – უფასოა
გულშემატკივრობა – სავალდებულო!
ჩვენ ვართ დინამო!
ჩვენ ვართ გლადიატორები!

დინამოს ფან-კლუბში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, ვისაც უყვარს ჩვენი გუნდი და შეუძლია 90 წუთის განმავლობაში დინამოს მე-12 ფეხბურთელად იქცეს. ფან-კლუბის წევრები უზრუნველყოფილნი იქნებიან მატჩზე დასასწრები ბილეთებით და ტრანსპორტირებით გასვლით მატჩებზე. გამორჩეულ ფანებს გადაეცემათ კლუბის მაისურები და სხვა ატრიბუტიკა.

დაგვიკავშირდით: 893 35-80-14 874 77-77-84

## ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი | პირველი ლიგა

# ძველ-ახალი სახელები

**უმაღლეს ლიგაში გადამწყვეტი მატჩებია და სეზონის ფინიში მართლაც დიდ ინტრიგას გვპირდება; არანაკლებ საინტერესოდ მიმდინარეობს პირველი ლიგის გათამაშებაც და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ, ფაქტობრივად, ბოლო ტურამდე გაგრძელდება უმაღლესი ლიგის ორი საგზურისათვის ბრძოლა.**

პირველი ლიგის გათამაშებას დღესდღეობით ოთხი გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს და აქვე, იმასაც შეგახსენებთ, რომ უმაღლეს ლიგაში აღზევების შანსი მესამე ადგილზე გასულ გუნდსაც ექნება, — პლეი-ოფის ერთმატჩიან დაპირისპირებაში (ნეიტრალურ მოედანზე) უმაღლეს ლიგაში მერვე ადგილზე გასულ გუნდთან; რაც შეეხება დაქვეითებას, დებულებით პირველი ლიგა ბოლო ორ ადგილზე გასულმა გუნდმა უნდა დატოვოს, მაგრამ მოდი, ნუ ვიჩქარებთ და ნაადრევი დასკვნის გაკეთებისგანაც თავის შეკავება ჯობს; მიზეზი კი არახალია — არავინ იცის, თუ როგორ განვითარდება მოვლენები ამ ზაფხულს, ანუ, მომავალი სეზონის დაწყებამდე. კი, ბატონო, საქართველოს XXII ჩემპიონატის რეგლამენტიც არსებობს და ყველა ტურნირიც ამ დებულების მკაცრი დაცვით უნდა ტარდებოდეს, მაგრამ ისიც გავიხსენოთ, თუ რამდენჯერ შეცვლილა გათამაშების წესები; ჰო, ამას მართლაც ვერავინ უარყოფს: ხან - პოლიტიკური (!), ხან - ფინანსური, ხან კიდევ - გეოგრაფიული (!) პრინციპების გათვალისწინებით, პირველიდან უმაღლესში ისეთი გუნდი აღზევებულა, შედეგებით ამას რომ არ იმსახურებდა; ეგ კი არა, საპირისპირო მაგალითებიც გვახსოვს, როცა პირველი ლიგის მარათონულ ტურნირში დამსახურებულად გამარჯვებულ გუნდს უმაღლეს ლიგაში ასპარეზობაზე... უარი უთქვამს და ეს საგზურიც სხვა გუნდისთვის „დაუთმია“...

... 1990 წლიდან მოყოლებული, პირველი ლიგის ფორმატიც არაერთხელ შეცვლილა და თვითონ ტურნირის სახელწოდებაც: მეორე ჯგუფიც ერქვა, რეგიონული ლიგაც, ტერიტორიული პრინციპით ზონებადაც ყოფილა დაყოფილი, ხან სამ თუ ოთხ ქვეჯგუფში გადანაწილდებოდნენ ხოლმე გუნდები და ასე შემდეგ. ისეთი მაგალითებიც გვახსოვს, პირველი ლიგის გამარჯვებული ავტომატურად რომ ვერ ილებდა უმაღლესი ლიგის საგზურს (პლეი-ოფის მატჩის ჩატარება სჭირდებოდა), თუმცა ამ ბოლო დროს სიტუაცია აშკარად უკეთესობისკენ შეიცვალა და თუ გარკვეული ცვლილებები ხდება, მხოლოდ და მხოლოდ, ამა თუ იმ გუნდის ფინანსური პრობლემების გამო. აი, თუნდაც ამ სეზონის დასაწყისი გავიხსენოთ: სწორედ უსახსრობის გამო თქვეს უარი პირველი ლიგაში მონაწილეობაზე დედაქალაქის გუნდებმა — 35-ე საფეხბურთო სკოლამ და IBSU-მ (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი). საბოლოოდ კი 2010-12 წლების პირველი ლიგის ჩემპიონატში 17 გუნდი დარჩა და ორწრიანი გათამაშების ყოველ ტურში თითო გუნდს დასვენება უწევს. წლევანდელ სეზონში მონაწილე გუნდებს რომ სხვადასხვა მიზანი ექნებოდათ, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება; ყოველ შემთხვევაში, „გაგრა“ რომ ტურნირის ერთ-ერთი მთავარ ფავორიტად მოგვევლინებოდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, ისე როგორც მარტვილის „მერანის“ ამბიციურ გეგმებზე. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმაღლესი ლიგის ორი „პირდაპირი“ საგზურისთვის ბრძოლაში სხვა გუნდებიც ჩაებნენ და ერთი-ორად გასახარია, რომ მათ შორის არიან დიდი ტრადიციის მქონე გუნდები — ბათუმის „დინამო“ და გორის „დილა“. ისე, რახან ტრადიცია ვახსენეთ, ბარემ ისიც შევახსენოთ მკითხველს, რომ ბათუმის „დინამო“ 19 სეზონის განმავლობაში ასპარეზობდა უმაღლეს ლიგაში, გორის „დილას“ კი 18 სეზონი აქვს გატარებული უძლიერესთა შორის. ამასთან, ბათუმელებს ჩემპიონობის გარდა ყველა სინჯის მედალიც (ვერცხლი, ბრინჯაო) აქვთ მოპოვებული, საქართველოს თასიც და სუპერთასიც; ლანჩხუთის „გურია“ საქართველოს თასის პირველი გამარჯვებულია, თბილისის „ლოკომოტივი“ კი პირველი ლიგის ყველაზე ტიტულიანი გუნდია: საქართველოს თასი სამჯერ აქვს მოგებული, ორჯერ ვერცხლის მედლები მოიპოვა და ერთხელ — ბრინჯაოსი.

ახლა კი მიმდინარე გათამაშებაზე ვისაუბროთ და ფავორიტთა შანსებიც შევაფასოთ.

## ოთხი ფავორიტი

20 ტურის შემდეგ მარტვილის „მერანის“ ლიდერობა არავის უნდა გაუკვირდეს: ეს გუნდი წინა სეზონშიც აცხადებდა უმაღლესი ლიგის საგზურზე პრეტენზიას და ორ გამოკვეთილ ფავორიტს („ტორპედო“, „კოლხეთი“) მხოლოდ მცირედით ჩამორჩა. იმასაც შეგახსენებთ, რომ შარშან ამ პროვინციულმა გუნდმა მართლაც არნახულ წარმატებას მიაღწია და საქართველოს თასის ნახევარფინალში გავიდა (მანამდე მსგავსი შედეგი პირველი ლიგის არც ერთ წარმომადგენელს არ ჰქონია). მთავარმა მწვრთნელმა, ახალგაზრდა სპეციალისტმა **მალხაზ ჟვანიამ** ძირითადი ბირთვი შეინარჩუნა და ორ გამოცდილ ფეხბურთელს (34 წლის **გიორგი ილურიძესა** და 29 წლის **გიგა ჟვანიას**) თუ არ ჩავთვლით, გუნდში ძირითადად ახალგაზრდა ფეხბურთელებს ეყრდნობა. ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მერანმა უმაღლეს ლიგაში ნათამაშები ორი ფეხბურთელი დაიმატა: მარცხენა ნახევარმცველი **ლაშა ჩალაძე** და გამოცდილი ფორვარდი **გია თოდუა**; იმასაც დავძენთ, რომ მარტვილელთა რიგებში ორი ახალგაზრდა ლეგიონერი ასპარეზობს — **ჟოელ იატრო და მუგნინი ტაპე.**


მიხეილ კაკალაძე

ზემოთაც აღვნიშნეთ, გორის „დილას“ უმაღლეს ლიგაში 18 სეზონი აქვს ჩატარებული; თუმცა, ბოლო დროს ამ ქალაქში ფეხბურთისთვის, ეტყობა, არავის ეცალა და ამის შედეგად გუნდი, ერთი ხანობა რეგიონულ ლიგამდეც დაქვეითდა. და აი, მართლაც სასიკეთო ძვრებმა (სამხარეო ადმინისტრაციისა და ქალაქის ხელმძღვანელობის დიდი დამსახურებით) „დილა“ კვლავაც მოწინავე პოზიციებზე დააბრუნა და დღესდღეობით გორელები სავსებით საფუძვლიან პრეტენზიას აცხადებენ უმაღლესში დასაბრუნებლად. პირველი ეტაპის შემდეგ გუნდში ახალი მთავარი მწვრთნელი მივიდა (**გიორგი ცეცაძე**) და ახალი ფეხბურთელებიც (თანაც ყველა მათგანი პირველ ეტაპზე უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა): **ბექა შეყრილაძე** („დინამო“), **დავით ჭითანავა, ვლადიმერ ჯოჯუა, ლევან თედიაშვილი** (სამივე-„კოლხეთი“), **ირაკლი ცნობილაძე** („ტორპედო“), **ვაჟა ნემსაძე** („სიონი“), **რომან ახალკაცი** („ოლიმპი“). „დილამ“ მეორე ეტაპი შთამბეჭდავად დაიწყო: ზედიზედ სამ გამარჯვებას ერთი ფრე „მოაყოლა“ კონკურენტ „გაგრასთან“ და ისიც მისასალმებელია, რომ ნელ-ნელა იბრუნებს ოპტიმალურ ფორმას **რომან გოგინაშვილი**; შეგახსენებთ, რომ ამ ფეხბურთელზე წლების წინ სპეციალისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ, გარკვეული პერიოდი უცხოეთშიც ასპარეზობდა და ახლა მშობლიური ქალაქის გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

სეზონის დაწყებამდეც „შეგუებული“ ვიყავით იმ ფაქტს, რომ უმაღლეს ლიგაში გადასვლის ერთ-ერთი რეალური კანდიდატი „გაგრა“ იქნებოდა. რაც მთავარია, კლუბის მეპატრონე **ბესო ჩიხრაძის** დამსახურებით, გუნდმა ზაფხულშიც და ზამთარშიც ნაყოფიერი მოსამზადებელი ეტაპი გაიარა, „გაგრამ“ შეინარჩუნა ფეხბურთელთა ძირითადი ბირთვიც და გამოცდილი მწვრთნელიც. სხვათა შორის, უკრაინელი **ანატოლი პისკოვეცი** ერთადერთი ლეგიონერი მწვრთნელია, დღესდღეობით საქართველოს ჩემპიონატში (ყველა ლიგაში) ვინც მოღვაწეობს. ამ სპეციალისტის დიდი დამსახურებაა, „გაგრა“ ორივე „ფრონტზე“ წარმატებით რომ ასპარეზობს: შეგახსენებთ - ეს გუნდი საქართველოს თასის ნახევარფინალშია გასული და კლუბის ხელმძღვანელებს, სამწვრთნელო შტაბსა თუ ფეხბურთელებს მიზნად ევროტურნირებზე გასვლა აქვთ დასახული. მეკარეები — **ლადო ნადირაშვილი, კონსტანტინე სეფიაშვილი**, მცველები — **გიორგი ტყეშელაშვილი, ჯემალ გაბუნია, დავით გიგაური, ნიკა ჯიშკარიანი**, ნახევარმცველები — **მიკოლა ნაკონეჩნი, ზვიად ჩხეტიანი, ლევან შარიქაძე, ირაკლი ხუციძე, მიხეილ კობერიძე, აბაიომო ოვონიკოკო**, თავდამსხმელები — **ვლადიმირ ორდინსკი, შალვა კვანტალიანი**, — ამ შემადგენლობით „გაგრა“ თავს უმაღლეს ლიგაშიც არ შეირცხვენდა; თანაც, მეორე ეტაპის დაწყების წინ გუნდმა ფოთის „კოლხეთიდან“ **დავით ციცხვაია** დაიმატა და, რაც მთავარია, ერთწლიანი პაუზის შემდეგ „გაგრას“ დაუბრუნდა **გიორგი გაბედავა!**

მეორე ეტაპის სტარტზე პირველი ლიგის გათამაშების ერთ-ერთი სასიამოვნო მოულოდნელობა ბათუმის „დინამოს“ წარმატებული სტარტი იყო: **ამირან გოგიტიძის** გუნდმა სამივე მატჩში გაიმარჯვა და უმაღლესში დაბრუნების რეალური პერსპექტივაც გაუჩნდა. ბათუმის „დინამოში“ პირველ ეტაპზეც იყვნენ „საინტერესო“ ფეხბურთელები: **გიორგი კაჭკაჭიშვილი, გიორგი მანწკავა, ალექსანდრე ბაციკაძე**; მეორე ეტაპის დაწყების წინ კი გუნდი სერიოზულად გააძლიერეს **რევაზ თევდორაძემ, კარენ მაკარიანმა და ზაურ ხაჭიპერაძემ**; ცალკე აღნიშვნის ღირსია 28 წლის **მიხეილ კაკალაძე**, ვინც გარკვეული პაუზის შემდეგ დაუბრუნდა ბათუმის „დინამოს“ და როგორც მოსალოდნელი იყო, ამ გუნდის ერთ-ერთ უპირობო ლიდერადაც იქცა. აი, დანარჩენი გუნდები კი, ვეჭვობთ, ზემოთ ნახსენები ოთხეულის დავაში ჩაერიონ: „გურიას“ საამისოდ ფინანსები არ ეყოფა, „ჩიხურას“ (კვლავაც გამოცდილი **სოსო ფრუიძე** რომ ხელმძღვანელობს) გრძელვადიანი პროექტი აქვს და ზუსტად ვერავინ იტყვის, თუ როდის გაუჩნდებათ საჩხერლებს უმაღლეს ლიგაში დაბრუნების ამბიცია.

საერთოდ კი, პირველი ლიგის თითქმის ყველა გუნდში არაერთი ისეთი ფეხბურთელი ასპარეზობს, სხვადასხვა დროს უმაღლესში რომ უთამაშიათ. თუმცა, მათგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი ოზურგეთის „მერცხალის“ ორი გამოცდილი მოთამაშეა: 36 წლის ცენტრალური მცველი **მიხეილ ქობულაძე** და 41 წლის მეკარე **გია გოგუა** (ეს უკანასკნელი მოთამაშე-მწვრთნელიცაა). აქვე, მწვრთნელებზეც უნდა ვთქვათ — გამოცდილ სპეციალისტებთან ერთად პირველ ლიგაში ახალგაზრდებიც მრავლად არიან : **დავით ჭელიძე** („იმერეთი“), **ვალერი გაგუა** („ნორჩი დინამო“), **ლაშა ჭალიაშვილი** („ლოკომოტივი“). სხვათა შორის, ეს უკანასკნელი უმაღლეს და პირველ ლიგაში მოღვაწე მწვრთნელებს შორის ყველაზე უმცროსია - 29 წლის გახლავთ.

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**


გიორგი გაბედავა

### XXI ტური

**გურია-ნ. დინამო 5:0**

14.03. ლანჩხუთი. ე. შევარდნაძე. 300 მაყურებელი

1:0 ი. დეისაძე (42), 2:0 გ. ჯაჭვაძე (28, საკუთარ კარში), 3:0 ტ. კუკულაძე (55), 4:0, 5:0 ლ. რუსიეშვილი (61, 66).

გურია: მ. გოგუაძე, ჯ. გოგიბერიძე, რ. კუკულაძე, ს. ფირცხალაიშვილი, ბ. წერეთელი, გ. თოლორდავა (64. თ. სივსივე), ნ. ტოროტაძე, გ. შეწირული (33. მ. კოტრიკაძე), ლ. რუსიეშვილი (67. გ. კუკულაძე), ტ. კუკულაძე, იაგო დეისაძე.

*სათადარიგოები:* ი. ხვედელიძე, ს. ბახია, თ. ლომაძე, ზ. რაზმაძე

მთავარი მწვრთნელი: ირაკლი ფაცურია

ნ. დინამო: თ. ცინცაბაძე, გ. ჯაჭვაძე (46. ზ. კვარაცხელია), ნ. ბინკინაშვილი, თ. ნემსიწვერიძე, გ. ჩუბინიძე, გ. ქვარაია, დ. ქიმერიძე, გ. თანიაშვილი, გ. შუშიაშვილი, ბ. ახალბედაშვილი (64. თ. ქირია) ი. მახათაძე (62. ფ. ზირაქაძე).

*სათადარიგოები:* დ. გლოველი, ა. ხვთისავრიშვილი

მთავარი მწვრთნელი: ვალერი გაგუა

გაფრთხილება: ნ. ბინკინაშვილი

არბიტრი: შოთა ქუხილავა (სოხუმი)

**მარტვილი-ჩიხურა 2:0**

14.03. აბაშა. ცენტრალური. 300 მაყურებელი

1:0 გ. ამბროლაძე (55), 2:0 გ. თოდუა (75).

მარტვილი: ლ. გორდეზიანი, ი. ფაცაცია, გ. ჟვანია, თ. კაკუშაძე, ა. სუხიაშვილი, დ. ბერუაშვილი, გ. ილურიძე, გ. წოწორია, გ. ამბროლაძე (87. პ. ფონიავა), ლ. კუჭუხიძე (85. ო. ტორაძე), მ. ტაპე (59. გ. თოდუა)

*სათადარიგოები:* ჯ. შეროზია, ლ. გელაჭეიშვილი, დ. დეკანოიძე, კ. მელიავა

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

ჩიხურა: შ. დოლაძე, ი. გვეტაძე, ე. ზივზივაძე, გ. მიქაძე (82. ბ. დემეტრაშვილი), ა. ივანიშვილი, გ. ქიმაძე, ლ. ჩიკვაიძე, ნ. მაჭარაშვილი (70. ლ. ჩაგელიშვილი), თ. მუმლაძე, დ. ჩაგელიშვილი, ი. ზაბახიძე.

*სათადარიგოები:* გ. ბეგაშვილი, ი. ტყებუჩავა, დ. ქამუშაძე, ბ. პეტრიაშვილი, ა. ალავიძე

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: თ. მუმლაძე

არბიტრი: გიორგი ვადაჭკორია (თბილისი)

**იმერეთი-ჭიათურა 1:1**

14.04. ხონი. ცენტრალური. 500 მაყურებელი

1:0 რ. კვერნაძე (72), 1:1 გ. ცუცქირიძე (90)

იმერეთი: ი. შენგელია, ვ. ბრეგაძე, ბ. ხაჭიპერაძე, თ. ხარებავა, რ. კაშია, ლ. კირკიტაძე, გ. გოდერიძე, ბ. ჩხეტიანი, ი. ვეკუა (61. რ. გვანცელაძე), მ. ჩხარტიშვილი, რ. კვერნაძე

*სათადარიგოები:* გ. ნიქაბაძე, დ. ფესტვენიძე, ბ. ბიბილაშვილი, ი. ასათიანი, გ. უგულავა, დ. ხაბურძანია

მთავარი მწვრთნელი: დ. ჭელიძე

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, ბ. ჭუმბურიძე, გ. ბრეგვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ტყემალაძე, ა. დოლონაძე, ლ. ქურდაძე, ზ. ნოზაძე (67. თემურ მიშველიძე), ლ. კობახიძე, ვ. ჯელაძე (85. დ. ტაბატაძე), გ. ცუცქირიძე

*სათადარიგოები:* ა. დარბაიძე, თემირ მიშველიძე, გ. ზაბახიძე, თ. კურტანიძე, ტ. კვატაშიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან სევასტოპულო

გაფრთხილება: თ. ხარებავა, ბ. ხაჭიპერაძე; ა. დოლონაძე.

არბიტრი: ბაკურ ნინუა (ქუთაისი)

**ადელი-ლოკომოტივი 0:2**

14.03. ბათუმი. ადელი. 150 მაყურებელი

0:1 ზ. გვაძაბია (31), 0:2 გ. ჭოველიძე (12).

ადელი: ი. დევაძე, გ. გორჯელაძე, გ. ზოიძე, მ. ფუტკარაძე, ნ. ნულუკიძე (72. ს. მამეიშვილი), გ. ფალავანდიშვილი, დ. ჯალალანია, ფ. მოროტიე (46. გ. ქოქოლაძე), ა. ლორია (73. გ. სირაბიძე), ა. აბუსერიძე, ლ. მამეიშვილი.

*სათადარიგოები:* გ. რომანაძე, ზ. მყავანაძე

მთავარი მწვრთნელი: გია ჯორბენაძე

ლოკომოტივი: გ. ლოსაბერიძე, გ. შარანგია (52. ა. ძიძიგური), გ. კაპანაძე (78. დ. მიქავა), გ. ხატიაშვილი, ზ. გვაძაბია, ა. შენგელია (70. დ. ბაქრაძე), გ. ბოჭორმელი, გ. ჭოველიძე, თ. ჩარგეიშვილი, დ. საჯაია, ნ. შერაზადიშვილი.

*სათადარიგოები:* თ. ნიორაძე, დ. დარციმელია, დ. გაბელია, მ. ცინცაძე

მთავარი მწვრთნელი: ლ. ჭალიაშვილი

გაფრთხილება: მ. ფუტკარაძე

არბიტრი: კობა ჭაჭუა (ქუთაისი)

**კოლხეთი-მერცხალი 1:0**

14.03. ხობი. ცენტრალური. 500 მაყურებელი

1:0 ო. ფიფია (7?)

კოლხეთი: დ. ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ლ. გოგენია, გ. ფარფალია, მ. ბესარაშვილი, ი. კუტალია ც. ბუკია, ბ. ბუკია (76. კ. ალანია), გ. ლომაია (88. კ. გოგენია), რ. ცობეხია (61. ო. ფიფია), ვ. ფირცხალავა

*სათადარიგოები:* ზ. გელაშვილი, მ. შონია, ლ. ჩაჩიბაია, რ. ჩიტაია

*მთავარი მწვრთნელი:* კალისტრატე ხურცილავა

მერცხალი: გ. გოგუა, ვ. რამიშვილი, გ. ხამაშურიძე, ვ. ტუტოიანი, სერგო ვ. ჩიგოგიძე, გ. მაკასარაშვილი, რ. ჭეიშვილი, ზ. ტულუში, ლ. ჩხაიძე (69. ნ. ხინთიბიძე), ლ. ათუაშვილი (59. სერგო გ. ჩიგოგიძე), თ. ცეცხლაძე (68. ი. ბაჯელიძე).

*სათადარიგოები:* ს. ვერულიძე, თ. ჩხატარაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* ხარიტონ ჩხატარაშვილი

გაფრთხილება: თ. ცეცხლაძე, გ. მაკასარაშვილი

არბიტრი: ოთარ ხეცაძე (თბილისი)

**გაგრა-დილა 1:1**

14.03. თბილისი. მერანი. 1000 მაყურებელი

1:0 მ. კობერიძე (62), 1:1 რ. გოგინაშვილი (88).

გაგრა: კ. სეფიაშვილი, ლ. კალანდაძე, გ. ტყეშელაშვილი, ზ. ჩხეტიანი, ნ. ჯიშკარიანი, მ. ნაკონეჩნი, ლ. შარიქაძე, ი. ხუციძე, დ. ციცხვაია (46. ა. ოვონიკოკო), ვ. ორდინსკი (59. მ. კობერიძე), გ. გაბედავა

*სათადარიგოები:* ლ. ნადირაშვილი, დ. გიგაური, შ. კვანტალიანი, ბ. ქართველიშვილი, ნ. ჭკუასელი.

*მთავარი მწვრთნელი:* ანატოლი პისკოვეცი

დილა: ბ. შეყრილაძე, თ. შათირიშვილი, დ. ბაქრაძე, გ. ქარქუზაშვილი, დ. ჭითანავა (84. ი. ლომიძე), ვ. ჯოჯუა, ო. ცარიელაშვილი, დ. რაჟამაშვილი, ვ. ნემსაძე (59. ი. ცნობილაძე), რ. გოგინაშვილი, რ. ახალკაცი (78. ა. კვარაცხელია)

*სათადარიგოები:* ბ. კეჩხუაშვილი, ლ. თედიაშვილი, ნ. ნოზაძე, დ. ტლაშაძე

*მთავარი მწვრთნელი:* გიორგი ცეცაძე

გაფრთხილება: მ. ნაკონეჩნი, ლ. შარიქაძე; დ. ბაქრაძე, რ. ახალკაცი.

არბიტრი: ლევან კვარაცხელია (ზუგდიდი)

**სამგურალი-ჩხერიმელა 0:3**

14.03. წყალტუბო „26 მაისი“. 300 მაყურებელი

0:1 გ. ზაქარაშვილი (4), 0:2 ჯ. ავალიშვილი (64), 0:3 გ. ზაქარაშვილი (67).

სამგურალი: დ. ხურცილავა, გ. ჩიხლაძე, ლ. ნავერიანი, ზ. ჩიხლაძე, ნ. ბაბუნიძე, ხ. უგრეხელიძე (68. გ. ბუხაიძე), ნ. უგრეხელიძე (69. ლ. ცხადაძე), ი. შალიკაშვილი, გ. უგულავა, ზ. ქუთათელაძე, მ. მესხი (66. ზ. კუხალაშვილი).

*სათადარიგოები:* შ. ესებუა ზ. სალინაძე, გ. თევდორაძე, ლ. მესხი

*მთავარი მწვრთნელი:* ელდარ ჯიმშელეიშვილი

ჩხერიმელა: ი. კუჭუხიძე, ვ. ტაბატაძე, ნ. ხარაბაძე, ა. ქაშაკაშვილი, ც. ხარაბაძე, ლ. მახარაძე გ. თურმანიძე (75. გ. ხეცურიანი), რ. ჩიხლაძე (67. კ. ძაგანია), ა. ლაბაძე (85. თ. კიკნაძე), გ. ზაქარაშვილი, ჯ. ავალიშვილი

*სათადარიგოები:* მ. ლომსაძე, გ. გიორგობიანი

*მთავარი მწვრთნელი:* მამუკა ხუნდაძე

გაფრთხილება: ნ. ბაბუნიძე, ი. შალიკაშვილი; გ. ზაქარაშვილი, ვ. ტაბატაძე

არბიტრი: გიორგი დოგრაშვილი (ქუთაისი)

მეშახტე-სქური — გადაიდო
ბათუმი — *ისვენებდა*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარტვილი | 20 | 14 | 4 | 2 | 42-10 | 46 |
| 2. დილა | 20 | 12 | 6 | 2 | 38-17 | 42 |
| 3. გაგრა | 19 | 12 | 5 | 2 | 43-13 | 41 |
| 4. ბათუმი | 19 | 11 | 6 | 2 | 42-9 | 39 |
| 5. გურია | 20 | 11 | 1 | 8 | 40-36 | 34 |
| 6. ჩიხურა | 18 | 10 | 4 | 4 | 32-18 | 34 |
| 7. კოლხეთი (ხ) | 19 | 6 | 9 | 4 | 17-16 | 27 |
| 8. სამგურალი | 20 | 6 | 5 | 9 | 25-39 | 23 |
| 9. მერცხალი | 20 | 6 | 4 | 10 | 33-49 | 22 |
| 10. იმერეთი | 19 | 6 | 2 | 11 | 20-28 | 20 |
| 11. ლოკომოტივი | 19 | 5 | 5 | 9 | 20-28 | 20 |
| 12. ჩხერიმელა | 19 | 4 | 8 | 7 | 24-33 | 20 |
| 13. ნ/დინამოელი | 19 | 6 | 1 | 12 | 23-40 | 19 |
| 14. მეშახტე | 18 | 5 | 4 | 9 | 24-32 | 19 |
| 15. ადელი | 20 | 5 | 2 | 13 | 24-34 | 17 |
| 16. ჭიათურა | 20 | 4 | 5 | 11 | 19-50 | 17 |
| 17. სქური | 19 | 4 | 3 | 12 | 19-33 | 15 |

**მომდევნო ტური**

**18 მარტი, პარასკევი**

ლოკომოტივი-სამგურალი
ჩხერიმელა-კოლხეთი
მერცხალი-გაგრა
დილა-მეშახტე
ჭიათურა-ბათუმი
სქური-მარტვილი
ნ. დინამო-იმერეთი
ჩიხურა-გურია
ადელი *ისვენებს*

## საქართველოს ჩემპიონატი XXV ტური

16.03. სამტრედია. ე. მანჯგალაძე. 1000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სამტრედია | 0 |
| ზესტაფონი | 1 |

0:1 გელაშვილი (39. ძარიას პასით)

| სამტრედია 4-1-4-1 | დინამო 4-4-2 |
|---|---|
| კეკელიძე | რ.კვასხვაძე |
| გოგია | ბენაშვილი |
| ხუმარაშვილი | გ. ონიანი |
| თ. შალიკაშვილი | ხიდეშელი |
| კირთაძე | ელიავა |
| ჩხიკვაძე | აფციაური |
| ცხადაია | დაუშვილი |
| ლომაშვილი | ძარია |
| გ. მიქაბერიძე | გრიგალაშვილი |
| ხვადაგიანი | დვალი |
| გოგიშვილი | გელაშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ლ. ანჯაფარიძე | გ. გეგუჩაძე |

**სამტრედია**

46. ხვადაგიანი - **ბურჯანაძე**
46. ჩხიკვაძე - **რუხაია**
60. გოგიშვილი - **იმედაძე**
*სათადარიგოები: ბანძავა, ნინუა, ენდელაძე, ალავერდაშვილი*

**ზესტაფონი**

65. გრიგალაშვილი - **გორგიაშვილი**
72. გელაშვილი - **ბაბუნაშვილი**
77. დვალი - **წინამძღვრიშვილი**
*სათადარიგოები: მეშველიანი, კობახიძე, ფოფხაძე, გრუიცა*

გაფრთხილება: **დაუშვილი (34), კირთაძე (36), ბენაშვილი (58)**
არბიტრი: **დ.ხარიტონაშვილი**

# ზესტაფონმა აქაც გაიხარა და იქაც



ნიკოლოზ გელაშვილის საგოლე დარტყმა

ავტორის ფოტო

სატურნირო ცხრილში „საპირისპირო პოლუსებზე" მყოფი გუნდების დაპირისპირება საკმაოდ დაძაბული გამოდგა, თუმცა სანახაობრივი თვალსაზრისით მატჩი აშკარად მოიკოჭლებდა. „ეროსი მანჯგალაძეზე" მოედნის საფარი სავალალო მდგომარეობაში იყო და ფეხბურთელებს ბურთის დამუშავება და ხეირიანი გადაცემების გაკეთება უჭირდათ. ფავორიტად, ბუნებრივია, ლიდერი „ზესტაფონი" ითვლებოდა. ამ გუნდების წინა, ექვსივე დაპირისპირება ზემოიმერელთა გამარჯვებით დასრულდა. თანაც, ფოთის „კოლხეთთან" ვერმოგების შემდეგ **გია გეგუჩაძის** შეგირდებს მორიგი წაფორხილების უფლება აღარ ჰქონდათ და სამტრედიაში „სარეაბილიტაციო" სამი ქულის მოსაპოვებლად ჩავიდნენ. იმერული დერბი ამჯერადაც „ზესტაფონის" გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ფეროელებს იოლი გასეირნება ნამდვილად არ ჰქონიათ. „სამტრედიამ" ბოლომდე იბრძოლა და მეტოქე საკმაოდ ანერვიულა.

ზესტაფონელებს დისკვალიფიცირებული **კახა ალადაშვილი** აკლდათ, რომელიც ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული. მის არყოფნაში დაცვის მარჯვენა ფრთაზე **ალექსი ბენაშვილმა** ითამაშა და საკმაოდ აქტიურიც იყო. დაცვითი ფუნქციების შესრულებასთან ერთად იგი შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა. სათამაშო უპირატესობას ფეროელები ფლობდნენ, მაგრამ კარში პირველად მასპინძლებმა დაარტყეს. მე-6 წუთზე ექსზესტაფონელი **გიორგი ცხადაიას** შორეული და ძლიერი დარტყმა მეკარე **კვასხვაძემ** მოიგერია. სტუმრებმა სწრაფი იერიშებით უპასუხეს, **გრიგალაშვილის** კარგი ფლანგური გარღვევა **ძარიას** უზუსტო დარტყმით დასრულდა, **გელაშვილის** შეტევა კი მეკარემ მოიგერია. მეტოქეს ვალში არც სამტრედიელები დარჩნენ და მე-20 წუთზე სახიფათოდ შეუტიეს - **ხვადაგიანის** დარტყმა მეკარემ მოიგერია. 30-ე წუთზე სტუმრები აშკარა გოლს გადაურჩნენ: ცხადაიამ **გოგიშვილი** გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, თუმცა ახალგაზრდა ფორვარდმა კვასხვაძეს ვერ აჯობა. სამაგიეროდ, თავისი შანსი გამოიყენა ნიკოლოზ გელაშვილმა, რომელმაც ძარიასგან ფლანგური გადაცემა მიიღო, მცველებს გასცდა და მეკარე **კეკელიძეს** ფეხებშუა გაუტარა ბურთი - 0:1. ეს მიმდინარე ჩემპიონატში გელაშვილის მე-13 გოლია და იგი ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნულად ლიდერობს.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს. **კირთაძის** ფლანგურ პასს შეცვლაზე შესული **ბურჯანაძე** ვერ შეწვდა. ცოტა ხანში თანაგუნდელებმა ისევ გოგიშვილი გაიყვანეს მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ახალგაზრდა ფორვარდი ისევ დაალალატა გამოცდილებამ და მისი დარტყმის შემდეგ კვასხვაძემ კვლავ იხსნა „ზესტაფონი" აშკარა გოლისაგან. დარჩენილ დროში სამტრედიელებს კიდევ ერთი მომენტი ჰქონდათ, როცა **ლომაშვილის** სახიფათო თავური ასცდა მიზანს. მასპინძლებს ვერც ახალწვეული ვეტერანის **გია იმედაძის** გამოსვლამ მოუტანა ხეირი. ზესტაფონელები რამდენჯერმე ახლოს იყვნენ ანგარიშის გაზრდასთან. 61-ე წუთზე **აფციაურის** ჯარიმის შემდეგ **დაუშვილმა** გელაშვილს მკერდით დაუგდო ბურთი, ამ უკანასკნელის დარტყმა კი მცირედით ასცდა მიზანს. ცოტა ხანში **დვალმა** სამტრედიელთა მთელი დაცვა გაიარა, მაგრამ ზუსტად ვერ დაარტყა. მატჩის ბოლოს შეცვლაზე შესულ **გორგიაშვილს** ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა, პირველად მისი დარტყმა მეკარემ მოიგერია, მეორე შემთხვევაში კი **წინამძღვრიშვილი** უკეთებდა კარგ გადაცემას, მაგრამ გორგიაშვილმა ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა. გატანა წინამძღვრიშვილსაც შეეძლო, მაგრამ ახლოდან ხარიხას გადააცილა. „ზესტაფონმა" მძიმე, მაგრამ საჭირო გამარჯვება მოიპოვა. მატჩის შემდეგ ფეროელებმა ფოთში დაფიქსირებული შედეგიც გაიგეს („კოლხეთი-„ოლიმპი" 0:0) და უშუალო კონკურენტის წაფორხილებით არანაკლებ გაიხარეს. სამტრედიელები კი კვლავ მძიმე მდგომარეობაში რჩებიან...

**დავით კოხრეიძე**
სამტრედიიდან

# ვიტ ჯორჯია ნატნობ გზაზე

« მე-3 გვერდიდან

"ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი **გია გიგატაძე** ვაბანკზე წავიდა და მეორე ტაიმში მოედანზე სამი შემტევი ფეხბურთელი შეიყვანა. ტაიმიც სტუმართა გამუდმებული შეტევებით წარიმართა და "ვიტ ჯორჯიას" კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, მეკარე **არდალიონ მიქაბერიძეს** დიდი ჯაფა დაადგა და კარგადაც თამაშობდა. 46-ე წუთზე **გიორგი სეთურიძის** მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი მცველმა მოიგერია, დამატებაზე კი ქებაძემ შეუჩერებლად კარში გაგზავნა - ძელი!

72-ე წუთზე მიქაბერიძემ უკვე **გია მეგრელაძის** სახიფათო გასროლა მოიგერია. 76-ე წუთზე "ვიტ ჯორჯიას" თავდამსხმელ ჩიმაკაძეს რომ გაეტანა, შეხვედრის დარჩენილი წუთები აზრს დაკარგავდა. ის ვალდებულიც იყო, "ტორპედოს" კარი მესამედ აეღო: **ომარ მიგინეიშვილთან** პირისპირ გავიდა, მეკარემ პირველი დარტყმა მოიგერია, დამატებაზე კი ჩიმაკაძემ ცარიელ კარში ვერ გაიტანა - ბურთი ძელს გაარტყა.

ამის შემდეგ წამოწყებული პირველივე კომბინაცია ქუთათურებმა შედეგიანად დაასრულეს. კუთხურიდან გათამაშებული ბურთი კარში თავით ჯერ **თემურ ფარულავამ** გააგზავნა, მიქაბერიძემ კვლავ ივარგა, მაგრამ დამატებაზე მეგრელაძეს ველარ აჯობა - 2:1.

"ტორპედომ" ბოლო ძალებით შეუტია, გიგატაძის გაწვრთნილები აქტიურად და მწვავედ უტევდნენ, სახიფათო გამოდგა **თორნიკე თარხნიშვილის** უძლიერესი დარტყმა, მაგრამ ახალგაზრდა ვიტჯორჯიელებმა გამარჯვება შეინარჩუნეს და კონკურენტთან სხვაობა ექვს ქულამდე გაზარდეს.

**მერაბ კოჭლაშვილი**, (ვიტ ჯორჯია): "ეს იყო ექვსქულიანი შეხვედრა და გამარჯვება ორმაგად სასიხარულოა. მატჩიდან მატჩამდე ვიზრდებით, უკვე ზედიზედ მეხუთედ მოვიგეთ. ბიჭებმა დავალება კარგად შეასრულეს და მადლობას იმსახურებენ".

**გია გიგატაძე**, (ტორპედო):" მეტოქეს გამარჯვება პირველ ათ წუთში ვაჩუქეთ. ამის შემდეგ ძალიან რთული იყო მატჩის ბედის შემოტრიალება. რაც შეეხება ჩვენს არჩათვლილ გოლს, მსაჯის გადაწყვეტილება ჩემთვის გაუგებარია. ჩვენი ფეხბურთელი დათუნაიშვილი ამხტარიც არ იყო, როდესაც ჩასტვინა და ჯარიმა დანიშნა. ათასი კი არა, ორი ათასიც რომ დაუნიშნონ, მსაჯობის პრობლემა მაინც იქნება. არადა, ასპროცენტიანი გოლი იყო".

**მერაბ მამულაშვილი**



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 25 | 17 | 3 | 5 | 51 | 14 | 54 |
| 2 | ოლიმპი | 25 | 15 | 6 | 4 | 36 | 19 | 51 |
| 3 | დინამო | 24 | 13 | 7 | 4 | 35 | 12 | 46 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 25 | 12 | 2 | 11 | 28 | 29 | 38 |
| 5 | ბაია | 24 | 9 | 5 | 10 | 24 | 31 | 32 |
| 6 | ტორპედო | 25 | 8 | 8 | 9 | 15 | 15 | 32 |
| 7 | სიონი | 25 | 6 | 7 | 12 | 16 | 33 | 25 |
| 8 | კოლხეთი | 25 | 6 | 6 | 13 | 16 | 36 | 24 |
| 9 | სპარტაკი | 25 | 6 | 5 | 14 | 24 | 30 | 23 |
| 10 | სამტრედია | 25 | 5 | 5 | 15 | 20 | 46 | 20 |

| ბომბარდირები | გოლი (პენალტით) |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 13 |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 11 (1) |
| მეგრელაძე (ტორპედო) | 11 |
| დვალი (ზესტაფონი) | 10 |
| მოდებაძე (ოლიმპი) | 10 (1) |

## უცხოური ფეხბურთი

● ამბები

## ფერნანდესმა დაასახელა

ისრაელის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლუის ფერნანდესმა** ლატვიასთან და საქართველოსთან შესარჩევი მატჩების მოსამზადებელ შეკრებაზე შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

მეკარეები: **ავატი (მალიორკა, ესპანეთი), გორეში (ჰაპოელი, ა), ჰარუში (ბეითარი)**

მცველები: **კეინანი (კარდიფი, უელსი), გერშონი (კორტრეიკი, ბელგია), ი. კოენი (ჰაპოელი, ა), ტ. ბენ ჰაიმი (პორტსმუთი, ინგლისი), მაქაბი (ჰაპოელი, თ.ა), ბონდერი (ჰაპოელი, თ.ა), ზივი (მაქაბი თ.ა)**

ნახევარმცველები: **ნაჰტო (რუბინი, რუსეთი), კაიალი (სელტიკი, შოტლანდია), ზაჰავი (ჰაპოელი, თ.ა), გოლასა (მაქაბი, ჰ), ა. კოენი (ნიურნბერგი, გერმანია), ე. კოენი (ჰაპოელი, თ.ა), ალბერმანი, ბუზაგლო (მაქაბი, თ.ა), რაფაელოვი (მაქაბი, ჰ), ვერმუთი (ჰაპოელი, თ.ა), ბენაიუნი (ჩელსი, ინგლისი)**

თავდამსხმელები: **ბარდა (გენკი, ბელგია), საარი (ჰაპოელი თ.ა), დამარი (მაქაბი ფ.თ), ბიტონი (შარლერუა, ბელგია)**

## ვაისის რჩეულნი

სლოვაკეთის ნაკრების დამრიგებელმა **ვლადიმირ ვაისმა** შეკრებაზე 23 ფეხბურთელი გამოიძახა. სლოვაკებს ორი მატჩი აქვთ გასამართი - პირველი არცთუ რთული დაპირისპირება ანდორის ნაკრებთან (26 მარტს), ხოლო 3 დღეში დანიასთან ამხანაგური მარტჩი. მაშ ასე, სლოვაკეთის ნაკრები:

მეკარეები: **მუხა (ევერტონი, ინგლისი), პერნიში (დანდი, შოტლანდია), კელო (ჰარტსი, შოტლანდია)**

მცველები: **ჩეხი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), დიურიცა (ლოკომოტივი, რუსეთი), ლუკშიკი (სენიცა), პეკარიკი (ვოლფსბურგი, გერმანია), სალატა (როსტოვი, რუსეთი), შკრტელი (ლივერპული, ინგლისი), ზაბავნიკი (მაინცი, გერმანია)**

ნახევარმცველები: **ჰამშიკი (ნაპოლი, იტალია), კოპუნეკი (ბარი, იტალია), კონა (სენიცა), კუცკა (ჯენოა, იტალია), საპარა (ანკარაგიუჯუ, თურქეთი), შტოხი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), ვლადიმირ ვაისი-უმცროსი (რეინჯერსი, შოტლანდია)**

თავდამსხმელები: **გოლოშკო (ისტანბული, თურქეთი), იენდრიშეკი (ფრაიბურგი, გერმანია), პიროშკა (სენიცა), სებო (სლოვანი), შესტაკი, ვიტეკი (ანკარაგიუჯუ, თურქეთი)**

## კალიტვინცევის უკრაინა

უკრაინის ეროვნულ გუნდს იტალიასთან ამხანაგური დაპირისპირება ელის და შესაბამისად **იური კალიტვინცევმა** შეკრებაზე რჩეულ 22 ფეხბურთელს უხმო. აღნიშნული ამხანაგური მატჩის ჩატარების საკითხი ძალიან დიდხანს იდგა ეჭვქვეშ, რადგან მასპინძელი უკრაინელები ვერ წყვეტდნენ, სად ემასპინძლათ მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონებისთვის. ერთი პერიოდი ეს დაპირისპირება ჩაშლილადაც კი გამოცხადდა, თუმცა უკრაინელებმა დროზე მოახერხეს პრობლემების აღმოფხვრა.

მეკარეები: **შოვკოვსკი (დინაკო, კ), პიატოვი (შახტარი), დიკანი (სპარტაკი, რუსეთი)**

მცველები: **ჩიგრინსკი, კუჩერი, რაკიცკი (სამივე შახტარი), ფედეცკი, ოშიპკო (ორივე კარპატი, ლ), რომანჩუკი (მეტალისტი)**

ნახევარმცველები: **გუსევი, ალიევი (ორივე დინაკო, კ), როტანი, კონოპლიანკა (ორივე დნიპრო), ოლეინიკი (მეტალისტი), სტეპანენკო (შახტარი), ხუდობიაკი (კარპატი), ტიმოშჩუკი (ბაიერნი, გერმანია)**

თავდამსხმელები: **შევჩენკო, იარმოლენკო, კრავეცი (სამივე დინაკო, კ), სელეზნიოვი (დნიპრო), დევიჩი (მეტალისტი)**

## ს ლეგენდა კიბოს ებრძვის

„მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ლეგენდარული კაპიტანი **ბრაიან რობსონი**, ვინც ამჟამად ტაილანდის ნაკრების მთავარ მწვრთნელად მუშაობს, ავადაა. მას რამდენიმე დღის წინ ოპერაცია გაუკეთეს და ხორხზე სიმსივნე ამოკვეთეს. ტაილანდური საინფორმაციო საშუალებები აღნიშნავენ, რომ ინგლისელი ოპტიმისტურად არის განწყობილი. ის აცხადებს, რომ სრულად გამოჯანმრთელების დიდი იმედი აქვს. ასევე ცნობილია, რომ მწვრთნელი სრული დატვირთვით მუშაობას რამდენიმე დღეში შეუდგება. აი, რა განუცხადა კლიენტის მდგომარეობის შესახებ მისმა აგენტმა გაზეთ „სანს": *„ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ დაავადება შემდგომ მკურნალობას საჭიროებს. ამასთან ონკოლოგები დარწმუნებულნი არიან, რომ სიმსივნე სრულად განკურნებას ექვემდებარება".*

აქვე გეტყვით, რომ რობსონი „მანიუს" ისტორიაში სარეკორდოდ დიდხანს, 12 წელიწადი იყო გუნდის კაპიტანი. გარდა ამისა, მან 90 მატჩი ჩაატარა (26 გოლი) ინგლისის ნაკრებში, აქედან 65 კაპიტნის რანგში. რაც შეეხება სამწვრთნელო ასპარეზს, მისთვის ეს ეტაპი ნაკლებად წარმატებული გამოდგა. რობსონს გაუწვრთნია „მიდლსბრო", „ბრედფორდ სიტი", „ვესტ ბრომვიჩი" და „შეფილდ იუნაიტედი". ტაილანდის ნაკრებში ის 2009 წლის სექტემბრიდან მუშაობს.

## ფერგიუსონის 5 თამაში

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა „მანიუს" თავკაც სერ **ალექს ფერგიუსონს** 5-თამაშიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. შეგახსენებთ, რომ „ჩელსისთან" (2:1) დამარცხების შემდეგ შოტლანდიელმა მატჩის მთავარ არბიტრ **მარტინ ატკინსონს** არაკვალიფიციური უწოდა და განაცხადა, რომ როცა კი გაიგო, რომ შეხვედრას ის წარუძღვებოდა, გულმა უმალ რეჩხი უყო. გარდა ამისა, ფერგიმ მსაჯის პატიოსნებაშიც შეიტანა ეჭვი. სწორედ ეს გახდა იმის საფუძველი, რომ ასოციაციას ლეგენდარული მწვრთნელის წინააღმდეგ ასეთი მკაცრი განაჩენი გამოეტანა. დისკვალიფიკაცია ძალაში შევა 22 მარტიდან. „მანჩესტერს" გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება შემდგომ 48 საათში მიეცემა. უნდა აღინიშნოს, რომ ფერგის ასოციაციის სასარგებლოდ ჯიბის შეთხელება 30 ათასი გირვანქით მოუწევს.

## სავიოლა ნასვამი დააკავეს

ლისაბონის პოლიციამ „ბენფიკას" 29 წლის არგენტინელი თავდამსხმელი **ხავიერ სავიოლა** საჭესთან ნასვამი დააკავა. აღნიშნული ინფორმაცია გუშინ დილას პირველებმა პორტუგალიურმა გაზეთებმა გაავრცელეს. როგორც პოლიციის ოქმშია მითითებული, ალკოჰოლურმა ტესტმა გამოავლინა, რომ ფეხბურთელის სისხლში ალკოჰოლის რაოდენობა დასაშვებს რამდენჯერმე აღემატებოდა. სავიოლას მართვის მოწმობის სამი თვით ჩამორთმევა ემუქრება.



ალესია ვენტურა და ფილიპო ინძაგი

## ვარსკვლავი მიატოვეს

„მილანის" თავდამსხმელი **ფილიპო ინძაგი** მისმა მეგობარმა გოგონამ, იტალიელმა მოდელმა **ალესია ვენტურამ** მიატოვა. აღნიშნულმა ინფორმაციამ იტალიაში ლამის შოკი გამოიწვია, რადგან წყვილი მთელ აპენინებზე სამაგალითოდ მიიჩნეოდა. როგორც აღმოჩნდა წყვილის დაშორება ინძაგის ღალატმა გამოიწვია. ალესიას განცხადებით კი ეს არ იყო პირველი შემთხვევა და შესაბამისად, ის პიპოსთან დაბრუნებას აღარ აპირებს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

ინგლისის ნაკრები

# კაპელოს ცრუმოძრაობა

ინგლისში ნაკრების კაპიტნობის გარშემო ალიაქოთი იზრდება: რჩება შთაბეჭდილება, რომ ბრიტანეთში რამდენიმეწლიანი ყოფნის მიუხედავად ინგლისელთა ეროვნული გუნდის იტალიელმა მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ** ბოლომდე მაინც ვერ გაიგო „სად მოხვდა და როგორი ქუდი უნდა დაიხუროს". ამას მისი სამშაბათის საქციელის მიხედვით ასკვნიან: მას მერე, რაც ცნობილი გახდა, რომ კაპელოს სამკლავურის **რიო ფერდინანდისთვის** ჩამორთმევა და **ჯონ ტერისთვის** დაბრუნება სურს, ყველა ელოდა, რომ ის მანჩესტერში ჩავიდოდა და ფერდინანდს პირადად მოუბოდიშებდა. ასე იყო კიდეც გამოცხადებული. ამბობდნენ, რომ მანჩესტერში ჩასვლა თავად კაპელომ დაგეგმა — მით უფრო, რომ ჩინებული საბაბი ჰქონდა: სამშაბათს „იუნაიტედი" ჩემპიონთა ლიგაში „მარსელს" ხვდებოდა — მაგრამ საოცარი რამ მოხდა: იტალიელი მწვრთნელი და მისი ასისტენტი **ფრანკო ბალდინი** მანჩესტერში ჩავიდნენ, ფეხბურთს დაესწრნენ, ვეტერანი კი არ უნახავთ.

შეგახსენებთ, რომ ამ ისტორიაში ბალდინიმაც ერთობ უცნაური როლი ითამაშა. როგორც კი კაპელომ ტერისთვის კაპიტნობის დაბრუნების სურვილი გაამჟღავნა, ფერდინანდმა სწორედ ბალდინის დაურეკა. მწვრთნელის ასისტენტმა მცველს უპასუხა, რომ ტერის კაპიტნობა ერთმატჩიანი იქნებოდა და 26 მარტის ანუ უელსში თამაშის შემდეგ სამკლავური მას დაუბრუნდებოდა. ეს რომ ტყუილი იყო, მეორე დღესვე გაირკვა — კაპელომ განაცხადა, რომ მას ერთმატჩიანი კაპიტანი არ სჭირდება და გუნდის ბუნებრივ ლიდერად ტერი მიაჩნია.



ფაბიო კაპელომ (მარჯვნივ) ფერდინანდთან შეხვედრა საჭიროდ არ ჩათვალა

როგორც ტაბლოიდები წერენ, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „მარსელის" თამაშის შემდეგ ფერდინანდმა „ოლდ ტრეფორდი" განბილებულმა დატოვა. მას დარჩა მწარე შეგრძნება, რომ მოატყუეს და შეურაცხყოფა მიაყენეს. ერთ-ერთ წყაროზე დაყრდნობით „სანმა" დაწერა:

*„რიო ვეღარ მიხვდა, რა ხდება მათ თავს. კაპელომ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ამიერიდან ნაკრების კაპიტანი ტერი იქნება, მაგრამ არ ეყო ვაჟკაცობა ფერდინანდთან მისულიყო და ეს პირში ეთქვა. გამოდის, რომ თუ გაზეთში წაკითხულს და ტელევიზიით მოსმენილს არ ჩავთვლით, რიომ ოფიციალურად არც კი იცის, ისევ კაპიტანია, თუ სამკლავური სხვასთან გადადის. ასე მოქცევა ადამიანთან, რომელიც წლების განმავლობაში ნაკრებს ერთგულად ემსახურებოდა არაფრით შეიძლებოდა. ეს სრული უპატივცემულობის გამოხატვა იყო".*

ბუნებრივია, მკითხველს გაუჩნდება კითხვა, რატომ ვერ შეხვდნენ მწვრთნელი და ფეხბურთელი ერთმანეთს „ოლდ ტრეფორდზე" — ფერდინანდი ხომ ტრავმის გამო არ თამაშობდა და ასეთ დროს კლუბის თანამშრომლები, სტუმრები და სხვა „საშვიანები" ერთ-ორ მეზობელ სექტორში ნაწილდებიან ხოლმე. ტაბლოიდები პასუხს ამაზეც იძლევიან და წერენ, რომ კაპელო თამაშს თვალს „დირექტორების ლოჟიდან" ადევნებდა, ფერდინანდი კი სტადიონის გადაღმა ტრიბუნაზე იჯდა.

ინგლისურმა პრესამ ისიც შეიტყო, რომ რიო ფერდინანდს ინგლისის ნაკრების ბევრმა ფეხბურთელმა მესიჯი მისწერა. ერთ-ერთში, მაგალითად, ეწერა: *„მინდა დავადასტურო შენდამი დიდი პატივისცემა. შენნაირ ადამიანებს ასე არ უნდა ექცეოდნენ".*

ასტონ ვილა

# იანგი ვილაში ვეღარ ეტევა

**ეშლი იანგის** ამბავი ასეა: „ასტონ ვილამ" რაგინდ კარგი ახალი კონტრაქტი შესთავაზოს, მაინც უარს ეტყვის და ზაფხულში პრემიერლიგის ზედა ხუთი კლუბიდან ერთ-ერთში გადავა. ინგლისის ნაკრების ფლანგის მოთამაშე დიდი ხანია „მანჩესტერ იუნაიტედს" და „ტოტენჰემს" მოსწონთ, ამ ბოლო დროს კი „არსენალსაც" მოუნდა მისი გადაბირება. ეშლი საჯაროდ, რასაკვირველია, აცხადებს, რომ ზაფხულამდე მისი გონება მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთით და „ასტონ ვილათია" დაკავებული, მეგობრებს კი ეუბნება, რომ დღესვე მზად არის ძლიერ გუნდში გადასასვლელად. მეტიც, იანგს ბირმინგემელი თანაგუნდელებისთვისაც უთქვამს, ვგრძნობ, რომ ჩემს კარიერაში მომგებიანი ტრანსფერის დრო დადგაო. ფეხბურთელის ერთ-ერთმა ახლობელმა ტაბლოიდებს უთხრა:

*„აშკარაა, რომ „ასტონ ვილა" პრემიერლიგის ოთხეულში ვერაფრით მოხვდება, ეშლიმ კი კარგად იცის — 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ ნაკრებში ადგილის დამკვიდრება არის საჭირო. ეს მხოლოდ რომელიმე ძლიერ გუნდში გადასვლით არის შესაძლებელი. მას ძალიან უყვარს „ვილა" და ბირმინგემელი ფანები, მაგრამ ზაფხულზე მათგან წავა".*

მოგეხსენებათ, „ასტონ ვილა" ახალი წლის შემდეგ შესანიშნავად ათამაშდა, რაშიც უდიდესი წვლილი ეშლი იანგს მიუძღვის. ის 25 წლისაა და ბირმინგემის კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით თანამშრომლობას ავალდებულებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ „ვილამ" გარემარბი ამ ზაფხულსვე არ გაყიდა, გაისად ამ დროს მას ხელშეკრულების ვადა ამოეწურება და თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს ბირმინგემს. ეს გუნდის მწვრთნელმა **ჟერარ ულიემ**, რასაკვირველია, ძალიან კარგად იცის, მაგრამ იმასაც ხვდება, რომ დღეს პრემიერლიგაში მისი კოზირი სწორედ იანგია. ფრანგმა მწვრთნელმა იანვარში პირდაპირი ტექსტით თქვა კიდეც, მის ახლა გაყიდვას მიჯობს კონტრაქტის ვადა ბოლომდე ამოვაწურვინო და ისე გავუშვაო. ეს კომერციული თვალსაზრისით, რასაკვირველია, დაუშვებელია.




ეშლი იანგს ინგლისური გრანდები ეპატიჟებიან

„ასტონ ვილას" იანგის წასვლაზე ლაპარაკი დღეს ნამდვილად არ აძლევდა ხელს. საქმე ის არის, რომ კლუბმა საკუთარი მცველები **რიჩარდ დანი** და **ჯეიმს კოლინზი** დასაჯა. მიზეზი: ამ წყვილმა შეკრებაზე ვარჯიშს სმა შეუთავსა. საქმის განხილვას ფეხბურთელების აგენტებიც ესწრებოდნენ. იქვე იყვნენ პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის, ანუ მოთამაშეთა პროფკავშირის წარმომადგენლებიც.

როგორ დასაჯეს დანი და კოლინზი? დანის 120 ათასი ფუნტი დაუქვითეს, ხოლო კოლინზს 90 ათასი. ეს ამ ბიჭების ორი კვირის გასამრჯელოა.

პრობლემა




**ფერნანდო ტორესმა** „ლივერპულის" ფანებთან შერიგება განიზრახა და განაცხადა, რომ „ჩელსიში" იმიტომ წავიდა, „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „მანჩესტერ სიტიში" რომ არ გადასულიყო. შეგახსენებთ, რომ ესპანელი ფორვარდი მერსისაიდიდან ლონდონში იანვარში, სატრანსფერო სეზონის დახურვის დღეს გადაბარგდა, უფრო სწორად კი გაიქცა. „ლურჯების" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩმა** მასში ბრიტანეთისთვის სარეკორდო თანხა, 50 მილიონი ფუნტი გადაიხადა. ბედის ირონიით „ელ ნინიოს" პირველივე შეხვედრამ თავისი ყოფილი გუნდის „ლივერპულის" წინააღმდეგ მოუწია. თავად ტრანსფერმა და ასეთმა დამთხვევამ ლივერპულში ბევრი გააბრაზა. ფანებმა მელვუდის საწვრთნელ ბაზასთან მისი ნომრიანი მაისურაც კი დაწვეს.

*„არ მინდოდა „მანჩესტერ სიტიში" ან „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლა. „ლივერპულისადმი" ერთგულების გამო ამას არასდროს გავაკეთებდი — თქვა ფორვარდმა, რომელსაც ზაფხულში „სიტიც" ეპატიჟებოდა და „იუნაიტედიც" — გარდა ამისა, მინდა ყველამ იცოდეს, რომ „ლივერპული", რომლიდანაც მე წავედი, აღარ იყო ის „ლივერპული" რომელშიც თავის დროზე გადავედი. ჩემთვის უკვე გაუგებარი გახდა, რა უნდოდა კლუბს, რა გზას ადგა.*

*მერედა, განა მე ვიყავი პირველი, ვინც „ენფილდ როუდი" დასტოვა? გაიხსენეთ ხაბი ალონსო, ხავიერ მასკერანო, ალვარო არბეოლა, ალბერტ რიერა და თუ გინდათ თავად მწვრთნელი რაფა ბენიტესი. კარგად რომ დავთვალოთ, 20-30 კაცი წავიდა და მიზეზი ყველას ერთი ჰქონდა, თავისი კარიერის გაუმჯობესება უნდოდათ.*

*თავიდან „ლივერპულიდან" წასვლაზე არც კი ვფიქრობდი, მაგრამ შემდეგ „ჩელსის" მატარებელმა ისე ახლოს ჩამიარა, რომ შეუძლებელი იყო არ შევმხტარიყავი. რატომ? იმიტომ, რომ ტიტულის მოგებაზე ვოცნებობდი. მინდა პრემიერლიგის ჩემპიონი გავხდე და ვიფიქრე, რომ „ჩელსის" შემადგენლობაში ამას უფრო შევძლებდი".*

მოგეხსენებათ, ესპანელ ფეხბურთელს „ჩელსისთან" შერწყმა გაუჭირდა. ის არა მარტო მოედანზე ჩანდა დაბნეული და დამფრთხალი, არამედ, როგორც ირკვევა, ლონდონშიც.

*„რამდენიმე კვირა ძალიან გამიჭირდა — გულახდილობს ტორესი — ჯერ ერთი, ქალაქი არ ვიცი, მეორეც ბინა მქონდა საშოვნელი, ოჯახი უნდა დამებინავებინა... მოკლედ, გვარიან არეულობაში ამოვყავი თავი. ლონდონის ლივერპულთან შედარება არც შეიძლება, ის გაცილებით დიდი ქალაქია და მასთან შეგუება ორმაგად ძნელია. შინიდან ვარჯიშზე მისვალს 40 წუთი ვუნდები. ხანდახან, თუ „საცობებია", მეტხანსაც... მაგრამ მე ვიცი, პრემიერლიგაში ჩემი საუკეთესო წლები ჯერ კიდევ წინ არის. ამაში ეჭვი არ მეპარება. ამწუთას, ყველაზე მეტად დამშვიდება და სასიამოვნო ფიქრებზე გადართვა მჭირდება. ახალი ცხოვრებით კმაყოფილება უნდა მივილო. „ჩელსის" ჯერ კიდევ შეუძლია როგორც პრემიერლიგის ჩემპიონობა ასევე ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება. ოთხი კვირის წინ ამაზე ვერც კი ვიოცნებებდი, ახლა კი ტიტულებზე ხმამაღლა ვლაპარაკობ. მე ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა, რადგან მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოვიგე, მაგრამ ფეხბურთელმა აუცილებლად უნდა გაიმარჯვო იმ კლუბთან ერთად, რომელშიც თამაშობ. მართალია, შინიდან შორს ვარ, მაგრამ „ჩელსი" ის გუნდია, რომელიც გამარჯვების შანსს მაძლევს. შემდგომი 50 წლის განმავლობაში ის „არსენალთან" და „მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად უმაღლესი ჯილდოებისთვის იბრძოლებს".*

ამბები

# ქეროლი სანდერლენდს უნდოდა

„სანდერლენდის" თავკაცმა **სტივ ბრუსმა** განაცხადა, რომ ცოტა ხნის წინ „ნიუკასლისგან" კინაღამ **ენდი ქეროლი** იყიდა. თუმცა, ბრუსის მონაყოლში მთავარი ის კი არ არის, რომ „სანდერლენდი" ქეროლს ყიდულობდა, არამედ ის თუ რა თანხა უჯდებოდა დღეს უკვე „ლივერპულის" ფორვარდი: ბრუსი „კაჭკაჭებს", თურმე, 4,5 მილიონ ფუნტს უხდიდა.

სტივ ბრუსს ქეროლი პირველად ორი წლის წინ მოეწონა: იმ დღეს „ნიუკასლი" მის მაშინდელ გუნდს, „უიგანს" ხვდებოდა. ახალგაზრდა თავდამსხმელი მოედანზე მოგვიანებით შევიდა და ყველაფერი ყირაზე დააყენა. მეტოქის ფორვარდით აღფრთოვანებულმა მწვრთნელმა „კაჭკაჭთა" იმდროინდელ თავკაც **ჯო კინეარს** ჩამოუგდო მის შესახებ სიტყვა და კინეარმა 4,5 მილიონი ფუნტი მოსთხოვა. ცნობისთვის, 2011-ის იანვარში, „ნიუკასლმა" ქეროლი „ლივერპულს" 35 მილიონ ფუნტად მიჰყიდა.

ეს ამბავი კი ინგლისში იმიტომ გაახსენდათ, რომ კვირას „ლივერპული" სწორედ „სანდერლენდს" ხვდება. ამ შეხვედრაში ქეროლს, სავარაუდოდ, „წითლების" სასტარტო შემადგენლობაში ვიხილავთ — ეს მისი სრულყოფილი დებიუტი იქნება ახალ გუნდში.

*„ის, რომ თავიდანვე ათამაშებენ მასაც გამოცდის წინაშე აყენებს და ჩვენც - თქვა ბრუსმა - იმედი მაქვს, ქეროლის უგოლო პერიოდი ერთი თამაშით მეტხანს გაგრძელდება. მას რომ ვუყურებ ჩემი ფეხბურთელობის წლები მახსენდება, როდესაც ჯო ჯორდანის ტიპის ფორვარდებს ვეთამაშებოდი. ჯორდანი კლასიკური ბრიტანული ყაიდის მეცხრე ნომერი გახლდათ. კიდევ, ქეროლი დანკან ფერგიუსონს მაგონებს საუკეთესო წლებში. ენდის ერთი გამორჩეული თვისება აქვს, მაღლა ახტომა შეუძლია და კოორდინირებულია.*

*„უიგანის" მწვრთნელი რომ ვიყავი ის ჩვენს წინააღმდეგ მოედანზე თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე შევიდა და გოლი გაგვიტანა. მეორე დღესვე დავრეკე ნიუკასლში, ეგ ბიჭი მომყიდეთ-მეთქი. 4,5 მილიონი დამიფასეს. ქეროლის ყიდვა ძალიან მინდონა, მაგრამ „უიგანმა" 2,5 მილიონზე მეტის გამოყოფა ვერ შეძლო".*

# ტრავმები ტოტენჰემში

„ტოტენჰემის" დიდებული სეზონი ორმა ტრავმამ რისკის ქვეშ დააყენა: მცველი **უილიამ გალასი** შეიძლება ერთი თვით გამოაკლდეს გუნდს, ნახევარმცველი **უილსონ პალასიოსი** კი ორთავა კუნთის ოპერაციამ სამი ან ოთხი კვირით დასვა ტრიბუნაზე.

33 წლის ფრანგმა ვარსკვლავმა გალასმა ფეხი სამშაბათის ვარჯიშზე იტკინა და დაუყოვნებლივ გადაიღო ნატკენ ადგილზე სურათი. „დეზების" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** თქვა: *„უილიამის ამბავი არ მომეწონა. მან ფეხი იტკინა, ჩვენ სურათი გადავიღეთ და ახლა უნდა დაველოდოთ. ცოტა ხანში გამოჩნდება რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა. გალასი „სფურზისთვის" ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და თუ მას დიდი ხნით მოუწევს მოედანს მიღმა დარჩენა, ეს ჩვენთვის სერიოზული დარტყმა იქნება".*

სხვათა შორის, იმავე ვარჯიშზე კოჭში ფეხი მოხვდა **გარეთ ბეილსაც**, რომელმაც თავის დასაზღვევად ვარჯიში დაუყოვნებლივ შეწყვიტა. „ტოტენჰემის" ექიმებმა მისი მდგომარეობა მყისვე შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ უელსელი ვარსკვლავი „ვესტ ჰემთან" შეხვედრისთვის მზად იქნება. „ტოტენჰემი" და „ვესტ ჰემი" ერთმანეთს შაბათს, თბილისის დროით 16 საათსა და 45 წუთზე ხვდებიან.

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომა

# ახალი მეპატრონე მილიონებით

## რომში მოურინიოზე ალაპარაკდნენ


ტომას დი ბენედეტო დერბიზე

საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა გუშინ იტალიურ სპორტულ პრესაში, რომლის მიხედვითაც პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ მომავალი სეზონიდან „რომას“ ახალი მფლობელი ეყოლება. სენსების ოჯახი დიდი ხანია ყიდის კლუბს და როგორც ჩანს, საბოლოო შეთანხმებას უკვე მიაღწია. ფორმალობებია მოსაგვარებელი და დედაქალაქური გუნდი ახალი პატრონის ხელში გადავა. ეს ახალი კი **ტომას დი ბენედეტო** გახლავთ, იტალიური წარმოშობის ამერიკელი ბიზნესმენი, რომელიც დიდი ხანი ცდილობდა კალჩოში მოხვედრას და როგორც ჩანს, სანადელს მიაღწია კიდეც. რომაული დერბის შემდეგ ტომასმა შემდეგი კომენტარი გააკეთა:

*„ამ თამაშს დავესწარი და უდიდესი სიამოვნება მივიღე. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ფრანჩესკო ტოტი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და აუცილებლად უნდა გავუხანგრძლივოთ ხელშეკრულება. პირველ პირში კი იმად ვლაპარაკობ, რომ კლუბის სათავეში ჩემი მოსვლა გადაწყვეტილი ამბავია. წინ დიდი მიზნები გვაქვს, ფინანსებს ნამდვილად არ დავიშურებ იმისთვის, რომ „ჯალოროსი“ განვითარების ახალ საფეხურზე ავიდეს. „რომას“ გულშემატკივრები გაცილებით მეტს იმსახურებენ, ვიდრე აქვთ და ამაში დერბის დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდა და არც სერია A-ში მისდის საქმე კარგად, ტიფოზებმა ბოლომდე დაუჭირეს მხარი ფეხბურთელებს. მინდა, რომ მათთვის რაღაც ახალი, დიდი საქმე გავაკეთო“.*

ტომას დი ბენედეტოს წარსულის და ბიზნესის შესახებ საუბარი შორს წაგვიყვანს, მხოლოდ იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომ ბეისბოლის გუნდის, „ბოსტონ რედ სოქსის“ მფლობელია და ამერიკულ სპორტულ სამყაროში მიღებული კაცია. თავის დროზე, უდიდესი ინვესტიცია ჩადო ბოსტონურ გუნდში და სავარაუდოდ, იმავეს გააკეთებს „რომაშიც“. ლაპარაკია იმაზე, რომ ტომასი გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე **ჟოზე მოურინიოს** მიწვევას აპირებს. დიდია შანსი, პორტუგალიელმა სპეციალისტმა სეზონის ბოლოს მადრიდი დატოვოს და ასეთ შემთხვევაში, „ჯალოროსის“ ახალი მფლობელი მის დაყოლიებას შეეცდება - წლიურ ჯამაგირს და სატრანსფერო ბიუჯეტს კი იმდენს მისცემს, რამდენიც თავად ჟოზეს გაუხარდება - ასე ამბობენ იტალიაში და ალბათ აქვთ კიდეც ამის საბაბი. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ **ვინჩენცო მონტელას** გაუხანგრძლივონ ხელშეკრულება. ახალგაზრდა სპეციალისტის თავკაცობით, „ჯალოროსის“ ჯერ არც ერთი თამაში არ წაუგია სერია A-ში - მართალია, საკუთარ მოედანზე ორბურთიანი უპირატესობა გაანიავა „პარმასთან“, მაგრამ მთლიანობაში, მისი მუშაობა მაინც დადებითად უნდა შეფასდეს. მით უმეტეს, „რომამ“ ყველაზე პრინციპული მეტოქე, „ლაციო“ დაამარცხა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ჩაება. თავად მონტელას დიდი იმედი აქვს, რომ მომდევნო სეზონშიც „რომას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე იმუშავებს:

*„ჩემამდეც მოვიდა ხმები ჟოზე მოურინიოს „რომაში“ შესაძლო მოსვლასთან დაკავშირებით, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ეს ნაკლებად მაღელვებს. პორტუგალიელი მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელია, მე კი ჩემს საქმეს ვაკეთებ და კონკრეტული მიზნები მაქვს დასახული. აუცილებლად უნდა მოვხვდეთ ოთხეულში, რათა ჩემპიონთა ლიგის საგზური მოვიპოვოთ, ამასთან, იტალიის თასის ნახევარფინალი გვაქვს სათამაშო. შესაბამისად, საქმეები თავზე საყრელად მაქვს და სხვებზე ფიქრისთვის არ მცალია. ისე კი, დიდი სურვილი მაქვს, რომ „რომაში“ კიდევ დიდხანს ვიმუშაო მთავარი მწვრთნელის პოსტზე“.*

ამბობენ, რომ კლუბის ახალი მეპატრონე ფულის ხარჯვას ამ ზაფხულსვე შეუდგება და პირველ რიგში, მადრიდის „ატლეტიკოდან“ **დიეგო ფორლანის** გადაბირებას შეეცდება. თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდს საკმაოდ დიდი ფასი ადევს, მაგრამ დი ბენედეტო უკან დამხევი არ ჩანს. ამ ინფორმაციებმა თავად ფეხბურთელამდეც მიაღწია, რომელმაც იტალიელ ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: *„შეიძლება თუ არა ერთ მშვენიერ დღეს იტალიაში აღმოვჩნდე? - რატომაც არა, სერია A ერთ-ერთი საუკეთესო ჩემპიონატია მსოფლიო მასშტაბით, სადაც უამრავი ვარსკვლავი ასპარეზობს. თუ საინტერესო წინადადება მექნება, სიამოვნებით განვიხილავ. თუმცა, მხოლოდ ფინანსური მხარე ჩემთვის არ არის საინტერესო, მთავარია, რომ გუნდი იყოს ძლიერი და მაღალი მიზნებისთვის იბრძოდეს. „რომა“ შესანიშნავი გუნდია და თუ კიდევ უფრო გაძლიერდება, აუცილებლად იბრძოლებს უმაღლესი მიზნებისთვის. ვნახოთ, ჯერ წინადადებაც არ მიმიღია და ბევრს ვერაფერს გეტყვით“.*

**ლაშა წიკლაური**

შალკე

# მაგათი გააგდეს! რანგნიკი ბრუნდება?

## ფელიქსს ფულის გაფლანგვაში ადანაშაულებენ. რეჰაგელი კი არა, გელზენკირხენში პროფესორი რალფი მიდისო...

როგორც მოსალოდნელი იყო, „შალკეს“ სამეთვალყურეო საბჭომ, რომლის რიგგარეშე სხდომა გუშინ გაიმართა და რომელსაც, როგორც მოსალოდნელი იყო, **ფელიქს მაგათი** არ დაესწრო, „დესპოტი ფელიქსი“ გელზენკირხენული კლუბის მთავარი მწვრთნელისა და მენეჯერის თანამდებობიდან გაათავისუფლა.

*„შალკეს“ ხელმძღვანელებს რამდენიმე მიზეზი გვქონდა იმისა, რომ ასეთი ნაბიჯი გადაგვედგა,* - აღნიშნა საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონიესმა**, - *დეტალებზე საჯაროდ საუბარს არ ვაპირებთ, რადგან წინ იურიდიული კვლევა გველის. გადაწყვეტილება, რომელიც ოთხშაბათს მივიღეთ, „შალკესთვის“ საუკეთესო გამოსავალია. გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ეკონომიკური რევიზია ჩავატარეთ და აღმოვაჩინეთ, რომ მენეჯერი მაგათი ყველაფერს ისე არ აკეთებდა, როგორც უნდა გაეკეთებინა.“*

მაგათის მედიაადვოკატის, **რალფ ჰიოკერის** თქმით, ფელიქსმა არ იცის და ვერ ხვდება, რა დაარღვია და რა გააკეთა არასწორად მენეჯმენტში. *„უბრალოდ, კლემენს ტიონიესი ფელიქსს ველარ იტანს და დაიწყო მიზეზის ძებნა, რაც მაგათის გათავისუფლებას გაამართლებდა,“* - უთხრა ჰიოკერმა „კიკერს“ და იქვე დასძინა, ფელიქსი სხდომაზე იმიტომ არ გამოცხადდა, რომ ამას აზრი არ ჰქონდაო.

ყველაფერს, რასაც მენეჯერი მაგათი აკეთებდა, ახლა ნაწილობრივ **ჰორსტ ჰელდტი** შეითავსებს, ნაწილობრივ კი **პეტერ პეტერსი**. ამ უკანასკნელის საქმე ფინანსების განკარგვა იქნება, ჰელდტი კი მარკეტინგს მიხედავს. რაც შეეხება ბრალდებებს: ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „შალკეს“ ბოსები ფელიქსს იმაში ადანაშაულებენ, რომ მან რამდენიმე ძვირად ღირებული ტრანსფერი სამეთვალყურეო საბჭოს დასტურის გარეშე განახორციელა, რითაც გუნდის კანონები დაარღვია. ამ ბრალდებით, ტიონიესსა და კომპანიას მაგათისთვის იმ 12 მილიონის გადახდა არ სურთ, რომელიც „დესპოტ ფელიქსს“ კონტრაქტის დარჩენილი ვადის გამო ეკუთვნის.

რაც შეეხება მწვრთნელი ფელიქსის შემცვლელს: ტიონესის თქმით, სამეთვალყურეო საბჭო უკვე ეძებს სათანადო კანდიდატს, რომლის ვინაობა ძალიან მალე გაირკვევა. ამ დღეებში ვრცელდებოდა ცნობები იმის შესახებ, რომ მაგათს აუცილებლად **ოტო რეჰაგელი** შეცვლიდა. ამ უკანასკნელის კანდიდატურა დღის წესრიგიდან არც მოხსნილა, უბრალოდ, სხვა უფრო სარფიანი ვარიანტი გაჩნდა.

„ბილდი“ იუწყება: ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ მაგათს „შალკეს“ ყოფილი მწვრთნელი **რალფ რანგნიკი** შეცვლის, რომელიც ბოლოს „ჰოფენჰაიმს“ წვრთნიდა, საიდანაც იანვარში წავიდა. ამ დღეებში კი გაირკვევა, როდის ჩაიბარებს „პროფესორი რალფი“ **ლევან ყენიას** გუნდს – ახლავე, თუ ზაფხულში. თუკი რანგნიკი ზაფხულიდან დათანხმდება, მაშინ „შალკეს“ სეზონის ბოლომდე რეჰაგელს ჩააბარებენ, თუ არა და რანგნიკი საქმეს პირველ აპრილს შეუდგება. მანამდე კი, „შალკეს“ მაგათის ასისტენტი **ზეპო აიხკორნი** ავარჯიშებს.

**გოტფრიდ ლენცი**



ფელიქს მაგათი „შალკეს“ მწვრთნელი აღარ არის. ლევან ყენიას გუნდს დროებით მისი ასისტენტი ზეპო აიხკორნი (მარცხნივ) ავარჯიშებს

დაზარალებული

# როსიმ კივუ დააფასა

## იბრა კი უზრდელიაო


კივუმ როსი გაიმეტა, მაგრამ იბრასგან განსხვავებით მოუბოდიშა

**მარკო როსისთვის** მიმდინარე სეზონს წარმატებულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, მისი „ბარი“ ბოლო ადგილზეა სატურნირო ცხრილში და პრაქტიკულად გავარდნილია კიდეც სერია B-ში - ამასთან,. ვისაც არ ეზარება ყველა ამ ფეხბურთელს იმეტებს საცემრად. გავიხსენოთ „ინტერი“-„ბარის“ შეხვედრა და ის ეპიზოდი, როდესაც როსის **კრისტიან კივუმ** სახეში ჩაარტყა ხელი და ძირს დაანარცხა. მაშინ, რუმინელის არასპორტული საქციელი ვერ შენიშნა მატჩის მთავარმა არბიტრმა და კივუმ შეხვედრა ჩვეულებრივად ჩაამთავრა. თუმცა, სადისციპლინო კომიტეტს არ გამოჰპარვია ეპიზოდი და მოგვიანებით, კრისტიანს რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კივუმ ინანა უმსგავსო საქციელი და ბოდიში საჯაროდ მოიხადა.

გავიდა ხანი და მარკო როსის მეორე მილანური გრანდის ფეხბურთელი ეუხეშა, ამჯერად **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**. გასულ ტურში, შვედმა ხელი ჩაარტყა მეტოქეს მკერდის არეში და „ბარის“ უკანახაზელი კვლავ გაზონზე აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში, კარგად გაერკვა არბიტრი ვითარებაში და ზლატანი მოედნიდან გააგდო, რასაც სადისციპლინო კომიტეტის საკმაოდ მკაცრი ვერდიქტი: სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოჰყვა. შედეგად, იბრას სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თამაშის, მილანური დერბის გამოტოვება მოუწევს. მოვეშვათ იბრას და მარკო როსის გადავცეთ სიტყვა, რომელიც აღნიშნულ ინციდენტებს იხსენებს:

*„სიმართლე გითხრათ, „ინტერთან“ მატჩი უფრო მწარედ მახსენდება, რადგან კივუმ სახეში ჩამარტყა და ეს ძალიან, ძალიან მტკივნეული იყო. ამასთან, არბიტრმა ვერ შენიშნა რუმინელის ქმედება და იგი მოედანზე დატოვა. ტკივილს უსამართლობის განცდა დაემატა, რასაც მარცხიც მოჰყვა და საშინელ განწყობაზე დავდექი. იბრას დარტყმა ნაკლებად მტკივნეული იყო, ამასთან შვედი დაისაჯა და გაძევებულ იქნა მოედნიდან, რასაც ჩემპიონატის ლიდერთან ქულის აღება მოჰყვა, რამაც უზომოდ გამახარა. ამასთან, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ კივუ ღირსეული ადამიანი აღმოჩნდა - რუმინელმა მეორე დღესვე დამირეკა და ბოდიში მომიხადა. ძალიან დამწუხრებული იყო მომხდარით და მთელი გულით მოინანია. რაც შეეხება ზლატანს, არც დაურეკავს და არც თამაშის შემდეგ ვუნახავარ. უზარდელია, რადგან არავითარი სურვილი არ აქვს, რომ ჩადენილის გამო ბოდიში მოიხადოს“.*

**ლაშა წიკლაური**

უდინეზე

# პრემიები ლიგის საგზურისთვის

„უდინეზეს“ გასული წლის დეკემბრის შემდეგ არ წაუგია, შესანიშნავად ასპარეზობს სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში და სრულიად დამსახურებულად იბრძვის ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის. ასეთ წარმატებას არც გულშემატკივრები ელოდნენ და არც კლუბის პრეზიდენტი, რომელიც სიხარულისგან მეცხრე ცაზეა. **ჯამპაოლო პოცოს** თქმით, თუ გუნდმა შეინარჩუნა ადგილი ოთხეულში, თითოეული ფეხბურთელი პრემიალურ თანხას მიიღებს. მოვუსმინოთ პრეზიდენტს და ყველაფერს უკეთ გავიგებთ:

*„სეზონის წინ, მიზნად ევროსაგზურის მოპოვება დავისახეთ, მაგრამ ასეთ წარმატებულ ასპარეზობას ნამდვილად არ ველოდი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი გვყავს იტალიაში და სეზონის სტარტზე რომ ბლომად ქულები არ დაგვეკარგა, აუცილებლად ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებდით. ყველა სიკეთესთან ერთად, გუნდის თამაშის ყურებაა ძალიან სასიამოვნო, რადგან სანახაობრივ ფეხბურთს ვაჩვენებთ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ფრანჩესკო გვიდოლინს, რომელიც ჩვენს იმედებს სრულად ამართლებს. აქვე ვიტყვი, რომ თუ „უდინეზემ“ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, თითოეული ფეხბურთელი პრემიალურ თანხას, 150 ათას ევროს მიიღებს. იმედია, ეს ასეც მოხდება და ჯიბეზე ხელის გაკვრა მოგვიწევს“.*

**ლაშა წიკლაური**

დორტმუნდის ბორუსია

# უკანასკნელი მოჰიკანიც მიდის

## 13-წლიანი ერთგულების შემდეგ, დედეს და დორტმუნდის გზები გაიყოფა

გერმანიის ჩემპიონობისთვის გამზადებულ დორტმუნდის „ბორუსიაში“ დიდი ერა მთავრდება. სამშაბათს, ვესტფალიურმა კლუბმა ოფიციალურად დადასტურა, რომ ბრაზილიელ მარცხენა მცველ **დედესთან** ახალი კონტრაქტი არ გაფორმდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი და „ბორუსიას“ 13-წლიანი თანამშრომლობა დასასრულს უახლოვდება.

დედე „დორტმუნდში“ 1998 წელს, „ატლეტიკო მინეიროდან“ გადავიდა და მაშინ 20 წლის გახლდათ. გუნდში ახალი გადასული იყო, როცა თქვა, სამწლიან კონტრაქტს შევასრულებ და მერე აქედან წავალ, რადგან გერმანიაში ძალიან ცივა, მე კი სითბო მიყვარსო. მას მერე 13 წელი გავიდა და დედე დღემდე არსად წასულა. მეტიც: ბრაზილიელი მარცხენა მცველი დორტმუნდის პუბლიკის უსაყვარლესი მოთამაშე გახდა. ლეონარდო დე დეუს სანტოსი „ბორუსიასთან“ კონტრაქტს კონტრაქტზე აფორმებდა და დაცვის მარცხენა ფლანგზე წლების მანძილზე ენაგადმოგდებული დარბოდა. არადა, „ბორუსიას“ დატოვება არაერთხელ შეეძლო – განსაკუთრებით კი მაშინ, როცა გუნდი გაკოტრების პირას იყო მისული. დედე უმაღლესი კლასის ფეხბურთელი გახლდათ, რის გამოც მას მთხოვნელები არასდროს აკლდა. მაგრამ დედემ „ბორუსიას“ 13 წლის მანძილზე უერთგულა და ახლაც მხოლოდ იმიტომ ტოვებს, რომ ძირითადი შემადგენლობიდან სამუდამოდ ამოვარდა – ბრაზილიელი ახალგაზრდა **მარსელ შმელცერს** კონკურენციას ვერ უწევს, არადა, კიდევ 3-4 წლის მანძილზე სურს უმაღლეს დონეზე თამაში. და რაკი ეს „ბორუსიაში“ უკვე შეუძლებელია, 32 წლის დედე მიდის და სავარაუდოდ, სამშობლოში დაბრუნდება.

პრესკონფერენციაზე, სადაც ოფიციალურად გაცხადდა, რომ ზაფხულში დედეს და დორტმუნდის გზები გაიყოფა, ბრაზილიელი სპორტულ დირექტორ **მიხაელ ცორკთან** ერთად წარდგა. მათ ერთმანეთი მხოლოდ აქეს, დედემ კი თქვა, რომ გული წყდება, „ბორუსიადან“ წასვლა რომ უწევს. გული წყდება ცორკსაც – განსაკუთრებით იმიტომ, რომ სპორტულ დირექტორად რომ დაინიშნა, დედეს ტრანსფერი მისთვის პირველი იყო.

*„დორტმუნდიდან წასვლა ძალიან მიმძიმს, მინდოდა, რომ კარიერა აქ დამემთავრებინა, მაგრამ ამაზე ჯერ არ ვფიქრობ, ფეხბურთის თამაში კიდევ 3-4 წლის მანძილზე მინდა. ვხვდები, რომ „ბორუსიას“ ჩემზე მეტად ახლა შმელცერი სჭირდება და არ მაქვს უფლება, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტია მოვითხოვო,“* - თქვა დედემ.

ბრაზილიელმა „ბორუსიას“ მაისურით ბუნდესლიგაში 319 მატჩი ჩაატარა და 12 გოლის გატანა მოახერხა. BVB-ისთან ერთად, 2002 წელს გერმანიის ჩემპიონი გახდა და იმავე წელს უეფას თასის ფინალშიც ითამაშა (2:3 ფეიენოორდთან). ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას გამოცდილი ბრაზილიელი. გამორიცხული არ არის, რომ გერმანიაშიც დარჩეს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

# თვითმკვლელობა ბავარიულად

## როგორ დასაჯა პანდევმა ბაიერნი, ალიანს არენა და მთელი მიუნხენი

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა „ალიანს არენაზე“ INTER, INTER, VAFANCULO ქუხდა. იმ დროს „ბაიერნი“ 2:1-სიგებდა, „ინტერს“ კი ორი გოლი სჭირდებოდა და არ გვიკვირს, მიუნხენური კლუბის ქომაგებს თავიანთი რეკორდმაისტერი უკვე მეოთხედფინალში რომ ეგონათ. ზემოხსენებული სიტყვების სკანდირება მიუნხენელებს არც **ვესლი სნეიდერის** გოლის (63-ე წუთზე) შემდეგ შეუწყვეტიათ, რადგან „ბაიერნს“ 2:2-იც ჰყოფნიდა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე, **სამუელ ეტო'ომ** კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დიდი ფეხბურთელია, „ბაიერნის“ მცველებს კიდევ ერთხელ დასცა შიშის ზარი და „საიდანღაც გამომტყვრალ“ **გორან პანდევს** უგემრიელესი პასი მისცა, მაკედონიელმა კი „ბაიერნი“, „ალიანს არენა“ და ზოგადად მთელი მიუნხენი დასაჯა – 2:3 და ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული ტიტულის შენარჩუნებისთვის ბრძოლას აგრძელებს, გერმანული რეკორდმაისტერი კი წელს უტიტულოდ რჩება. ეს წარმატება იტალიის სერია A-ს საგაისოდ ჩემპიონთა ლიგაში მეოთხე ადგილს ვერ დაუბრუნებს, მაგრამ „ინტერმა“ (ისევ და ისევ „ინტერმა“) კიდევ ერთხელ მოახერხა და იტალია ევროტურნირების გარეშე არ დატოვა - „ნერაძური“ ერთადერთი აპენინური კლუბია, რომელიც ევროპას შემორჩა.

საინტერესო ისაა, რომ მიუნხენურ კლუბი ევროტურნირების პლეი ოფებში სტუმრად რომ იგებდა, მერე მომდევნო ეტაპზე ყოველთვის გადიოდა ხოლმე (ასეთი შემთხვევა სულ 21-ჯერ დაფიქსირდა). ახლა კი პირველად მოხდა ისე, რომ „ბაიერნმა“ სტუმრად მოიგო, მაგრამ ეტაპი ვერ გადალახა. თანაც, „ბაიერნს“ საკუთარ კედლებში „ინტერი“ აქამდე არასდროს დაუმარცხებია.

მატჩის შემდეგ **ბასტიან შვაინშტაიგერმა მარკო მატერაციზე** გაიწია, მერე კი თქვა, **ზინედინ ზიდანის** ახლა უკვე ძალიან კარგად მესმის – მატერაცი ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე ცდილობდა ჩემს პროვოცირებას და საფინალო სასტვენის შემდეგაც ცუდი რაღაცები მომაძახაო...

### მატჩის წინ

„ბაიერნის“ დაცვის ცენტრში კიდევ ისეთი წყვილი ვიხილეთ, როგორსაც აქამდე არასდროს უთამაშია: **ლუის ვან გაალმა დანიელ ვან ბუიტენს** გვერდით **ბრენო** ამოუყენა, **ლუის გუსტავო** კი საყრდენ ნახევარმცველად, **ბასტიან შვაინშტაიგერის** გვერდით გაამწესა. შესაბამისად, **ტონი კროოსი** სათადარიგოთა სკამზე დარჩა. „ინტერის“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ვიხილეთ **ხავიერ ძანეტი** – გრიპის გამო. **ლეონარდომ** არგენტინელი **ტიაგო მოტათი** შეცვალა. ბევრისთვის მოულოდნელად, **ლუსიომ** მოედანზე გასვლა შეძლო.

| | 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი | |
|---|---|---|
| ბაიერნი (გერმანია) | 2:3 | ინტერი (იტალია) |

**პირველი მატჩი 1:0**

15 მარტი. მიუნხენი. ალიანს არენა. 69 000 მაყურებელი

**ბაიერნი:** კრაფტი - ლამი, ბრენო (90. კროოსი), ვან ბუიტენი (70. ბადშტუბერი), პრანიჩი - რობენი (68. ალტინტოპი), გუსტავო, შვაინშტაიგერი, რიბერი - მიულერი, გომესი.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი - მაიკონი, რანოკია, ლუსიო, კივუ (87. ნაგატომო) - სტანკოვიჩი (51. კოუტინიო), მოტა, სნეიდერი, კამბიასო - პანდევი (90. ხარჯა), ეტო'ო.

**გოლები:** 0:1 ეტო'ო (3), 1:1 გომესი (21), 2:1 მიულერი (31), 2:2 სნეიდერი (63), 2:3 პანდევი (88)

**არბიტრი:** პედრო პროენჩა (პორტუგალია)



### მატჩი

შეხვედრა მიუნხენური გრანდისთვის ძალიან ცუდად დაიწყო, მაგრამ კარგად გაგრძელდა. ეტო'ომ „ინტერი“ უკვე მეოთხე წუთზე დააწინაურა, თუმცა უნდა ითქვას, რომ მსაჯს შეეძლო, კამერუნელზე თამაშგარე მდგომარეობა დაეფიქსირებინა. ხაზს ვუსვამთ, შეეძლო. თუმცა რეკორდმაისტერმა წონასწორობის აღდგენა ძალიან მალე, 21-ე წუთზე შეძლო: ისევე, როგორც პირველ მატჩში, **მარიო გომესმა** (მე-8 გოლი ჩემპიონთა ლიგაში) ამჯერადაც **ჟულიო სეზარის** შეცდომით ისარგებლა. ცხრა წუთში კი, ბავარიელები სულაც წინ გავიდნენ: მოტასგან ასხლეტილი ბურთი **თომას მიულერს** მიუვიდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში მესამე გოლის გატანა შეძლო.

ზუსტად ხუთ წუთში მიუნხენელებს მესამე გოლის გატანაც მართებდათ, როცა **რიბერი** ლუსიოს გადაახტა, **ჟულიო სეზართან** ფაქტობრივად პირისპირ გავიდა, მაგრამ მილანელთა მეკარემ ამჯერად ივარგა და ფრანგ დრიბლიორს ხელი შეუშალა. არ გასულა ოთხ წუთზე მეტი და „ბაიერნს“ კიდევ ერთი ძალიან კარგი მომენტი შეექმნა: გომესის აქტიურობის შემდეგ, ბურთი „ინტერის“ კარის ხაზის გასწვრივ მიგორავდა, როცა **რანოკიამ მიულერს** დაასწრო, მაგრამ ბურთი სწორედ მას მოარტყა, რის შემდეგაც „ნერაძური“ უკვე ძელმა იხსნა.

აი, ასეთი ამბები ხდებოდა პირველ ტაიმში – ცოტა მეტი იღბალი და შესვენებისას ტაბლოზე ისეთი ანგარიში იკიაფებდა, რომელიც „ინტერს“ მეოთხედფინალში გასვლის შანსს არ დაუტოვებდა, მაგრამ...

მეორე ტაიმის დასაწყისში არაფერი შეცვლილა. 62-ე წუთზე კი ბავარიელებმა კიდევ ერთი რეალური მომენტი ვერ გამოიყენეს (გომესის დარტყმა ჟულიო სეზარმა მოიგერია), რის შემდეგაც „ბაიერნის“ დასჯას დაედო სათავე: 63-ე წუთზე სნეიდერმა ბრწყინვალე გოლით ანგარიში გაათანაბრა, 88-ეზე კი პანდევმა ეტო'ოს პასით გაიტანა გოლი, რომელმაც მეოთხედფინალში იტალიური გრანდი გაიყვანა, გერმანული კი ამ სეზონში უტიტულოდ დატოვა.

### რეაქციები

**ლუის ვან გაალი** („ბაიერნის“ მწვრთნელი): *„ამ სეზონში ოთხჯერ თუ ხუთჯერ ვაჩუქეთ მეტოქეებს გამარჯვება. დღესაც ასე მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ მილანელებს ჩვენზე გაცილებით ნაკლები საგოლე მომენტები ჰქონდათ, ჩვენზე მეტი გოლი გაიტანეს. შესვენებაზე ვთქვით, რომ უფრო კომპაქტურად უნდა ვმდგარიყავით, მაგრამ ეს მაინც არ გაკეთდა. ვფიქრობ, ძალიან მძიმე შეცდომები დავუშვით და მეტოქეს გოლები მარტივად გავატანინეთ, თუმცა ფეხბურთელებზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი – მათ დღეს ბოლომდე იბრძოლეს და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ არ მომხდარიყო ის, რაც სამწუხაროდ მოხდა.“*

**გორან პანდევი** (ინტერი): *„მე არ განვეკუთვნები ისეთ თავდამსხმელთა რიცხვს, რომლებიც სეზონში 20-30 გოლს იტანენ ხოლმე. ჩემი სტილი შრომაა, ბევრი მუშაობა გუნდისთვის. ამაზე გაცილებით უკეთესი თამაშები ჩამიტარებია, მაგრამ ეს ჩემი კარიერის უმნიშვნელოვანესი მატჩი გამოდგა.“*

**ლეონარდო** („ინტერის“ მწვრთნელი): *„ისეთი თამაში იყო და ისეთი გამარჯვება ვიზეიმეთ, რომელსაც ვერაფრით ახსნი – ეს უბრალოდ უნდა გამოსცადო. ჩვენ მოვიგეთ და ეს გამარჯვება პირდაპირ გულიდან მოდის. კარგად დავიწყეთ და ანგარიშიც გავხსენით, მაგრამ მერე ჩვენს კართან თუ კარში ისეთი რაღაცები ხდებოდა, კაციშვილი ვერ იფიქრებდა, რომ თამაშს შემოვატრიალებდით. ჟულიო სეზარის შეცდომა? ჩვენ ეს წინასწარ დავგეგმეთ, რათა მერე ძალიან მოგვენდომებინა. ხუმრობა იქით იყოს და ვფიქრობ, ჟულიო სეზარის მატჩის შემდგომი ცრემლები ყველაფერზე უსიტყვოდ მეტყველებს. ეს ისტორიული გამარჯვებაა და ის, რაც დღეს მოხდა, ყველას უჩვენებს, როგორი შეიძლება იყოს „ინტერი“. ფეხბურთის ხარისხი ჩემთვის ემოციებისა და გამოცდილების ხარისხის მიხედვით განისაზღვრება. შესაძლოა, ამ შეხვედრაში არაერთხელ დავკარგეთ თავი, მაგრამ პირველიდან ბოლო წუთამდე თამაშში ვიყავით ჩართულები.“*

### TOP ფეხბურთელი

ვესლი სნეიდერი (ინტერი)

მიუნხენელებმა ჰოლანდიელს ვერაფერი მოუხერხეს. სნეიდერისთვის ნებისმიერ დროს შეიძლებოდა პასის მიცემა და თავისი ბრწყინვალე, უზუსტესი პასებით ხომ „ტვინი შეუჭამა“ „ბაიერნის“ უკანახაზელებს. გარდა ამისა, ვესლიმ ულამაზესი და რაც მთავარია, უაღრესად მნიშვნელოვანი გოლიც შეაგდო. მასთან ერთად, აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ სამუელ ეტო'ო და ანდრეა რანოკიაც.

### FLOP ფეხბურთელი

ბრენო (ბაიერნი)

ბრაზილიელ მცველს „ინტერის“ სამივე გოლში მიუძღოდა ბრალი. სნეიდერის გოლის დროს ეტო'ოს ვერ მიხედა, პანდევის გოლის მომენტში კი კამერუნელს თავი იოლად გაასულელებინა.

### მსაჯი

პორტუგალიელი **პედრო პროენსა** არასტაბილური იყო. ზოგჯერ ისეთ ორთაბრძოლას ჩასტვენდა, ჯარიმის დადება საჭირო რომ არ იყო, ზოგჯერ კი ზედმეტის უფლებას აძლევდა ფეხბურთელებს. ეტო'ოს გოლის მომენტში თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირება შეიძლებოდა, მაგრამ პორტუგალიელი არბიტრი ლაინსმენებს ენდო.

### ანალიზი

სტარტიდან 4 წუთის შემდეგ ორივე გუნდის ტაქტიკური მომზადება მაკულატურად გადაიქცა, რადგან „ინტერმა“ სწრაფი გოლი შეაგდო. „ნერაძური“ 4-2-3-1-დან 4-2-1-3-ზე გადაეწყო, სნეიდერმა მარცხნივ გადაინაცვლა, პანდევმა მარჯვნივ, **სტანკოვიჩმა** კი ორი საყრდენის წინ, ათიანის პოზიციაზე დაიკავა ადგილი: ეს იყო „ინტერის“ ულტრაშემტევი ტაქტიკა.

კამერუნელის გოლმა „ბაიერნს“ ყველაფერი ჩაუშხამა და ვან გაალის გუნდს დაახლოებით 15 წუთი დასჭირდა იმისათვის, რომ ყველაფერში გარკვეულიყო და თამაში დაელაგებინა. მილანელები კი მთელი გუნდით ბურთსუკან დადგნენ და ზონებს კარგად კეტავდნენ. ხოლო როცა „ნერაძური“ ბურთს ეუფლებოდა, სნეიდერი უკან იხევდა და ყველა შეტევის გაკონტროლებას თვითონ ცდილობდა. მას და სტანკოვიჩს შეტევების დროს საკმაოდ ჭკვიანურად ეხმარებოდა ტიაგო მოტაც. მიუნხენელთაგან თავიდან ლუის გუსტავო იყო უსუსტესი წერტილი.

„ინტერის“ ბრწყინვალე დასაწყისს ჟულიო სეზარის უპატიებელი შეცდომა და „ბაიერნის“ გოლი მოჰყვა. სწორედ აქედან დაიწყო „ბაიერნის“ ფრთაშესხმული შეტევები. გომესის გოლის შემდეგ სიტუაციას მთლიანად მიუნხენელები აკონტროლებდნენ, „ინტერის“ დაცვაში კი სრული ქაოსი შეიქმნა და ერთადერთი ფეხბურთელი, რომელზეც აუგს ვერ ვიტყვით, რანოკიაა. ფაქტია, ბავარიელებს მეტად რომ გამართლებოდათ, პირველ ტაიმს 4:1-ს მოიგებდნენ.

მეორე ტაიმი კი, თავდაცვის თვალსაზრისით ორივე გუნდმა მაღალ დონეზე დაიწყო. „ბაიერნის“ უკანა ხაზმა თავდაჯერება მას მერე დაკარგა, როცა ვან გაალმა საკმაოდ კარგად მოთამაშე **ვან ბუიტენი** მოედნიდან გაიყვანა – ლუისის აშკარა შეცდომა. ბოლო ფაზაში ორივე მხარეს იმატა შეცდომებმა, დასჯით კი „ბაიერნი“ დაისაჯა. რეკორდმაისტერს ბრენოს შეცდომა ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის ფასად დაუჯდა.

| | 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი | |
|---|---|---|
| მანჩესტერი (ინგლისი) | 2:1 | მარსელი (საფრანგეთი) |

**პირველი მატჩი 0:0**

15 მარტი. მანჩესტერი. ოლდ ტრეფორდი. 73 996 მაყურებელი

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ვან დერ სარი - ო'ში (36. რაფაელი, 70. ფაბიო), ბრაუნი, სმოლინგი, ევრა - ნანი (62. ვალენსია), სქოულზი, ქერიკი, გიგზი - ერნანდესი, რუნი.

**მარსელი:** მანდანდა - ფანი, ჰაინცე, დიავარა, ტაივო - ლუჩო გონსალესი, მ'ბია (80. ჟ. აიეუ), შეირუ - რემი, ა. აიეუ, ჟინიაკი (69. ვალბუენა)

**გოლები:** 1:0 ერნანდესი (5), 2:0 ერნანდესი (75), 2:1 ბრაუნი (82 ს.კ.)

**არბიტრი:** კარლოს ველასკო კარბალიო (ესპანეთი)

# ზედიზედ მეხუთე მეოთხედფინალი, სერ!

## ჟინიაკისგან მეტს ველოდით, ჩიჩარიტო FOREVER

მანჩესტერელებმა მატჩის მიწურულს ცოტა კი ინერვიულეს, მაგრამ ამის გარეშე არც შეიძლება. სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი ზედიზედ მეხუთედ გავიდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, მარსელელებს კი 1993 წლის შემდეგ პირველად შეეძლოთ და ვერ მოახერხეს იგივე.

### მატჩამდე

ასოციაციის თასზე „არსენალთან“ 2:0-ის შემდეგ, **ფერგიუსონმა** ძირითადი შემადგენლობა ოთხ ადგილზე შეცვალა: **ვიდიჩის** (ტრავმა), **რაფაელის, ფაბიოსა და გიბსონის** (სამივე სკამზე იჯდა) ნაცვლად, ფერგიმ სასტარტოში **ქერიკი, გიგზი, სქოულზი** და **ნანი** გაამწესა. ვიდიჩთან ერთად, „მანჩესტერს“ ფერდინანდი, **ფლეტჩერი, ევანსი, პარკი, ოუენი** და **ანდერსონიც** აკლდა. სამაგიეროდ, **ლუის ანტონიო ვალენსია** ექვსთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ დაბრუნდა და შეცვლაზე ითამაშა.

**დიდიე დეშამმა** კი მოედანზე ზუსტად იგივე შემადგენლობა გაიყვანა, რომლითაც „რენს“ გასულ უქმეებზე 2:0 მოუგო: ერთადერთი ცენტრფორვარდი **ჟინიაკი** გახლდათ, შეტევების კონტროლი კი ჩვეულებისამებრ **ლუჩო გონსალესს** დაევალა. დაცვის ცენტრში **დიავარასა** და **ჰაინცეს** ტანდემი ვიხილეთ, ტრავმირებული **ვალბუენა** სკამზე იჯდა, სკანდალისტი **ბრანდაო** კი განაცხადშიც არ ყოფილა.



ჩიჩარიტოს გოლს ულოცავენ

### TOP ფეხბურთელი

ხავიერ ერნანდესი (მანჩესტერი)

ჩიჩარიტომ „მარსელთან“ მატჩში კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რატომ ამოაგდო ფერგიუსონმა **დიმიტარ ბერბატოვი** ძირითადი შემადგენლობიდან და რატომ ენდობა **ხავიერ ერნანდესს**. ჩიჩარიტო ორჯერ „საჭირო დროს, საჭირო ადგილზე“ აღმოჩნდა, ორი გოლი გაიტანა და „მანჩესტერი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაიყვანა.

### FLOP ფეხბურთელი

ანდრე-პიერ ჟინიაკი (მარსელი)

მიუხედავად იმისა, რომ „მანჩესტერის“ დაცვა იმპროვიზებული იყო, „მარსელის“ ცენტრფორვარდმა აბსოლუტურად ვერაფერი გააწყო. მისგან ყველანი გაცილებით მეტს ველოდით.

### მსაჯი

ესპანელ **კარლოს ველასკოს** ორთაბრძოლების შეფასებისას შეცდომა არ დაუშვია. სამაგიეროდ, ყვითელი ბარათის ამოღება უჭირდა. მაგალითად, **ევრა** ორჯერ იმსახურებდა გაფრთხილებას – **ლუჩოსთან** (მე-14 წუთზე) და **რემისთან** (47) ორთაბრძოლების გამო.

### ანალიზი

„მარსელი“ მაშინ დაიღუპა, როცა სწრაფი გოლი გაუშვა. ამის შემდეგ მანჩესტერელებს შეტევაში სიმძაფრე აკლდათ, რაც ლოგიკურიც იყო, „ოლიმპიკმა“ კი შეძლო გარკვეული დროის შემდეგ აზრზე მოსვლა და თამაშს უფრო და უფრო აუმჯობესებდა. დეშამის გუნდიდან **შეირუ** უნდა გამოვყოთ, რომელიც ყველაზე მეტს იბრძოდა.

როგორც ჩანს, ფერგიუსონმა შესვენებაზე სწორი და დროული შენიშვნები მისცა შეგირდებს: მანკუნიანელებმა მეორე ნახევრიდან ბურთზე უფრო მყაითი კონტროლი დააწესეს და უფრო თავდაჯერებულებიც გახდნენ. რაც მთავარია, „იუნაიტედის“ იმპროვიზებული დაცვაც დასტაბილურდა. თანაც, ფერგის ბიჭებმა მეორე გოლიც გაიტანეს. მართალია, ჰაინცეს გოლმა ფრანგებს იმედის ნაპერწკალი გაუღვივა, მაგრამ მანკუნიანელებმა ველოდრომელებს მეტი აღარაფერი გააბედვინეს...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წუხანდელი მატჩები

# რეალი დანაყევლილი აღარ არის!

1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი

**რეალი (ესპანეთი) 3:0 ლიონი (საფრანგეთი)**

**პირველი მატჩი 1:1**

16 მარტი. მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ. 70 034 მაყურებელი

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი – სერხიო რამოსი, პეპე, რ. კარვალიო, მარსელო – ჩაბი ალონსი, ხედირა – დი მარია (79. გრანერო), იოზილი, კ. რონალდო (74. ადებაიორი) – ბენზემა (84. ლ. დიარა).

**ლიონი (4-1-2-2-1):** ლორისი – რევეილერი, კრისი, ლოვრენი, სისოხო – ტულალანი – გურკუფი (69. პიე), კალსტრიომი – ბრიანი (46. გომისი), დელგადო (80. პიანიჩი) – ლისანდრო ლოპესი.

**გოლები:** 1:0 მარსელო (37), 2:0 ბენზემა (66), 3:0 დი მარია (76)

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: რეალი
პირველი კუთხური: რეალი
პირველი ჯარიმა: ლიონი
პირველი გაფრთხილება: რეალი

| | | |
|---|---|---|
| 19 (10) | დარტყმა | 6 (3) |
| 12 | ჯარიმა | 18 |
| 9 | კუთხური | 4 |
| 2 | გაფრთხილება | 2 |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

**არბიტრი:** დამირ სკომინა (სლოვენია)




1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი

**ჩელსი (ინგლისი) 0:0 კოპენჰაგენი (დანია)**

**პირველი მატჩი 2:0**

16 მარტი. ლონდონი. სტემფორდ ბრიჯი. 36 454 მაყურებელი

**ჩელსი (4-4-2):** ჩეხი – ბოსინგვა, ივანოვიჩი, ტერი, ე. კოული – რამირესი, ობი მიკელი (84. ესიენი), ლემპარდი, ჟირკოვი (75. მალუდა) – ანელკა (68 ფერნანდო ტორესი), დროგბა.

**კოპენჰაგენი (4-2-2-1-1):** ვილანდი – ვენდტი, იორგენსენი, ანტონსონი, ბენგტსონი (61. ზოჰორე) – კლაუდემირი, კვისტი – ბოლანოსი (89. კრისტენსენი), ვინგაარდი (74. სანტინი) – გრონკიაერი – ნ'დოიე.

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: კოპენჰაგენი
პირველი კუთხური: კოპენჰაგენი
პირველი ჯარიმა: კოპენჰაგენი
პირველი გაფრთხილება: ჩელსი

| | | |
|---|---|---|
| 25 (7) | დარტყმა | 8 (2) |
| 16 | ჯარიმა | 14 |
| 10 | კუთხური | 3 |
| 1 | გაფრთხილება | 2 |
| 45% | ბურთის ფლობა | 55% |

**არბიტრი:** სვენ ოდვარ მოენი (ნორვეგია)



UEFA CHAMPIONS LEAGUE

მორჩა, ამიერიდან „ლიონს" „რეალის" წყევლას ველარ ვუწოდებთ: „სამეფო გუნდმა", როგორც იქნა, შეძლო ფრანგული გრანდის დამარცხება (მერვე მცდელობისას) და როგორც იქნა, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპიც გადალახა. თანაც, მადრიდელებმა ეს ყველაფერი ძალიან დამაჯერებლად გააკეთეს, დაამარცხეს რა „ლიონი" საამაყო ანგარიშით - 3:0. **კლოდ პუელის** გუნდი **ჟოზე მოურინიოს** სამწყსოს მეტ-ნაკლებად ტოლ-სწორად მხოლოდ პირველ ტაიმში ეთამაშებოდა და როცა **ქარიმ ბენზემამ** ანგარიში 2:0 გახადა, ცხადი გახდა, რომ „რეალს" მეოთხედფინალში გასვლა აღარ გაუჭირდებოდა. „სანტიაგო ბერნაბეუს" პუბლიკა გახარებულია: „რეალმა" შვიდწლიანი პაუზის შემდეგ, პირველად მოახერხა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლა.

მადრიდელებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და უკვე მე-4 წუთზე მართებდათ ანგარიშის გახსნა, როცა **მარსელოს** დარტყმა **ლორისმა** მოიგერია, ერთი წუთის შემდეგ კი **სამი ხედირასაც** შეექმნა მომენტი და ბურთი ძელს მოარტყა, თუმცა გერმანელი თამაშგარე მდგომარეობაში იყო. მერე ფრანგებიც გამოცოცხლდნენ და მე-13 წუთზე **ლისანდრო ლოპესმა** სცადა **იკერ კასილიასის** შეწუხება, თუმცა არაფერი გამოუვიდა, რადგან ბურთი „რეალის" კარს საკმაოდ დიდი მანძილით ასცდა. სამაგიეროდ, დარტყმა კარგი გამოუვიდა **დელგადოს** (22-ე წუთზე), მაგრამ კასილიასი მოწოდების სიმაღლეზე იდგა. 27-ე წუთზე უკვე **კრიშტიანო რონალდომ** შეაწუხა „ლიონის" მეკარე და ლორისი აიძულა, თავისი ოსტატობა გამოევლინა. ათი წუთის მერე კი მარსელომ ძალიან ეფექტური გოლი გაიტანა – რონალდოსთან შესაშური კომბინაცია გაითამაშა, „ლიონის" მცველები ტექნიკურად მოიშორა და ლორისის კარი დალაშქრა – 1:0. ხუთ წუთში ბურთი მეორედ აღმოჩნდა „ლიონის" კარში, მაგრამ მსაჯმა ბენზემაზე თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა...

პუელმა შესვენების შემდეგ მოედანზე **გომისის** სახით მეორე ცენტრფორვარდი შეუშვა, უნიათო **ბრიანი** კი მოედნიდან გაიყვანა, მაგრამ „ლიონის" თამაშში ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა. მადრიდელები მოედანზე მიმდინარე მოვლენებს უპრობლემოდ აკონტროლებდნენ და მომენტებს ქმნიდნენ. გოლის გატანის შანსი ბენზემას, **იოზილსა** და **სერხიო რამოსს** მიეცათ. იმ დროს, როცა პუელის გუნდი შეტევაში ღირებულს ვერაფერს ქმნიდა, მადრიდელები უფრო და უფრო თავისუფლად თამაშობდნენ, რასაც მოჰყვა კიდეც ბენზემას გოლი, რომელმაც ამ წყვილის ბედი, თამამად უნდა ვთქვათ, საბოლოოდ გადაწყვიტა – „ლიონი" ორი გოლის გამტანს არ ჰგავდა. ეს ბენზემასთვის მეექვსე გოლი იყო ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში. 72-ე წუთზე გომისმა კასილიასი ცოტათი კი აანერვიულა, მაგრამ აბა, ეს რა მოსატანია. ცოტა ხანში **ანხელ დი მარიამ** საბოლოო წერტილი დასვა – 3:0.

მეორე მატჩზე კი სალაპარაკო ბევრი არაფერია: „ჩელსის" კოპენჰაგენში 2:0 ჰქონდა მოგებული და არცაა გასაკვირი, **კარლო ანჩელოტის** შეგირდები საპასუხო, ფაქტობრივად ფორმალობად ქცეულ მატჩს ოდნავ ზერელედ რომ მიუდგნენ. რაკი „კოპენჰაგენიც" არ უქნია ღმერთს „სტემფორდ ბრიჯზე" მოსაგებად, არცთუ ისე საინტერესო შეხვედრაში 0:0 დაფიქსირდა და მოლოდინისამებრ, „ჩელსიც" ნახევარფინალშია.

ხვალ მეოთხედფინალისა და ნახევარფინალის წილისყრაა...

**გოტფრიდ ლენცი**

ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩების წინ




ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ „ვილიარეალი" მეოთხედფინალში გავა

# რუსები დიდ გულზე არიან

## თავი ქუდში ჯერ არავის აქვს

**დღეს**

| | |
|---|---|
| მანჩესტერ სიტი-დინამო კ. | 22:00 (0:2) |
| პსჟ-ბენფიკა | 22:00 (1:2) |
| სპარტაკი-აიაქსი | 22:00 (1:0) |
| ზენიტი-ტვენტე | 22:00 (0:3) |
| პორტუ-ცსკა | 00:05 (1:0) |
| ლივერპული-ბრაგა | 00:05 (0:1) |
| რეინჯერსი-პსვ | 00:05 (0:0) |
| ვილიარეალი-ლევერკ.. | 00:05 (3:2) |

დღევანდელი 8 წყვილიდან ზუსტად ვერ იტყვი, რომ ორრაუნდიანი დაპირისპირების ბედი უკვე გადაწყვეტილია. არადა, 8-დან სამში მასპინძლები სტუმრად მოგებული მატჩის გათვალისწინებით, წინ არიან, ერთ დუელში კი პირველ მატჩში დიდი ანგარიში დაფიქსირდა. მაგრამ მეოთხედფინალში გასვლის შანსს ყველა ინარჩუნებს, თუნდაც ჰოლანდიის ჩემპიონთან 0:3 განადგურებული სანკტ პეტერბურგის „ზენიტი".

მოსკოვში „სპარტაკი" „აიაქსთან" მატჩში დაახლოებით 40 ათასი გულშემატკივრის მხარდაჭერას ელის. პირველ მატჩში ლამის სულ ჰოლანდიური კლუბი უტევდა, გოლი კი რუსულმა გაიტანა. ასე რომ, მეორე მატჩის წინ ფავორიტი უკვე „სპარტაკია". პირველ შევხედრაში ევროთასებს შემორჩენილი ერთადერთი ქართველი **ჯანო ანანიძე** სათადარიგო იყო და „ამსტერდამ არენაზე" თავის გამოჩენის შანსი არ მისცემია. იქნებ, **ვალერი კარპინმა** საპასუხო მატჩში დააყენოს სასტარტოში 18 წლის ქართველი.

**ფრანკ დე ბური** (აიაქსი): *„ახლა უკვე „სპარტაკია" ფავორიტი. 70% მათია, 30 - ჩვენი. თუმცა ბრძოლას ბოლომდე ვაპირებთ. ამსტერდამში ორ ათეულამდე საგოლე შანსი შევქმენით, მაგრამ ერთი გოლიც ვერ გავიტანეთ. დარწმუნებული ვარ, შანსები რუსეთშიც გვექნება, მთავარია, ისინი გამოვიყენოთ".*

**ვალერი კარპინი** (სპარტაკი): *„გპირდებით, რომ ძალიან დიდი სხვაობა იქნება იმ გუნდს, რომელმაც „როსტოვთან" ითამაშა და იმას შორის, რომელიც ხუთშაბათს გავა მოედანზე. ფსიქოლოგიური პრობლემები ბიჭებს „როსტოვთან" 0:4-ის შემდეგ არა აქვთ".*

ცსკა-ს, საშინაო მარცხის მიუხედავად, პორტუგალიაში 3 ათასი ფანი გაყვა. ფრთხილობს „პორტუს" ახალგაზრდა თავკაცი **ანდრე ვილას-ბოასიც** ფრთხილობს: *„ცსკა ძალიან სახიფათო მეტოქეა, მაგრამ ჩვენი კლასი მეტოქეს კიდევ ერთხელ უნდა ვანახოთ. სამწუხაროა, რომ საკუთარი ფედერაცია ანგარიშს არ გვიწევს და ორშაბათს გვათამაშა. ახლა რუსებს ერთი დღით მეტი გამოუვიდათ დასვენება",* - გეცნოთ ალბათ სტილი - **ჟოზე მოურინიოს** ყოფილ ასისტენტს ბევრ რამეში ამგვანებენ მას, პირველ რიგში ნიჭში, თუმცა კალენდარზე ბუზღუნიც გადაულია მასწავლებლისგან.

„ზენიტის" თავკაც **ლუჩანო სპალეტის** ეიმედება, რომ 0:3 მარცხის მიუხედავად, მომდევნო ეტაპზე სწორედ მისი გუნდი გავა: *„მე ძლიერი ფსიქოლოგი ვარ და ყოველთვის რეალისტად ვრჩები. ბიჭებს ერთი სული აქვთ, როდის იძიებენ შურს. ჩვენი დიდი ლამაზი ქალაქის პრესტიჟისთვის ვიბრძოლებთ. თუკი გოლს მალე გავიტანთ, თამაშის სიუჟეტი ერთიანად შეიცვლება".*

ვალენსიას მხარის პატარა ქალაქ ვილიარეალში, „ელ მადრიგალზე" ევროპის ლიგას შემორჩენილი ერთადერთი ესპანური კლუბი, ლა ლიგის პრესტიჟის დაცვას „ლევერკუზენთან" შეეცდება. ესპანელებმა **ნილმარის** მიერ 94-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით წინაა - პირველი მატჩი 3:2 მოიგო. „ელ მადრიგალზე" მასპინძლებმა ევროპის ლიგის ყველა მატჩი მოიგო, ამასთან სულ 2 გოლი გაუშვა. ამიტომაც, გერმანელების შანსებს სკეპტიკურად ვუყურებთ.

მანჩესტერში რობერტო მანჩინის „სიტი" კიევში 0:2-ის ამოქაჩვას შეეცდება. მალე „სიტის" თასზე „იუნაიტედთან" მატჩი აქვს. იტალიელ სპეციალისტს კი ძალზე უჭირს ფეხბურთელთა გონების კიევის „დინამოსთან" მატჩზე მომართვა. ინგლისში დიდ ინტერესს იწვევს კიეველთა ვეტერანი ვარსკლავის, **ანდრეი შევჩენკოს** თამაში.

ბრიტანეთში კიდევ ორი მატჩია: „ლივერპული" „ბრაგასთან" 1-ბურთიანი სხვაობის აღმოფხვრას შეეცდება, გლაზგოში კი „რეინჯერსი" და „ეინდჰოვენი" ყველაფერს თავიდან იწყებენ, პირველი მატჩი 0:0 მორჩა. პარიზში პსჟ ლისაბონის „ბენფიკას" მასპინძლობს, პირველი შეხვედრა პორტუგალიურმა გრანდმა 2:1 მოიგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### არგენტინა. კლაუსურა. V ტურის მიმოხილვა

# ნიკო 2+2

## ჩიჩისოლას ლაფსუსი

**ლანუსი-ხიმნასია 0:0**

**ოლიმპო-ოლ ბოისი 1:0**

**გოლი:** 1:0 მაჯოლო (61)
**გაძევება:** ე. დომინგესი (90. ოლ ბოისი)

**ტიგრე-ბანფილდი 1:2**

**გოლები:** 0:1 კ. გარსია (23), 1:1 მორალესი (55), 1:2 ფერეირა (90)
**გაძევება:** ბუსტამანტე (70. ბანფილდი)

**სან ლორენსო-ბოკა ხუნიორსი 1:0**

**გოლი:** 1:0 ა. ტორესი (66)

**არხენტინოს ხუნ.-არსენალი 1:0**

**გოლი:** 1:0 სალსედო (77)

**ესტუდიანტესი-გოდოი კრუსი 0:1**

**გოლი:** 0:1 დამონტე (61)

**კოლონი-რასინგი 0:4**

**გოლები:** 0:1 ლუგუერსიო (15), 0:2 ტ. გუტიერესი (41), 0:3 ტ. გუტიერესი (71), 0:4 აუჩე (84)

**რივერ პლ.ი-ველეს სარსფ. 1:2**

**გოლები:** 0:1 ს. სილვა (35), 1:1 პავონე (48-პენ), 1:2 ს. სილვა (84)

**ურაკანი-ქილმესი 2:1**

**გოლები:** 1:0 სარატე (39), 2:0 კამპორა (67), 2:1 კაუტერუსიო (79)

**ინდეპენდიენტე-ნიუელსი 4:0**

**გოლები:** 1:0 კაბრერა (3), 2:0 კაბრერა (11), 3:0 სილვერა (24), 4:0 კასტილიო (79)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რასინგი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-5 | 12 |
| 2. სან ლორენსო | 5 | 3 | 1 | 1 | 8-3 | 10 |
| 3. ოლიმპო | 5 | 3 | 1 | 1 | 12-9 | 10 |
| 4. ბანფილდი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| 5. ესტუდიანტესი | 5 | 3 | 0 | 2 | 5-3 | 9 |
| 6. რივერი | 5 | 2 | 2 | 1 | 4-2 | 8 |
| 7. ველესი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-6 | 8 |
| 8. არსენალი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-5 | 7 |
| 9. გოდოი | 5 | 2 | 1 | 2 | 10-9 | 7 |
| 10. ლანუსი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 11. არხენტინოსი | 5 | 1 | 4 | 0 | 3-2 | 7 |
| 12. ტიგრე | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 7 |
| 13. კოლონი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-10 | 7 |
| 14. ურაკანი | 5 | 1 | 3 | 1 | 7-8 | 6 |
| 15. ინდეპენდიენ. | 5 | 1 | 2 | 2 | 6-6 | 5 |
| 16. ხიმნასია | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 |
| 17. ოლ ბოისი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |
| 18. ბოკა | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |
| 19. ნიუელსი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-11 | 4 |
| 20. ქილმესი | 5 | 0 | 0 | 5 | 3-9 | 0 |

**ბომბარდირები:** 5 - ესეკიელ მაჯოლო (ოლიმპო), ესტებან ფუერტესი (კოლონი), ტეოფილო გუტიერესი (რასინგი); 4 - დიეგო ვალერი (ლანუსი).

კლაუსურას ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს - „რასინგმა" საწყისი 5 ტურიდან 4 მოიგო და 12 ქულით პირველია.



ნიკოლას კაბრერა (მარცხნივ) ტურის გმირია

ბოლო ტურში „რასინგმა" სტუმრად „კოლონს" შავი დღე აყარა - 4:0 მოუგო. დღეისათვის, ყველაზე ძლიერი არგენტინული კლუბი ობიექტურად ლიდერობს გათამაშებას, თუმცა ეს ჯერ ბევრს არაფერს ნიშნავს - „ვერცხლისფერ ქვეყანაში" ჩემპიონატი მოკლე კია, მაგრამ მოვლენებით დახუნძლული. კლაუსურას დასრულებამდე ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

„რივერ პლეიტის" 20 წლის მეკარე **ლეანდრო ჩიჩისოლამ** პროფესიულ კარიერაში პირველი გოლი გაუშვა. ეს ოდესღაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ველესელი **სანტიაგო სილვას** გოლს კურიოზულიც აღარ ეთქმის. ახალგაზრდა მეკარეს ბურთი ფეხით შეჰყავდა, როცა მოქნეული ბურთს ააცილა და იქვე მყოფმა სილვამაც იხეირა. სხვათა შორის, უკვე შემდეგ ტურში „რივერის" კარში **ხუან პაბლო კარისო** ჩადგება.

პრიმერაში ზედიზედ 13 მატჩი ვერ მოეგო „ინდეპენდიენტეს" - 10 ოქტომბრიდან დღემდე. ამ ხნის განმავლობაში „წითელმა ეშმაკებმა" მოიგეს კოპა სუდამერიკანა და გავიდნენ კოპა ლიბერტადორესის კვალიფიკაციაში, აი, ჩემპიონატში კი ვერა და ვერ ყოჩაღობდნენ. ეს უსიამოვნო სერია 40 წლის **ანტონიო მოჰამედის** გუნდმა „ნიუელს ოლდ ბოისის" განადგურებით (4:0) შეწყვიტა.

„ურაკანისა" და „ქილმესის" მატჩში სადებიუტო სამი ქულა ჩაიწერა მასპინძელთა თავკაცმა **რობერტო პომპეიმ**, ხოლო სტუმართა დებიუტანტმა მწვრთნელმა **რიკარდო კარუსო-ლომბარდიმ** მარცხი იგემა.

### ტური ციფრებში

ტურში 21 გოლი გავიდა (2,1 საშუალოდ მატჩში), 11:10 მასპინძელთა სასარგებლოდ. დუბლები შეასრულეს „რასინგის" კოლუმბიელმა ფორვარდმა **ტეოფილო გუტიერესმა**, „ველეს სარსფილდის" შემტევმა სანტიაგო სილვამ და „ინდეპენდიენტეს" ნახევარმცველმა **ნიკოლას კაბრერამ**. კლაუსურას პირველ ჰეთ-თრიკს კი ჯერ კიდევ ველით.

### ტურის გმირი

**ნიკოლას კაბრერა** (ინდეპენდიენტე): მან კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. უკვე მე-11 წუთისთვის „ნიუელსის" კარში დუბლი შეასრულა, შემდეგ კი თანაგუნდელების დახმარებაზე გადავიდა - ორი საგოლე პასი მიითვალა. სხვათა შორის, „ნიკო" 2008 წელს სწორედ „ნიუელსში" თამაშობდა.

### ტურის გოლი

**აურელიანო ტორესი** (სან ლორენსო): მან ცენტრიდან დრიბლინგით „ბოკას" საჯარიმოს მისადგომებს მიაღწია და იქიდან გაისროლა.

არ შეიძლება **სესარ ლუის მენოტის** თემის გარეშე ტურის მიმოხილვის დასრულება. მოგეხსენებათ, ლეგენდარულ მწვრთნელს სიგარეტის წევის დამოკიდებულების გამო ფილტვებზე ოპერაცია დასჭირდა. როგორც ჩანს, 72 წლის მენოტის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. შეგახსენებთ, რომ 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი არგენტინამ მენოტის თავკაცობით მოიგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### თავისუფალი ჭიდაობა. მეტოქეები

# ახალი ამბები მსოფლიოს თასიდან

## ოლიმპიურ ჩემპიონთა დაბრუნება

გუშინ თავისუფალ ჭიდაობაში ორი ოლიმპიური ჩემპიონის სპორტში დაბრუნებაზე გავრცელდა ინფორმაცია. ლაპარაკია რუსეთის ნაკრების დაღესტნელ ფალავნებზე - **მავლეტ ბატიროვსა** (60) და **შირვანი მურადოვზე** (96). მოგეხსენებათ, ამ უქმეებზე მახაჩყალაში მსოფლიოს თასი ტარდება, რომელსაც ეს ვარსკვლავებიც ესწრებიან და იქაურმა ჟურნალისტებმა დრო უქმად არ დაკარგეს.

ეროვნებით ლეკ ოლიმპიურ ჩემპიონ მურადოვს პეკინში გამარჯვების შემდეგ თითქმის არც უჭიდავია და სპორტიდან წასვლის შესახებ ხმებმაც არ დააყოვნა. მით უფრო, მოგვიანებით გავრცელდა ცნობა, რომ მან ადგილობრივ არჩევნებში გაიმარჯვა და საკუთარი რაიონის თვითმმართველობითი ორგანოს დეპუტატი გახდა. ახლა ირკვევა, რომ სპორტიდან მისი გაუჩინარების მიზეზი ტრავმები ყოფილა და არა პოლიტიკური საქმიანობა. *„ოლიმპიადის შემდეგ ტრავმებმა გამაწვალა. მუხლზე უკვე მეხუთე ოპერაცია გავიკეთე. როგორც იქნა, ვარჯიში დავიწყე, მაგრამ მყესები ისევ გამიწყდა და კვლავ დამჭირდა ოპერაცია"* - თქვა მან. მოგეხსენებათ, ყველაფერს აქვს დასაწყისიც და დასასრულიც — მურადოვის ტრავმებიც დამთავრდა. მან უკვე განაახლა ვარჯიში, თუმცა ჯერ გადაჭრით მაინც ვერ ამბობს, როდის იჭიდავებს ოფიციალურ შეჯიბრებას. *„რამდენიმე თვეა, ისევ დავიწყე ვარჯიში. ვიმედოვნებ, წლეულს ნამდვილად დავუბრუნდები ლეიბს, მაგრამ რომელ ტურნირზე მოხდება ეს და რომელი შეჯიბრებისთვის ვიქნები მზად, ახლა კონკრეტულად ვერ გეტყვით. მთავარია, კონკურენციის დაძლევის დიდი სურვილი მაქვს"* - დასძინა მურადოვმა. სურვილი ერთია, შესაძლებლობა კი - მეორე. ფიზიკური კონდიციებიდან გამომდინარე მურადოვი რამდენად მზადაა კონკურენციის დასაძლევად, დრო გვიჩვენებს, თუმცა ეს არც ისე შეუძლებელი ჩანს. ამ წონაში რუსთა ლიდერად კვლავაც ოსი მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **ჰაჯიმურატ გაცალოვი** რჩება, მაგრამ მას უკვე ასაკი ნელ-ნელა ეპარება. შედეგად შარშან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი წააგო, წლეულს კი შინაურ ასპარეზზეც დამარცხდა, ივან იარიგინის სახელობის საერთაშორისო ტურნირში. თან ამ ბოლოს ტრავმებიც მოუმრავლდა, ხელი ახლაც სტკივა. შარშან ამ წონაში ახალი კადრიც გამოჩნდა - **იური ბელონოვსკი**, მაგრამ იარიგინის ტურნირის მოგების შემდეგ ღირებული არაფერი გაუკეთებია. ამასობაში მურადოვს მრისხანე კონკურენტი თავისსავე ნაკრებში წამოეზარდა - დაღესტანის გუნდის ეროვნებით კუმიკი წევრი **შამილ ახმედოვი**, რომელიც შარშან ახალგაზრდებში ჩვენი **დავით ხუციშვილის** (74) მსგავსად, ევროპის ჩემპიონიც გახდა და მსოფლიოსიც, წლეულს კი იარიგის ტურნირიც მოიგო და ამ თვის ბოლოს ევროპის პირველობაზეც გამოვა. ის მზარდი და უდავოდ ძლიერი ახალგაზრდაა, მურადოვის სავარაუდო კონკურენტად კი ქართველი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **გიორგი კეტოევიც** რჩება. ოღონდ მასაც ტრავმები აწუხებს და თან როგორც იქაურები ამბობენ, არც სათანადოდ ვარჯიშობს. სათვალავიდან ნურც დაღესტანის ნაკრების კიდევ ერთ წევრს, ავარელ **იბრაგიმ საიდოვს** ამოვაგდებთ, რომელიც ბოლო წლებში თვით გაცალოვსაც კი სისხლს უშრობს და შარშან რუსეთის ჩემპინატის ფინალიც მოუგო. თუმცა შემდეგ საერთაშორისო ტურნირებში არ გამოვიდა და მსოფლიოზე მაინც გაცალოვი წაიყვანეს, საიდოვი კი საერთოდ ჩაიკარგა კონკურენციაში. ცხადია, მურადოვისთვის ამდენი სიძნელის დაძლევა არ იქნება იოლი, მაგრამ ახლანდელი კონკურენცია მაინც ცოტა უფრო სუსტი გვგონია, ვიდრე - პეკინის ოლიმპიადის წინ იყო.

რაც შეეხება მურადოვის მეტოქეობას ქართველებთან, ძირითადად ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონს, ოლიმპიურ მედალოსან **გიორგი გოგშელიძეს** ხვდებოდა. ვერ ვიტყვით, რომ ის ჩვენებურისთვის ღვთის საჩუქარი იყო.

ჯანმრთელობის მხრივ ბევრად ცუდად ჰქონია საქმე ეროვნებით ავარელ ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ მავლეტ ბატიროვს - მისთვის ნალვლის ბუშტიც კი ამოუჭრიათ. ამიტომ დღეს ისიც ვერ გაურკვევია, რომელ წონაში იჭიდაოს - დარჩეს 60-ში თუ გადავიდეს 66-ში. საქმე ისაა, რომ 60-ში დარჩენის შემთხვევაში საკმაოდ ბევრის დაკლება მოუწევს, რასაც ექიმები უკრძალავენ - წონის კლება სწორედ ღვიძლსა და ნაღველს აწვება ყველაზე დიდ ტვირთად, 66-ში კი შარშან რუსეთის ჩემპიონატზე მოსინჯა ძალები, მაგრამ წააგო. თან, წლეულს 66-ში იარიგინის ტურნირი მისმა უმცროსმა ძმამ - **ადამ ბატიროვმა** მოიგო ანუ იქ თუ გადავა, ძმებს ისევ ერთმანეთში მოუწევთ კონკურენცია (ადრე ადამიც 60-ში ჭიდაობდა). *„არ ვნანობ, მაშინ 66-ში რომ გამოვედი, რადგან მაინტერესებდა, როგორ წარიმართა რეაბილიტაციის პროცესი. ტურნირმა დამანახა, რომ სრულად კიდევ არ ვიყავი გამოჯანმრთელებული. ამიტომ იმ წაგებას წონას ვერ დავაბრალებ. ვგრძნობ, ახლა ბევრად უკეთესად ვარ. ცხადია, არა ისე, როგორც ადრე ვიყავი, მაგრამ ამტანობა და გამძლეობა უკეთესია. რუსეთის ჩემპიონატი გადამწყვეტი იქნება, თუმცა, ვფიქრობ, მანამდეც შევძლებ კონკურენტების დამარცხებას ალი ალიევის სახელობის ტურნირსა და სხვა შეჯიბრებებში"* - განაცხადა ბატიროვმა. მის არყოფნაში ამ წონაში რუსთაგან ყველაზე მეტად ტუვინი **ოპან სატი** დაწინაურდა - შარშან ევროპის ჩემპიონი გახდა, თუმცა აქ კიდევაა რამდენიმე სოლიდური ფალავანი.

### დაღესტნური საპრიზო სიგიჟე

ცხადია, ოლიმპიურ ჩემპიონებს მომავალ მსოფლიოს თასზეც დაეკითხნენ და მათაც დიდი ენთუზიაზმით ილაპარაკეს ამ შეჯიბრებაზე, რომელიც პირველია რესპუბლიკისთვის. „მსოფლიოს თასი დიდი ზეიმია ყველა დაღესტნელისთვის - ჩვენთვის ხომ თავისუფალი ჭიდაობა ეროვნული სპორტის სახეობაა, რომელიც ყველას უყვარს. გვჯერა, ის სრული ანშლაგით ჩაივლის და დიდი დღესასწაული იქნება. მაყურებელი დიდ სიამოვნებას მიიღებს, ტრიბუნებზე მაქსიმალური დასწრება და აჟიოტაჟი გარანტირებულია" - ასეთი პათოსით უპასუხეს მათ ჟურნალისტთა შეკითხვებს. ჩემპიონებმა იმასაც გაუსვეს ხაზი, რომ შარშან აშენებული შეჯიბრების მასპინძელი ალი ალიევის სახელობის 5-ათასიანი დარბაზი რესპუბლიკისთვის დიდი შენაძენია. საორგანიზაციო კომიტეტს რომ სათავეში ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდენტი **მაგომედსალამ მაგომედოვი** უდგას, ადრეც დავწერეთ. ის და რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის მინისტრი **არსენალი მურთაზალიევი** ყოველდღიურად ამოწმებენ სამზადისს და ყველა წვრილმანს უმკაცრესად აკონტროლებენ. გუშინ ისიც გითხარით, რომ მასპინძლებმა საპრიზო ფონდი გაზარდეს - FILA-ს მოთხოვნილი მინიმალური რაოდენობა, 150 ათასი დოლარი 166 ათასამდე აიყვანეს, ახლა კი კიდევ დაუმატეს და 240 ათას დოლარამდე გაზარდეს! სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ იქაურები რაღაც დიდისთვის ემზადებიან და იმიტომ ხარჯავენ ამხელა თანხებს. სავარაუდოდ, ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატს უმიზნებს - ამ თემამ გაიჟღერა იქაურთა კომენტარებში მით უფრო, საჩუქრების მოყვარული ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **რაფაელ მარტინეტი** უკვე მახაჩყალაშია და აქებს და ადიდებს მასპინძლებს.

საპრიზო ფონდის გაზრდის ინიციატივით სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი **საგიდ მურთაზალიევი** გამოსულა, თანხების მოზიდვა კი დაღესტანის ბიზნეს-ელიტამ უზრუნველყო, კონკრეტულად კი მურთაზალიევის და ასევე ცნობილი სპორტსმენების - **შამილ უმახანოვისა** და **გამიდ გამიდოვის** სახელობის ფონდებმა (ნეტავ, ასეთ ფონდს და ასეთ თანადგომას საქართველოში თუ მოვესწრებით!), „ელიტბანკმა", შამპანურის ღვინოების ქარხანა „დენებიმ" და კონიაკის ქარხანა „დერბენტიმ". ცხადია, გაიზარდა ანაზღაურება კონკრეტულ მედალოსნებზეც. თუ ძველი ნიხრით, გამარჯვებული 80 000 დოლარს მიიღებდა, ახლა 100 000 ერგება. ვიცე-ჩემპიონის წილ 50 000-ს დოლარსა და ბრინჯაოს პრიზიორის სარგო 30 000-ს ახლა 10-10 ათასი დოლარი დაემატა. ცხადია, გაიზრდებოდა მომდევნო ადგილებზე გასულთა და მწვრთნელთა ანაზღაურება, თუმცა ამაზე კონკრეტულად არაფერს წერენ.

**ირაკლი თავაძე**

### ესპანეთი

# ერიკ აბიდალს ღვიძლის კიბო აქვს

## ყველაფერი კარგად იქნება...



გუშინ საზოგადოებამ მეტად მოულოდნელი ამბავი შეიტყო - „ბარსელონას" ფრანგ მცველ **ერიკ აბიდალს** ღვიძლის სიმსივნე აქვს. ოპერაციის გადადება მეტი არ შეიძლებოდა და ის დღეს ბარსელონას კლინიკაში დაწვება, აბიდალს ოპერაციას ცნობილი ექიმი **ხოსეპ ფუსტერ ობრეგონი** გაუკეთებს. მეტ დეტალებს „ბარსელონას" ოფიციალური საიტი აღარ იტყობინება, რადგან კლუბი ფრანგი ფეხბურთელის პირად ცხოვრებაში ჩაურევლობას იცავს.

მოკლედ, მეტად მძიმე ვითარებაა - არაა ცნობილი, რა სიმძიმისაა სიმსივნე, როდის დაბრუნდება მინდორზე გამოცდილი მცველი და დაბრუნდება თუ არა საერთოდ ფეხბურთში.

*„ერიკს ბოლომდე დავუდგებით გვერდში ბიჭები. მინდა გამოვხატო ჩვენი სიყვარული მისი პერსონისადმი. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად იქნება"*, - განაცხადა შოკირებულმა **ანდრეს ინიესტამ**.

31 წლის აბიდალის მხარდაჭერა საჯაროდ გამოხატეს **ჟერარდ პიკემ** და კაპიტანმა **კარლეს პუიოლმა**. სხვათა შორის, „ბარსელონას" ფეხბურთელის გამხნევება დაუძინებელი მტრის ბანაკიდანაც სცადეს - „რეალის" ბრაზილიელმა ვარსკვლავმა **კაკამ** თქვა: *„მოდი, ვილოცოთ ერიკისთვის. ეს ყველაზე სამწუხარო ამბავია, რაც ბოლო დროს შევიტყვე"*. **კრიშტიანო რონალდომ** იმედი გამოთქვა, რომ ერიკი მალე გამოჯამრთელდება და ისევ შეძლებს ფეხბურთის თამაშს. აბიდალი გაამხნევეს **სესკ ფაბრეგასმა, ანდრეს პალოპმა, დიეგო ფორლანმა, რიო ფერდინანდმა, ჯუზეპე როსიმ, ჯეკ უილშირმა** და სხვებმა. ფეხბურთელები სოციალური ქსელების საშუალებით აქტიურობენ, რათა მძიმე დროს გვერდში დაუდგნენ ერიკ აბიდალს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სუპერლიგა. XVI ტურის MVP: ილია ლონდარიძე

### სტატისტიკური ლიდერები

**ქულა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ქ. | ქ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 16 | 366 | 22.88 |
| 2. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 13 | 274 | 21.08 |
| 3. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 14 | 264 | 18.86 |
| 4. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 12 | 212 | 17.67 |
| 5. დუდა სანაძე | ბათუმი | 9 | 157 | 17.44 |
| 6. იუჯინ ჰარისი | სოხუმი | 8 | 139 | 17.38 |
| 7. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 15 | 255 | 17 |
| 8. ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 14 | 233 | 16.64 |
| 9. რევაზ ჩაჩანიძე | აგრარული | 16 | 259 | 16.19 |
| 10. კოტე ტულუში | არმია | 15 | 241 | 16.07 |
| 11. ზვიად ბაბიაშვილი | არმია | 15 | 240 | 16 |

**მოხსნა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | მეტ. | საკ. | ჯამი | მ.საშ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 16 | 66 | 114 | 180 | 11.25 |
| 2. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 12 | 51 | 74 | 125 | 10.42 |
| 3. ლაშა კეშელავა | ბათუმი | 15 | 39 | 115 | 154 | 10.27 |
| 4. ილია ლონდარიძე | თსუ | 16 | 72 | 87 | 159 | 9.94 |
| 5. დავით იმნაძე | შსს | 10 | 36 | 60 | 96 | 9.6 |
| 6. კოტე ტულუში | არმია | 15 | 27 | 106 | 133 | 8.87 |
| 7. კარლ დამუსი | სოხუმი | 16 | 56 | 83 | 139 | 8.69 |
| 8. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 16 | 51 | 88 | 139 | 8.69 |
| 9. დავით უგრეხელიძე | არმია | 9 | 37 | 41 | 78 | 8.67 |
| 10. ჟულივეტ ტუჯანი | შსს | 15 | 41 | 84 | 125 | 8.33 |

**პასი**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | პ. | პ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 16 | 102 | 6.38 |
| 2. კოტე ტულუში | არმია | 15 | 89 | 5.93 |
| 3. იუჯინ ჰარისი | სოხუმი | 8 | 43 | 5.38 |
| 4. ბექა წიწნივაძე | შსს | 15 | 76 | 5.07 |
| 5. ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 14 | 70 | 5 |
| 6. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 13 | 58 | 4.46 |
| 7. ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 12 | 53 | 4.42 |
| 8. დავით არწივიძე | აგრარული | 10 | 43 | 4.3 |
| 9. რევაზ დიდია | ქუთაისი | 13 | 53 | 4.08 |
| 10. ტატო თავართქილაძე | სამედიცინო | 14 | 57 | 4.07 |

**ჩაჭრა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | ჩ. | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 16 | 49 | 3.06 |
| 2. ირაკლი გულისაბედაშვილი | სამედიცინო | 15 | 42 | 2.8 |
| 3. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 14 | 36 | 2.57 |
| 4. ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 15 | 38 | 2.53 |
| 5. ბუბა ბერიშვილი | არმია | 15 | 38 | 2.53 |
| 6. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 13 | 32 | 2.46 |
| 7. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 16 | 36 | 2.25 |
| 8. დუდა სანაძე | ბათუმი | 9 | 20 | 2.22 |
| 9. შალვა კოხრეიძე | თსუ | 9 | 20 | 2.22 |
| 10. გიორგი მარხვაშვილი | თსუ | 9 | 19 | 2.11 |

**დაფარება**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | დ. | დ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. სამუელ ლამუ | ენერჯი | 15 | 30 | 2 |
| 2. ბექა ბექაური | სამედიცინო | 15 | 22 | 1.47 |
| 3. დავით იმნაძე | შსს | 10 | 14 | 1.4 |
| 4. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 12 | 15 | 1.25 |
| 5. რიჩარდ დამუსი | სოხუმი | 16 | 20 | 1.25 |
| 6. კარლ დამუსი | სოხუმი | 16 | 19 | 1.19 |
| 7. ჟულივეტ ტუჯანი | შსს | 15 | 17 | 1.13 |

**შეცდომა**

| მოთამაშე | გუნდი | თ. | შ. | შ.საშ |
|---|---|---|---|---|
| 1. ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 13 | 64 | 4.92 |
| 2. ლაშა ეძგვერაძე | დინამო | 12 | 48 | 4 |
| 3. ბექა ჩიკვილაძე | სტუ | 16 | 62 | 3.88 |
| 4. გუგა პატარაია | დინამო | 15 | 52 | 3.47 |
| 5. გიორგი გაფრინდაშვილი | თსუ | 16 | 54 | 3.38 |
| 6. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 12 | 40 | 3.33 |
| 7. ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 12 | 40 | 3.33 |
| 8. გიორგი ტეტელაშვილი | აგრარული | 15 | 47 | 3.13 |
| 9. მაიკ მაძძერი | სოხუმი | 8 | 25 | 3.13 |
| 10. ბესიკ ლეჟავა | შსს | 13 | 40 | 3.08 |

### რეკორდები

**ქულა**

**42 - ბექა ჩიკვილაძე (სტუ)**
2-ქულა: 9/12. 3-ქულა: 6/14. საჯარიმო: 6/9.
10.03.2011 შსს-სტუ

**ჩაჭრა**

**9 - ვასილ ბერუაშვილი (სტუ)**
05.02.11 თსუ-სტუ

**მოხსნა**

**20 - ილია ლონდარიძე (თსუ)**
მეტოქის ფარზე: 10. საკუთარზე: 10.
26.02.11 თსუ-სამედიცინო

**პასი**

**16 - იუჯინ ჰარისი (სოხუმი)**
05.03.2011 სოხუმი-დინამო

**დაფარება**

**5 - ანატოლი ბოისა (არმია)**
13.11.10 სტუ-არმია
**5 - ვასილ ბერუაშვილი (სტუ)**
26.11.10 ბათუმი-სტუ




# ნუგზარ ჭეიშვილი: ლონდარიძე სეზონის აღმოჩენაა

ჯერ ჩამოვთვალოთ: მეორე წრის პირველ ტურში საუკეთესო კალათბურთელად **მიხეილ ბერიშვილი** დასახელდა, მეორე ტურში - **რიჩარდ მათიაშვილი,** მესამეში - **ილია ლონდარიძე,** მეოთხეში - **სერგო ათუაშვილი** და **დუდა სანაძე,** მეხუთეში - **ბუბა კვიმსაძე,** ხოლო მეექვსეში - **ილია ლონდარიძე...**

ექვსიდან ოთხ შემთხვევაში MVP-ს ტიტული თსუ-ელებს ერგოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ 2011 წელს ეს სტუდენტური გუნდი კარგ ფორმაში შეხვდა. თუ პირველ წრეში „არმია" დომინირებდა, მეორე წრე თსუ-სია (სადღეისო შედეგებით). ბოლო ტურში **ნუგზარ ჭეიშვილის** გუნდმა 5 ნოემბრის შემდეგ უძლეველ „არმიას" აჯობა. თან, არც მეტი, არც ნაკლები - 18 ქულის სხვაობით.



კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ სტუდენტთა მწვრთნელის თქმით, თსუ შესაძლებლობების 60-70 პროცენტს ავლენს...

პირველ აბზაცში მეორე წრის საუკეთესოები ჩამოვთვალეთ. ილია ლონდარიძე პირველია, ვინც ამ წრეში ორჯერ დასახელდა MVP-ად, მესამედაც შეეძლო, თუმცა „ენერჯისთან" 40 ქულა რომ ჩააგდო, იმავე ტურში ბუბა კვიმსაძემ სამმაგი დუბლი შეასრულა და ჟურნალისტთა ხმების უმრავლესობაც ქუთაისელს ერგო... რადგან ლონდარიძე ორი კვირის წინ მკითხველს უკვე შევახვედრეთ, დღეს თსუ-ს წარმატების მთავარ შემოქმედ ნუგზარ ჭეიშვილთან ინტერვიუს გთავაზობთ.

**- მეორე წრის ექვს ტურში ოთხი საუკეთესო თსუ-დანაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მეორე ეტაპს კარგად მომზადებულნი შეხვდით.**

- წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით მივდივართ და ნელ-ნელა ვუმატებთ. ამჟამად შესაძლებლობების 60-70 პროცენტს ვავლენთ, ფორმის პიკს სავარაუდოდ აპრილის ბოლოს, პლეი ოფებისთვის მივაღწევთ. პირველ წრეში ვთქვი, თუ ვინმეს ჩვენი დამარცხება უნდა, ახლა უნდა შეძლოს, მერე გაუჭირდება-მეთქი... ასეცაა, პირველი წრის ბოლოს „ქუთაისთან" დავმარცხდით, მას მერე მოვუმატეთ და 2011 წელს ერთადერთი მატჩი წავაგეთ, ისიც მსაჯის შეცდომის გამო (საქართველოს თასის ნახევარფინალში). მეორე წრესაც კარგად მომზადებულნი შევხვდით.

**- პლეი ოფის წინაც აპირებთ შეკრებას?**

- რა თქმა უნდა. სეზონის დასაწყისში შეკრება ბათუმში გავიარეთ, იანვარში - თბილისის მძლეოსნობის მანეჟში. რეგულარული ეტაპის დასრულებისთანავე ერთ შეკრებასაც მოვაწყობთ, რათა პლეი ოფისთვის კალათბურთელები სათანადო კონდიციებში იყვნენ.

**- ბოლო ტურში ჩემპიონატის ფავორიტ „არმიას" სძლიეთ...**

-რამდენიმე კალათბურთელი გვაკლდა, მეტოქემ ჩვენი გუნდი, ალბათ, არასათანადოდ შეაფასა და დაისაჯა. რეალურად, „არმია" ძლიერი გუნდია, რაც ამ სეზონში არაერთხელ დაამტკიცა.

**- გაკლდათ რიჩარდ მათიაშვილი, მაგრამ ილია ლონდარიძემ ფარქვეშ ღირსეულად ითამაშა.**

- მაღლების პრობლემა მართლაც გვქონდა. ამიტომ, წინასწარ ცხადი იყო - ვინც ფარქვეშ თამაშს მოიგებდა, საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩებოდა. არმიელებთან შედარებით 10-ით მეტი ბურთი მოვხსენით და წარმატებასაც მივაღწიეთ. რაც შეეხება ლონდარიძეს, მიმაჩნია, რომ იგი სეზონის აღმოჩენაა. ილია „არმიასთან" პირველ წრეშიც კარგად გაისარჯა, მაგრამ რიჩარდ მათიაშვილთან და გიორგი ყველაშვილთან ერთად ხუთი ჯარიმის გამო ბოლო წუთებზე ვერ დაგვეხმარა და დავმარცხდით. ამჯერად ლონდარიძემ, როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში, დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა და გამარჯვებაში ღირებული წვლილი შეიტანა. ლონდარიძე ძალიან ნიჭიერია, დიდი მარაგი აქვს და კიდევ მოუმატებს. შემთხვევითი როდია, მეორე წრეში ორჯერ საუკეთესოდ რომ დასახელდა. ის ფარქვეშიდან კარგად ისვრის, საშუალო დისტანციიდან ტყორცნებიც გამოასწორა და სამქულიანზეც უნდა იმუშაოს. რაც მთავარია, ძალიან მონდომებულია და ვიმედოვნებ, რომ პოტენციალის სრულად გამოვლენის შემთხვევაში ნაკრების კანდიდატადაც იქცევა.

**- მას თსუ-ს ფარქვეშ ძალიან სჭირდება რიჩარდ მათიაშვილის დახმარება...**

- „რიჩოს" ვირუსი აქვს. თავიდან ჩვეულებრივი ვირუსი გვეგონა, მაგრამ სპეციფიკური დაავადება აღმოაჩნდა და ექიმებმა დატვირთვები აუკრძალეს.

**- როდის იგეგმება მისი მოედანზე დაბრუნება?**

- მათიაშვილი მარტის ბოლომდე ვერ ითამაშებს. მერე, თუ ყველაფერი კარგად იქნება, შემოგვიერთდება.

**- გყავთ კიდევ ერთი ტრავმირებული - გიორგი მარხვაშვილი...**

- მან გუნდთან ერთი ვარჯიში უკვე ჩაატარა. დღესაც ველით. გიორგის მარცხენა ფეხის კუნთი სერიოზულად ჰქონდა დაზიანებული და მკურნალობისთვის დიდი დრო დასჭირდა.

**- ამ სეზონში ფან-კლუბი აქტიურად გქომაგობთ.**

- მხარდაჭერისთვის გულშემატკივრებს მადლობას მოვახსენებ. ჩვენი ფანკლუბი მეექვსე მოთამაშის როლს ასრულებს და ძალიან გვეხმარება. ასევე დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ თსუ-ს ხელმძღვანელობისგან, რექტორატისგან. რაც გუნდზეც დადებითად მოქმედებს. ვცდილობთ, იმედები გავუმართლოთ.

## ქართველი NBA-ში

# რქებდამტვრეული ხარირმები

როგორც ჩანს, „ატლანტა ჰოქსმა" ნელ-ნელა დაძლია მარტის ჩავარდნა და „მომგებიან" გზას დაუბრუნდა. ჯორჯიელებმა **ზაზა ფაჩულიას** ყოფილ კლუბ „მილუოკის" უმასპინძლეს და შეიძლება ითქვას, რომ „ხარირმებს" საქმე მესამე პერიოდშივე მოუთავეს - მეოთხე რაუნდის წინ 84:55 დაწინაურდნენ. საბოლოოდ 110:85 „ჰოქსის" სასარგებლოდ.

„ქორების" გამარჯვება კაპიტნის **ჯო ჯონსონის** დამსახურებაა, რომელმაც 36 ქულა (9-დან 6 სამქულიანი, 19-დან 13 ორიანი) ჩააგდო.

სამწუხაროდ, 110-ში ერთი ქართული ქულაც არ ერია, ზაზამ 12 წუთში მხოლოდ ჩაჭრითა და პასებით დაგვამახსოვრა თავი.

დღეს გამთენიისას „ატლანტა" „დენვერს" უმასპინძლებდა. მოგების შემთხვევაში „ჰოქსი" დენვერელებს გაუთანაბრდება: ორივე გუნდს 40 მოგება და 28 წაგება მოუგროვდება.

**ატლანტა-მილუოკი 110:85**

**ზაზა ფაჩულია:** 11:49 წუთი, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 3 ფოლი, 1 შეცდომა

**ქრონოლოგია**

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 04:20 | ზაზამ პორფორდი შეცვალა |
| 03:57 | ფოლი: 1 |
| 02:15 | ჩაჭრა: 1 (მზას ჩაუჭრა) |
| 01:49 | ფოლი: 2 |
| 00:31 | პასი: 1 (სმიტი 2ქ, 28:17) |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:48 | ფოლი: 3 |
| 11:48 | ზაზა კოლინზმა შეცვალა |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 06:57 | პასი: 2 (უილკინსი 2ქ, 96:68) |
| 04:43 | შეცდომა: 1 |
| 04:43 | არმსტრონგმა ზაზა შეცვალა |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**





ლილო წარმოგიდგენთ
# ქართული სპორტის ქრონიკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტის ხალხური სახეობები
# საჯილდაო ქვის აწევა





ეს არის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული სპორტის ხალხური სახეობა, შეჯიბრება მძიმე ქვების აწევაში. არსებობდა საჯილდაო ქვის აწევის რამდენიმე საფეხური: ქვის გატარება, ანუ ქვის მიწიდან აღება, მუხლამდე აწევა; აწევა და ნაბიჯის გადადგმა; მკერდამდე აწევა, თავს ზემოთ აწევა; შეკაზმულ ცხენზე გადაგდება. დანიშნული იყო სხვადასხვა ჯილდო: ვინც ლოდს ოდნავ მაინც ააცილებდა მიწას, ხუთი ვერცხლით უნდა დაჯილდოებულიყო; ვინც მუხლამდე ასწევდა, ერთ მუჭა ვერცხლს უბოძებდნენ, ხოლო ვინც მკერდამდე აიტანდა, ვერცხლით ქუდის ავსებას ჰპირდებოდნენ (გიორგი შატბერაშვილი).

სვანეთში, სოფელ კალის სათემოში, კვირიკეს XI საუკუნის სალოცავის ეზოში, კვირიკობა დღეს (28 ივლისი) იმართებოდა შეჯიბრება საჯილდაო ლოდის აწევაში, რომელსაც ბაჩ-ლიკდ ერქვა. ზოგიერთი ლოდი 8-9 ფუთს იწონიდა. საჯილდაო ქვის აწევაში ზოგჯერ ქალებიც მონაწილეობდნენ, რომლებიც შედარებით მცირე ზომის ლოდებს ეჭიდებოდნენ.

ვაჟა-ფშაველას მიერ ჩაწერილ ხალხურ ლექსში ხატი იალსარი ამბობს: გადავხე, ერთი ავხიე, ემერთი, შენ მამე ძალო, სამოცლიტრიანს რკინასა ქვეშ გაუვლე ქარით (ლიტრა წონის საზომი ერთეული, 1ლ. = 4 კგ.). ვაჟა მოიხსენიებს XIX საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრებ ფშაველ გოგოთურს და წერს, რომ მისი მოტანილი ბრტყელი, საფლავის ქვის მსგავსი ლოდი დღესაც გდია კოპალას სალოცავთან და ისეთი მძიმეა, ორ კაცს გაუჭირდება ამ ქვის გადაბრუნება. ჩემს ყმაწვილობაში მეც ბევრჯერ ვეჯაჯგურებოდი ამ გოგოთურის მოტანილ ქვას და ვცდილობდი გოგოთურივით მეტი ღონე გამომეჩინა. ეს ცდა, რასაკვირველია, ამაო იყო (ფშაველი და მისი წუთისოფელი).

## თარიღი — 17-23 მარტი

17. 1932 წ. დაიბადა **რევაზ გოცელია**-კალათბურთი. გარდაიცვალა 1999 წელს.
18. 1965 წ. დაიბადა **ზაზა ტყეშელაშვილი**-თავისუფალი ჭიდაობა.
18. 1936 წ. დაიბადა **ჯუმბერ დავლიანიძე**-თავისუფალი ჭიდაობა. დაბადებიდან 75 წელი.
18. 1986 წ. დაიბადა **ჯაბა კანკავა**-ფეხბურთი.
18. 1968 წ. დაიბადა **თემურ ქეცბაია**-ფეხბურთი.
19. 1936 წ. დაიბადა **ედუარდ გუფელდი**-ჭადრაკი. გარდაიცვალა 2002 წელს.
21. 1939 წ. დაიბადა **გურამ სალარაძე**-თავისუფალი ჭიდაობა.
21. 1928 წ. დაიბადა **ოთარ დადუნაშვილი**-ველოსპორტი, სპრინტი.
22. 1980 წ. დაიბადა **ალექსანდრე დოხტურიშვილი**-ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.
22. 1976 წ. დაიბადა **ივერი ჯიქურაული**-ძიუდო.
23. 1912 წ. დაიბადა **შოთა შავგულიძე**-ფეხბურთი.
23. 1929 წ. დაიბადა **რაფაელ ჩიმიშკიანი**-ძალოსნობა.
23. 1932 წ. დაიბადა **მიხეილ ხერგიანი**-ალპინიზმი. დაიღუპა 1969 წელს.



ჯუმბერ დავლიანიძე

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** ცნობა უძველესი „მესხური თამაშების“ შესახებ გაჩნდა გაზეთ „დროებაში“ 1882 წელს. ავტორი, ეთნოგრაფი **ივანე გვარამაძე** წერს, რომ თამაშები იმავე სისტემით ტარდებოდა, როგორც ძველ საბერძნეთში. გამარჯვებულს ძეწნის გვირგვინით აჯილდოებდნენ და მისთვის განკუთვნილ შარბათს შეასმევდნენ. პროგრამაში შედიოდა რბენები, „ქვის სროლა ფიქლისა“, ლოდების აწევა-გადატანა, მშვილდოსნობა, შუბის ტყორცნა... „მსგავსი თამაშები იმართებოდა დასავლეთ საქართველოშიც, ოღონდ ლელობურთიც ემატებოდა“.

**პირველმა** საქართველოდან ოლიმპიური მედალი ცურვაში მოიპოვა **ბორის ნიკიტინმა.** 1956 წელს მელბურნში იგი მესამე ადგილზე გავიდა 4X200 მ. ესტაფეტაში.

**პირველად** ქართული სპორტის ისტორიაში 1977 წელს თბილისში ჩატარდა მსოფლიოს ჩემპიონატი სამბოში.

## თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

1. თბილისში 1977 წელს სამბოში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატში რომელ ადგილზე გავიდა საქართველოს ნაკრები გუნდი?
ა — პირველზე
ბ — მეორეზე
გ — მესამეზე

2. რომელმა კომპოზიტორმა დაწერა 1952 წელს სიმფონიური სურათი „საჭიდაო“?
ა — გიორგი ცაბაძემ
ბ — არჩილ კერესელიძემ
გ — რევაზ ლაღიძემ

3. რომელ წელს მოიპოვეს „კოლუმბიის თასი“ უელვას (ესპანეთი) ოთხთა ტურნირში (მონაწილეობდნენ: „ატლეტიკო“, „ბენფიკა“, „დერბი ქაუნთი“, „დინამო“ თბილისი) ქართველმა ფეხბურთელებმა?
ა — 1968 წელს
ბ — 1973 წელს
გ — 1976 წელს

4. 1968 წლის 28 იანვარს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით პირველად გავიდა ეთერში საჭადრაკო ტელეჟურნალი. რა ერქვა ამ ტელეჟურნალს?
ა — „შამათი“
ბ — „64/64“
გ — „სამორინე“

5. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ერო, ფალავნების საკრებულო, თუ გსურს ფალავნობა გააგრძელო, იყავ გუშინდელზე გონიერი“.
ა — გიორგი ლეონიძეს
ბ — შოთა ნიშნიანიძეს
გ — კონსტანტინე გამსახურდიას

პასუხები: 1-ა, 2-გ, 3-ბ, 4-გ, 5-ბ

## იყო ასეთი შემთხვევა...

გამოჩენილი მრავალმხრივი სპორტსმენი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე **გიორგი ნიკოლაძე** (888-1931) ერთი ხანობა მოკლე შარვლით, თეთრი პერანგით და ჩუსტებით დადიოდა, რაც მაშინ გაოცებას იწვევდა. ასე ჩაცმული პროფესორი უნივერსიტეტშიც არ თაკილობდა ლექციების კითხვას.

ერთხელ თურმე ვილაც პროფესორმა მიმართა გიორგის: „კაცო, რა, შარვალი არ გაქვს?“ გიორგის კი ჩვეული სიდინჯით უპასუხია: „შარვალს რომ ჭკუა ჰქონდეს, შკაფში არ დავკიდებდიო“...



**ფოტოზე: წინა ხედზე გიორგი ნიკოლაძე**

## ვინ რა თქვა...

„პირადად ჩემთვის დიდი სპორტი ადამიანის ამოუწურავ შესაძლებლობათა დემონსტრაციაა. მართლაც, თითქოს სადამდე შეიძლება მძიმდებოდეს ძალოსანთა შტანგა, როდემდე შეიძლება რთულდებოდეს ტანმოვარჯიშეთა პროგრამები? მაგრამ შტანგებიც სულ უფრო მძიმდება, პროგრამებიც ელვის სისწრაფით რთულდება და ყოველივე ამას ბოლო არ უჩანს“.

**ოთარ მელვინეთუხუცესი**

## რექტორის გუმანი
# დიდ შარაზე დიდი ცოდნით უნდა გახვიდე
### (ს. მთვარაძის მოთხრობიდან „ფალავანი“)

„მეზურნეები საჭიდაო ხალიჩაზე გამოსულიყვნენ, ზურნა დუდუკით შეეცვალათ და უკრავდნენ. ამ დროს ერთი ადამიანის ხმაღა ისმოდა, და ეს ხმა გახლდათ თბილისელთა საყვარელი მომღერლის - ვარდოსი. იგი ძალზე მგრძნობიარე ხმით ამბობდა იმ სიმღერას, ურომლისოდაც საქართველოში არ გაზრდილა არც ერთი გოგო და არც ერთი ბიჭი! დიახ, ვარდო მღეროდა „იავნანას“...

იმ საღამოს ერთი შესანიშნავი ამბავიც მოხდა... ის იყო ლევანმა საჭიდაო ჩოხა გაიხადა, თავის ტანსაცმელში გამოეწყო და გასახდელი ოთახიდან გამოვიდა, რომ მაღალ-მაღალი, თავმოპარსული, პირხმელი და სახეგაბრწყინებული კაცი წინ გადაუდგა.

- ჭაბუკო, შენ საშუალო სასწავლებელი დაამთავრე თუ არა? - ჰკითხა მან.

- დიახ! - მიუგო გაოცებულმა, - ამ გაზაფხულზე, სულ ახლახანს...

- მერე? იცი თუ არა, რომ შენისთანა ფალავანს მსოფლიო ასპარეზიც კი ელის? - უცნობმა თვალი თვალში გაუყარა და მრავალმნიშვნელოვნად დააშტერდა. ლევანი დაიბნა.

- არ მესმის, რას ბრძანებთ? - იკითხა მან მოკრძალებით.

- იმას, რომ დიდ შარაზე დიდი ცოდნით უნდა გახვიდე, მარტო მკლავი ყველაფერში ვერ გიშველის... აგვისტოში ჩემთან მოხვალ, რომელი დარგიც გსურს, აირჩიე, კარგად მოემზადე და ეცადე, გამოცდებზე გაიმარჯვო! აი, ჩემი ვინაობა აქ წერია და ამით გაიგებ ყველაფერს.

უცნობმა პაწაწინა ქაღალდი გაუწოდა, თვითონ კი სწრაფად გაბრუნდა და წავიდა. ლევანმა გაფაციცებით გადაავლო თვალი ქაღალდზე ნაწერს. უცნობი აღმოჩნდა, მისდა მოულოდნელად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი“...

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ევრაზიის მთამსვლელთა კავშირის ორდენი, რომლის წევრები ქართველი ალპინისტებიც არიან; 5. სპორტული ცურვის სტილი; 8. ტოტალიზატორში დადებული ფული; 9. ქუჩის კალათბურთი; 11. ქართველი ძიუდოისტი, ათენის ოლიმპიადის ჩემპიონი; 12. ჭადრაკში: მეფის და ეტლის ადგილების გაცვლა; 14. კრივში მეტოქის ხელების „ჩაჭრა“; 15. საქართველოს საფეხბურთო ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილი მცველი; 17. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ქუთაისელი ფალავანი; 18. უეფას ჩემპიონის ქალაქი; 20. სპორტსმენის ცნობილი იტალიური ფირმა; 22. საბავშვო სპორტული თამაში; 24. მელბურნის ოლიმპიური თამაშების ქართველი ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში; 27. „ვიტ ჯორჯიას“ მცველი; 28. „ტორნადო“ - ქართველი მოკრივე; 30. ქულა ძიუდოში; 31. ცხენოსნობის ერთეული სახეობა.

**შვეულად:** 2. სპორტსმენისთვის შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლების ჩამორთმევა; 3. მხატვრული ტანვარჯიშის ერთ-ერთი საგანი; 4. სპეციალური ტომრებისთვის გაწვრთნილი ცხენი; 6. შეტევაყოფის სახელი; 7. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, თენგიზ...; 10. საფარიკაო იარაღი; 13. უნაგირის ნაწილი; 16. ძველი თაობის ფეხბურთელი, მეკარე; 19. ზუგდიდის ყოფილი საფეხბურთო გუნდი; 21. იტალიის საფეხბურთო კლუბი, სადაც ლევან მჭედლიძე თამაშობდა; 23. ასპინძის საფეხბურთო გუნდი; 25. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა; 26. ჩოგბურთის პარტია; 27. ბილიარდის ჯოხი; 29. საქართველოში ჩოგბურთის ფუძემდებელი ... პოპოვი.

## ფოტომატიანე



1930 წელი. ქუთაისის მძლეოსანთა ნაკრები გუნდი
ფოტო ლელა არქიძიდან

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თბილისი 2015



# საქართველოს დელეგაცია ტრაპზონში

როგორც ცნობილია, 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება. წლეულს ზაფხულში კი ანალოგიურ შეჯიბრებას თურქეთის ქალაქი ტრაპზონი უმასპინძლებს. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **გია ნაცვლიშვილი**, „თბილისი 2015"-ის საორგანიზაციო კომიტეტის გენერალური მდივანი **არჩილ გეგენავა** და სხვა პირები თურქეთში გაემგზავრნენ. 3-დღიანი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, გუშინ მათ ტრაპზონის სპორტული ბაზების, ოლიმპიური სოფლის და თამაშებისათვის მნიშვნელოვანი სხვა ობიექტების დათვალიერება დაიწყეს. „ტრაპზონი 2011"-ის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელებთან მიმდინარეობს აზრთა გაცვლა-გამოცვლა და გამოცდილების გაზიარება, რათა 2015 წელს უკვე თბილისში ღირსეულად ვუმასპინძლოთ ევროპაში ყველაზე მასშტაბურ სპორტულ ფორუმს.

**„ლელოს" კორ.**

● ჩოგბურთი

# ერთის გარდა

**ოქსანა კალაშნიკოვა** (188) სანიას ტურნირს (ჩინეთი, 25 ათასი დოლარი) მხოლოდ ერთეულთა თანრიგში შემორჩა. წყვილთა მეოთხედფინალში ჩვენებურმა და მისმა მეწყვილე **იულია ბეიგელციმერმა** (უკრაინა, 191) იაპონელ **რიკა ფუჯივარასა** (297) და ტაივანელ **ვენ-ჰსინ ჰსუს** (299) დუეტთან წააგეს - 5:7, 5:7. შეგახსენებთ, რომ ქართულ-უკრაინული გუნდი სანიაში მე-2 ნომრად იყო განთესილი. 20 წლის კალაშნიკოვა ერთეულებში ტურნირის მე-6 ჩოგანია და მერვედფინალში მასპინძელ **ჩან ლიუს** (506) ეთამაშება.



ფრანგულ ამიენში (10 ათასი დოლარი) მოასპარეზე სამი ქართველიდან ერთეულთა თანრიგის პირველი წრე ორმა გადალახა. წააგო მე-3 ნომრად განთესილმა **თათია მიქაძემ** (285), რომელმაც ვერაფერი დაუპირისპირა პოლონელ **პატრისია სანდუსკას** (568) - 6:3, 3:6, 3:6. მე-2 ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** (279) ფრანგ **ალიზ ტისეს** (584) მოუგო - 6:1, 6:2. ხოლო მე-6 ნომრად განთესილმა **სოფიო ქვაცაბაიამ** (415) ბელგიელ **დეზირე ბასტიანონს** აჯობა - 7:6 (5), 6:1. შაფათავა მერვედფინალში იტალიელ **ნასტასია ბურნეტს** (660) შეხვდება, ხოლო ქვაცაბაია - ჩეხ **ლუსი კრიეგშმანოვას** (477).

თურქულ ანთალიაში (10 ათასი დოლარი) **ეკა გორგოძემ** (554) პირველ წრეში „უაილდ ქარდით" მიწვეულ მასპინძელ **კაირუნ ბუსრას** 6:0, 6:0 მოუგო. ქართველი მერვედფინალში პირველ ნომრად განთესილ ბულგარელ **დია ევტიმოვას** (235) ეთამაშება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ფარიკაობა

# იორდანიაში მოსკოვის გავლით

ქართველი მოფარიკავეებისთვის წლევანდელი სეზონი, წინა წლებისგან განსხვავებით, საკმაოდ უხვტურნირიანი აღმოჩნდა. იანვრის მიწურულს ლონდონში ახალგაზრდების მსოფლიოს თასზე მოხმალავე **მიხეილ მარდალეიშვილმა** მე-3 ადგილი დაიკავა. მერე პლოვდივის გრანპრიზე უფროსებში ოთხმა მუშკეტერმა მოსინჯა ძალები. მათგან საუკეთესო შედეგი (30-ე) **კახა მალრაძემ** აჩვენა. მანვე პადოვაში (იტალია) მსოფლიოს თასზე 162 მონაწილეს შორის 63-ე ადგილი დაიკავა, გუნდურში კი ქართველ მოხმალავეებს, რომლებმაც 10-დღიანი საწვრთნელი შეკრება რომში გაიარეს იტალიელებთან, მე-17 ადგილი ერგოთ.

- ამას წინათ, ჩვენმა ბიჭებმა კიევში იუნიორთა მსოფლიოს თასზე იასპარეზეს, - გვითხრა ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, საერთაშორისო არბიტრმა **დავით სახვაძემ**, - სხვებზე უკეთ სანდრო ბაზაძემ იბრძოლა - მე-11 ადგილზე გავიდა, მცირედი დააკლდა მეოთხედფინალში მოსახვედრად. ამავე შეჯიბრებაზე ლაშა მიქელაძე მე-16 იყო. მას ერთი საფეხურით ჩამორჩა გოგონებში თეოდორა კახიანი, თათია აფციაურს კი 26-ე ადგილი ერგო.

კიევის ტურნირის შემდეგ ქართველმა მოხმალავე ვაჟებმა ბელარუს და კანადელ მუშკეტერებთან ერთკვირიანი ერთობლივი წვრთნა გაიარეს მინსკში, საიდანაც დღეს რუსეთის დედაქალაქში გაემგზავრებიან და უფროსებში პირად-გუნდურ მსოფლიოს თასზე მოსინჯავენ ძალებს. ლაშა მიქელაძე ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის დაფინანსებით მოსკოვიდან იორდანიას მიაშურებს კადეტთა და იუნიორთა მსოფლიოს პირველობაზე გამოსასვლელად. არ არის გამორიცხული, მას კიდევ ორი თანაგუნდელი შეუერთდეს. ამავე შეჯიბრებაზე დავით სახვაძე მსაჯად არის მიწვეული.

**ვაჟა დანელია**

● რაგბი

# პარალელები: ლელოდან რაგბიმდე

რუსეთის იმპერიაში მხოლოდ ყველაფერ რუსულს განადიდებდნენ და მიჩქმალული რჩებოდა იმპერიაში შემავალი სხვა ერების ისტორია, კულტურული წარსული, ტრადიციები.

XIX საუკუნეში რუსეთს ჰყავდა ხალხური თამაშების ცნობილი სპეციალისტი, მკვლევარი **ე. პოკროვსკი**, რომელიც ისე მოხიბლულა ქართული თამაშების სიბრძნით, რომ ჯერ კიდევ 1887 წელს, თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „უმეტესწილად რუსული მოძრავი თამაშები" (მიაქციეთ ყურადღება ნაშრომის სათაურს. რედ.) გვერდი ვერ აუვლია ჩვენი ხალხისთვის და არაერთი ქართული თამაშიც აქვს აღწერილ-დახასიათებული. მათ შორისაა ლელო:

*„ლელო არის ძველებური ქართული თამაში ბურთით. ახლა დავიწყებულია და ნაწილობრივ არსებობს ქუთაისის გუბერნიაში. წინანდელ დროში მთელი ჯარი მონაწილეობდა ამ თამაშში. ქალაქი ან სოფელი იყოფოდა ორ ნაწილად. თითოეული ნაწილი თავისთვის ხაზავდა ქალაქს, შუაში გამოდიოდა მღვდელი, და აკურთხებდა ბურთს, გადასცემდა მას საუკეთესო მოთამაშეს, ან თვითონ ააგდებდა ძალიან მაღლა. ამ დროს პარტიები ბურთს მივარდებოდნენ, ზოგიერთი ყოჩაღი შეუძლებელი სიმაღლიდან იჭერდა ბურთს და როგორც ისარი მიისწრაფოდა თავისი პარტიის ქალაქში, მეორე პარტიასაც არ ეძინა ამ დროს. ისინი ეკვეთებოდნენ ხოლმე ბურთიანს და იქმნებოდა საშინელი ჭყლეტა. ზოგჯერ ერთი და იმავე ადგილზე ორთაბრძოლა ხუთ საათსაც კი გრძელდებოდა; სანამ რომელიმე მარდი მოთამაშე არ გამოძვრებოდა ამ ორომტრიალიდან და ბურთს არ გააქანებდა ქალაქში: - შემდეგ ყველა თავს ესხმოდა მას. ხშირად დილიდან საღამომდე გრძელდებოდა ეს ბრძოლა. ვისაც შეჰქონდა ბურთი თავის ქალაქში, ის და მისი პარტია ითვლებოდნენ გამარჯვებულად"* (259-ე გვერდი). პარალელის გავლება ლელოსა და რაგბის მსგავსებას შორის მკითხველისთვის მიგვინდვია.

XII საუკუნის მატიანეთა მასალების შესწავლის საფუძველზე ე. პოკროვსკი აღნიშნავს:

*„ქართველები ბრძოლის წინ ლელობურთს თამაშობენ, რათა ფსიქოლოგიურად განაწყონ ჯარი. მრავლისმეტყველია, აგრეთვე, თბილისის რამდენიმე უბნის სახელწოდებები: - საბურთალო, ასპარეზი, ყაბახი. ხოლო რაც შეეხება მრავალრიცხოვან რელიგიურ დღესასწაულებს, ისინი, როგორც წესი, თავდებოდა სახალხო თამაშებით, გართობებით და სანახაობებით".* მრავალმა, სხვადასხვაგვარმა, სწრაფი მოძრაობებით დამახასიათებელმა თამაშებმა, როგორც ე. პოკროვსკი ამბობს: *„დასაბამი აიღეს იმ ხალხში, რომელსაც უყვარს სისწრაფე, სიმარჯვე, ცოცხალი, ხალისიანი მოქმედება".*

**თენგიზ თომაშვილი**

● ხელბურთი

# სენსაციების გარეშე

გლდანში **ჯემალ ცერცვაძის** სახელობის ხელბურთის დარბაზში გუშინ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩები გაიმართა. "ქუთაისისა" და "ბათუმის" დაპირისპირება დაძაბული გამოდგა და იმერლებმა 29:26 გაიმარჯვეს. საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა, აგრარული უნივერსიტეტის "თბილისმა" ჩემპიონატში უკონკურსოდ მოასპარეზე აზერბაიჯანის ნაკრებს 31:23 სძლია, "ქარიშხალამ" კი თსუ 32:26 დაამარცხა.

დღეს და ხვალ მესამე ეტაპის ბოლოსწინა და ბოლო ტურებია.

**ლევან ჯანეზაშვილი**





# წარმოგიდგენთ...

როგორც ვიუწყებოდით, აპრილიდან რაგბიში საქართველოს არაერთი პირველობა აიღებს სტარტს. უპირველესად ცხადია, ყურადღების ცენტრში უმაღლესი ლიგაა, რომელშიაც 8 გუნდი იასპარეზებს. დღეიდან წარმოგიდგენთ თითოეულს იმის მიხედვით, ვინ რომელი ადგილი დაიკავა გასული ჩემპიონატის ცხრილში.

დღეს „ლოკომოტივის" განაცხადს გაგაცნობთ. შეგახსენებთ, რომ განაცხადების წარდგენის ვადა 11 მარტს ამოიწურა.

**ლოკომოტივი**

| გვარი | სახელი | დაბ' წელი | ... თარიღი | სიმაღლე | წონა | ამპლუა |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბეკები** | | | | | | |
| კობერიძე | გიორგი | 1981 | | 186 | 94 | ფულბეკი |
| ხაჩირაშვილი | ლუკა | 1983 | | 178 | 88 | ფულბეკი |
| კავთიძე | ვახტანგ | 1989 | | 180 | 90 | ფულბეკი |
| ჟამუტაშვილი | დავით | 1982 | | 183 | 85 | გარემარბი |
| ტუჩაშვილი | ვეფხია | 1986 | | 182 | 86 | გარემარბი |
| ჭურღულია | დიტო | 1990 | | 181 | 86 | გარემარბი |
| ფალიანი | მურმან | 1990 | | 181 | 84 | გარემარბი |
| ქავთარაძე | სანდრო | 1987 | | 186 | 84 | შუამარბი |
| ბერძენიშვილი | ვახტანგ | 1987 | | 184 | 98 | შუამარბი |
| ხუციშვილი | რატი | 1989 | | 186 | 90 | შუამარბი |
| კვინიხიძე | ბობა | 1978 | | 182 | 96 | მგეზავი |
| გიორგაძე | ნუგზარ | 1992 | | 178 | 86 | მგეზავი |
| ღვინჯილია | ირაკლი | 1983 | | 174 | 77 | ჰავბეკი |
| ბიწაძე | გიორგი | 1992 | | 178 | 80 | ჰავბეკი |
| **ფორვარდები** | | | | | | |
| გასვიანი | დავით | 1981 | | 181 | 120 | ბურჯი |
| ელოშვილი | პაპუნა | 1986 | | 180 | 100 | ბურჯი |
| პეტრიაშვილი | ზერო | 1987 | | 182 | 120 | ბურჯი |
| ზარიძე | ლევან | 1987 | | 183 | 100 | კვაჭი |
| გენებაშვილი | ლევან | 1987 | | 176 | 95 | კვაჭი |
| გუნიავა | ლადო | 1989 | | 188 | 120 | ბურჯი |
| ვეფხვაძე | გიორგი | 1991 | | 188 | 110 | ბურჯი |
| სვანიძე | ირაკლი | 1991 | | 185 | 102 | კვაჭი |
| კაზალიკაშვილი | ნიკო | 1992 | | 182 | 96 | ბურჯი |
| კორკოტაძე | ზურაბ | 1983 | | 192 | 120 | მხტომელი |
| გუჯარაიძე | ბაჩუკ | 1984 | | 197 | 115 | მხტომელი |
| მაისურაძე | ზვიად | 1980 | | 187 | 108 | შემკვრელი |
| ნიშნიანიძე | გრიგოლ | 1983 | | 183 | 103 | ფრთა |
| ჩიტიძე | დავით | 1984 | | 194 | 115 | ფრთა |
| აბულაძე | ვახტანგ | 1984 | | 187 | 90 | ფრთა |
| ოზგებაშვილი | გიორგი | 1986 | | 194 | 105 | ფრთა |
| ნადირაძე | ვეფხვია | 1987 | | 193 | 96 | ფრთა |
| ბერიშვილი | გივი | 1987 | | 186 | 100 | ფრთა |
| თავბერიძე | ლაშა | 1990 | | 186 | 105 | ფრთა |
| ბუჯიაშვილი | ხვიჩა | 1992 | | 190 | 110 | შემკვრელი |
| **ფუნქციონერები** | | | | | | |
| ჰიჰინაძე | ნიკო | | | პრეზიდენტი | | 877 73 58 56 |
| ბენდიაშვილი | თემურ | | | მთავარი მწვრთნელი | | 899 92 07 77 |
| ჩავლეიშვილი | დავით | | | მწვრთნელი | | 895 22 21 20 |
| აბრამიშვილი | ბესო | | | ექიმი | | |
| ასათიანი | გიორგი | | | მენეჯერი | | 899 92 59 00 |

15/03 2011

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ამბები

**კალათბურთი**

### NBA-ში ანაჰაიმ კინგზი ითამაშებს

როგორც ჩანს, სულ მალე ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ახალი ქალაქის გუნდი გაჩნდება. თითქმის გადაწყვეტილია, რომ „საკრამენტო კინგზი“ დატოვებს კალიფორნიის დედაქალაქს და ანაჰაიმში დაიდებს ბინას.

ამის შესახებ კომენტარი გააკეთა NBA-ის ყოფილმა ვარსკვლავმა და ამჟამად საკრამენტოს მერმა **კევინ ჯონსონმა**. მისი თქმით, ეს გარიგება თითქმის შემდგარია და „კინგზის“ გადასვლას წინ არაფერი უდგას.

როგორც იტყობინებიან, კლუბის ახალმა მფლობელებმა უკვე გადაწყვიტეს ანაჰაიმში გადასვლა, სადაც იჯარით აიღებენ „ჰონდა ცენტრს“, რომელზეც მატჩებს ატარებს NHL-ის კლუბი „ანაჰაიმ დაქსი“.

### კეთილი კალათბურთელები

„ლოს ანჯელეს კლიპერსის“ ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **კიმ ჰიუზმა** ESPN-სთვის მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ 2004 წელს კალათბურთელებმა გადაარჩინეს სიკვდილს, როცა მკურნალობისთვის სოლიდური თანხა შეაგროვეს. იმ წლის სექტემბერში ექიმებმა მწვრთნელს კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. კლუბის ქირურგმა მას ოპერაციამდე რამდენიმე თვე მოცდა ურჩია, რის შემდეგაც ჰიუზმა დამოუკიდებელ ექიმს მიმართა, მაგრამ მისი სამსახურის დაფინანსებაზე გუნდმა უარი უთხრა. ჰიუზის გასაჭირის შესახებ შეიტყვეს „კლიპერსის“ მაშინდელმა წევრებმა - **კორი მაგეტიმ, კრის კამანმა, ელტონ ბრენდმა** და **მარკო იარიჩმა**. სწორედ მათ დაფარეს თანხა, რომელიც ოპერაციისთვის იყო საჭირო.

*„როგორც წესი, კიბოს ასეთი ფორმა ნელა ვითარდება. ჩემი დაავადება გენეტიკური ფაქტორებით იყო განპირობებული და ამიტომაც პროცესი სწრაფად წავიდა. ბიჭებმა ჩემი სიცოცხლე გადაარჩინეს. მთლიანად დაფარეს მკურნალობის ხარჯები, ეს კი 70 ათასი დოლარი იყო, რაც საკმაოდ ძვირია“*, - გაიხსენა ძველი ამბავი ჰიუზმა.

*„კიმი ჩვენი მწვრთნელი იყო. ჩვენ დღესაც კარგი მეგობრები ვართ. ის რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა და „კლიპერსს“ არ შეეძლო მისი დახმარება. ვფიქრობ, ჩვენ კეთილი საქმე გავაკეთეთ - დავეხმარეთ მას, ვისაც ჩვენი მხარდაჭერა სჭირდებოდა“*, - განაცხადა მაგეტიმ.

### იანაკისს რეალში დაუძახებენ

ბერძენი სპეციალისტი **პანაიოტის იანაკისი** მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე მთავარი კანდიდატი გახდა.

„სამეფო კლუბიდან“ **ეტორე მესინას** წასვლის შემდეგ გუნდს **ემანუელ მოლინი** ავარჯიშებს, რომელიც მინიმუმ სეზონის ბოლომდე დარჩება ამ პოსტზე. შესაძლოა, მოლინმა გაისადაც გააგრძელოს მუშაობა „რეალში“, ოღონდ ამისთვის 51 წლის მწვრთნელმა კლუბს ამ სეზონში თუნდაც ერთი დიდი ტიტული უნდა მოაპოვებინოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში მოლინს წასვლა მოუწევს და ესპანური პრესა მის შემცვლელად სწორედ პანაიოტს იანაკისის კანდიდატურას ასახელებს. ბერძენი წელს უმუშევარი იყო, ისე კი საბერძნეთის ნაკრები ერთხელ ევროპის ჩემპიონი გახადა და ავტორიტეტულ სპეციალისტად მიიჩნევა.

მეორე კანდიდატია **სვეტისლავ პეშიჩი**, თუმცა „ვალენსიას“ დამრიგებელმა ერთხელ უთხრა უარი „რეალს“ და თავის ამჟამინდელ კლუბში დარჩენა ამჯობინა.

**დოპინგი**

### სპორტი კრიმინალებისაა

მსოფლიო სპორტის დიდ ნაწილს კრიმინალური სამყარო აკონტროლებს ნარკოტიკებისა და აზარტული თამაშების დახმარებით. ამის შესახებ განაცხადა მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს დირექტორმა **დევიდ ჰოუმენმა**.

მანვე თვიქნემში გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ კრიმინალური ელემენტები სტეროიდების გავრცელებაში არიან გარეულნი.

*„ახლა ჩვენ ვიცით, რომ კრიმინალური სამყარო აკონტროლებს მსოფლიო სპორტის მნიშვნელოვან ნაწილს“*, - განაცხადა მან.

ჰოუმენმა ისიც დაამატა, რომ თანხის ოდენობა, რომელსაც აკრძალული პრეპარატების ვაჭრობით გამოიმუშავებენ, ჰეროინის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს აღემატება.

WADA-ის დირექტორმა მოგვიანებით ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეს ინფორმაცია იმ ადამიანებისგან მიიღო, რომლებიც სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობენ.

*„მათ მითხრეს, რომ ერთი და იგივე ხალხია ჩაბმული აზარტულ თამაშებსა და სტეროიდების გავრცელებაში. მე ამის შესახებ ხუთი-ექვსი წელი ვლაპარაკობდი და ახლა ინტერპოლმა დაადასტურა ჩემი ვარაუდი. მათ აქვთ ციფრები და ინფორმაცია და შეშფოთებულნი არიან ამგვარი მდგომარეობით“*, - ამბობს ჰოუმენი, რომელმაც ისიც დაადასტურა, რომ იყო დოპინგ-ოფიცრების მოსყიდვის მცდელობები.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-კაროლინა 0:1**

**0:1, 0:0, 0:0**

**გოლი:** 0:1 სუტერი-13 (ყოსლენი-6, ლაროუზი-13).

**კოლამბუსი-ბოსტონი 2:3 (ბ)**

**1:0, 0:1, 1:1, 0:0**

**გოლები:** 1:0 კლიტსომი-4 (ვორაჩეკი-32, ნეში-32), 1:1 კრეისი-11 (ხარა-24, ბოიჩუკი-10), 2:1 აპშოლი-20 (უმბერგერი-30, ვერმეტი-24), 2:2 პევერლი-16.

**ბულიტები გაიტანეს:** სეგუინი (ბოსტონი).

**ნიუ ჯერსი-ატლანტა 4:2**

**1:2, 1:0, 2:0**

**გოლები:** 0:1 სტეპლტონი-3 (კეინი-21, სტიუარტი-23), 0:2 ტორნბურნი-8 (დვორაკი-15, ბურმისტროვი-13), 1:2 ზაიაცი-13 (ფეინი-9, ტალინდერი-9), 2:2 ელიაში-16 (როლსტონი-16), 3:2 ჯოზეფსონი-2 (ტედენბი-10, უაიტი-6), 4:2 კოვალჩუკი-26 (ზუბრუსი-14).

**რეინჯერსი-აილენდერსი 6:3**

**2:0, 3:2, 1:1**

**გოლები:** 1:0 პრუსტი-11 (მაკდონაჰი-7, დუბინსკი-26), 2:0 კრისტენსენი-11 (ცუკარელო-14, ჟირარდი-25), 2:1 მოულსონი-30 (ჰილენი-14, ტავარესი-33), 2:2 პარენტო-17 (ტავარესი-34, მოულსონი-17), 3:2 კელეჰანი-21 ანისიმოვი-21, სტაალი-17), 4:2 გაბორიკი-19 (მაკეიბი-20), 5:2 მაკეიბი-6 (პროსპალი-10, კელეჰანი-21), 6:2 გაბორიკი-20 (კრისტენსენი-12, ზაუერი-9), 6:3 ტავარესი-26 (მოულსონი-18, პარენტო-30)

**ფლორიდა-ფილადელფია 2:3**

**2:1, 0:2, 0:0**

**გოლები:** 0:1 ჰარტნელი-20 (რიჩარდსი-40, ლეინო-30), 1:1 უეისი-19 (სამსონოვი-19, ელერბი-10), 2:1 კულიკოვი-6 (სამსონოვი-20), 2:2 კარტერი-31 (ყირუ-43), 2:3 კარტერი-32 (ბრიერი-27).

**მონრეალი-ვაშინგტონი 2:4**

**1:2, 1:0, 0:2**

**გოლები:** 0:1 იოჰანსონი-10 (ვიდემანი-29, ჰოლტბი-1), 1:1 მოენი-5, 1:2 ლეიჩი-16 (ელზნერი-10, კარლსონი-24), 2:2 კოსტიცინი-17 (ელერი-9, სუბანი-23), 2:3 იოჰანსონი-11 (ოვეჩკინი-46), 2:4 ნუბლი-17 (მტურმი-7).

**ოტავა-პიტსბურგი 1:5**

**0:1, 1:3, 0:1**

**გოლები:** 0:1 ტაილერ კენედი-16 (მარტინი-19, კუნიტცი-19), 0:2 სტაალი-9 (ტაილერ კენედი-22, კუნიტცი-20), 1:2 შენონი-7 (ფოლინო-17), 1:3 ლავჯოი-2 (სტაალი-13, კუნიტცი-21), 1:4 კუკი-12 (ჯეფრი-5, მარტინი-20), 1:5 მიხალეკი-3 (ჯეფრი-5, კოვალიოვი-14).

**ნეშვილი-ლოს ანჯელესი 2:4**

**1:1, 0:2, 1:1**

**გოლები:** 0:1 კოპიტარი-25 (პენერი-22), 1:1 ბლუმი-2, 1:2 მარტინესი-5 (ბრაუნი-25, სმიტი-21), 1:3 სიმონდსი-13 (კოპიტარი-47, პონიკაროვსკი-8), 2:3 დუმონი-10 (ფრანსონი-16), 2:4 ბრაუნი-22.

**დალასი-სან ხოსე 3:6**

**0:0, 2:2, 1:4**

**გოლები:** 1:0 რიბეირო-16 (ბენი-24), 2:0 პეტერსენი-2 (ბენი-25, სკრასტინსი-4), 2:1 ტორნტონი-18 (ბოილი-35, მარლო-28), 2:2 ჰიტლი-23 (მარლო-29, პაველსკი-35), 2:3 ქლოუ-23 (პაველსკი-36), 2:4 მიტჩელი-6 (პაველსკი-37, მეიერსი-7), 3:4 ბენი-20 (ოტი-17, ლანგენბრუნერი-20), 3:5 ტორნტონი-19, 3:6 ჰიტლი-24 (პაველსკი-38).

**კალგარი-ფინიქსი 3:4**

**1:1, 0:1, 2:2**

**გოლები:** 0:1 სტემპნიაკი-15 (ფიდლერი-12, პიატი-11), 1:1 ო. იოკინენი-15 (ბურკი-20, კიპრუსოფი-1), 1:2 ბელანჟე-12 (კორპიკოსკი-18, დოუნი-35), 1:3 იენდლი-11 (ვრბატა-24, ებეტი-2), 1:4 როჟსივალი-5 (ფიდლერი-13), 2:4 ბეკლუნდი-9 (ჯორდანო-26, იგინლა-38), 3:4 ტანგეი-19 (ბურკი-21, ბოუმისტერი-16).

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჩიკაგო აღმოსავლეთის ლიდერია

ძალიან დაძაბული ბრძოლა მიდის დასავლეთ კონფერენციაში პლეი ოფის საგზურებისთვის - მე-5-8 ადგილებისთვის ერთბაშად შვიდი გუნდი აცხადებს პრეტენზიას. ამ ჯგუფშია „პორტლენდი“, რომლისთვისაც დარჩენილ მატჩებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და შესაბამისად, შეცდომის უფლება არ აქვს. თუმცა გუშინდელი საშინაო შეხვედრა „დალასთან“ „ბლეიზერსისთვის“ ძალიან ცუდად დაიწყო - სტუმრებმა საწყისი ათი ტყორცნიდან ათივე ჩააგდეს და რვა ქულით გაიდნენ წინ. „პორტლენდი“ არ დაიბნა და სათანადო პასუხი გასცა მეტოქეს - მან აქცენტი სამქულიანებზე გადაიტანა და დიდ შესვენებამდე ზედიზედ ოთხი შორეული ტყორცნის წყალობით, პირველად გაიდა წინ.



მაკგი დღის გმირი გახდა

ამის შემდეგ მთელი მატჩი მცირე ინიციატივა მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ „დალასი“ უშანსოდ არ ყოფილა. საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე სხვაობა მინიმალური იყო - 100:99. ამას მოჰყვა „მავერიქსის“ მცირე ჩავარდნა და „პორტლენდის“ უპირატესობა 5 ქულამდე გაიზარდა. „კოვბოებს“ მატჩის გადარჩენის შანსი **დირკ ნოვიცკიმ** დაუტოვა, მაგრამ, როცა გადამწყვეტ ტყორცნაზე მივიდა საქმე, სწორედ გერმანელმა ააცილა სამქულიანი, რომელსაც შეეძლო შეხვედრა ოვერტაიმში გადაეყვანა - 101:104.

■ ■ ■

სამი დღის განმავლობაში ორჯერ მოუგო „ინდიანამ“ „ნიუ იორკ ნიქსს“. „მედისონ სკვერ გარდენში“ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ „პეისერსმა“ ამჯერად საკუთარ მოედანზე რთულ ბრძოლაში მიაღწია მნიშვნელოვან მოგებას.

მასპინძლებმა თითქოს მესამე მეოთხედში მიაყენეს გადამწყვეტი დარტყმა მეტოქეს, როცა **კოლისონის, ჰენსბროსა** და **გრეინჯერის** ტრიოს მონდომებით 20:4 გაქცევა მოაწყვეს და 15 ქულით დაწინაურდნენ. მაგრამ **კარმელო ენტონი** და **ამარე სტაუდმაიერი** მალე მოვიდნენ გონს, 369 წამის განმავლობში არანაკლებ შთამბეჭდავი სპურტით უპასუხეს და თამაშს ინტრიგა დაუბრუნეს.

საბოლოოდ, ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა. საფინალო სირენამდე 7 წამით ადრე ანგარიში თანაბარი იყო (117:117) და ბურთი „ინდიანას“ ჰქონდა. რა თქმა უნდა, გადამწყვეტი სროლის უფლება გრეინჯერს მისცეს. მან პერიმეტრზე მიიღო ბურთი, მოატყუა **უილიამსი** და დაზღვევაზე მოთამაშე **ჯეფრიზის** წინააღმდეგობის მიუხედავად ზუსტად ისროლა - 119:117.

■ ■ ■

„ჩიკაგომ“ **ჟოაკიმ ნოასა** და **კარლოს ბუზერის** გარეშეც მოახერხა „ვაშინგტონის“ დამარცხება. დედაქალაქური კლუბი „ატლანტადან“ გადმოყვანილ **ჯორდან კროუფორდს** უნდა უმადლოდეს, რომ 19 ქულაზე მეტით არ წააგო ეს მატჩი. კროუფორდმა 27 ქულით შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა და თუ ასე გააგრძელა, „უიზარდსში“ ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა გახდება. რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლით ვაშინგტონელი **ჯავალ მაკგის** უნიკალურ სამმაგ დუბლს: 11 ქულა, 12 მოხსნა და... 12 დაფარება! ამდენი ბლოკ-შოტი ერთ მატჩში 2001 წლის 23 მარტის შემდეგ არავის მოუპოვებია. მაშინ იგივე შედეგი ჰქონდა „ტორონტოს“ ფორვარდ **კეონ კლარკს**.

„ვაშინგტონი“ კი სავარაუდოდ გაიმეორებს „საკრამენტოს“ ანტირეკორდს, რომელიც 1990-91 წლების სეზონშია დამყარებული. მაშინ „მეფეებმა“ სეზონი სტუმრად ერთი მოგებითა და 40 წაგებით დაასრულეს. რაც შეეხება „ჩიკაგოს“, ამ მოგებით მან „ბოსტონს“ გაასწრო და პირველად 1997-98 წლების სეზონის შემდეგ სათავეში ჩაუდგა აღმოსავლეთ კონფერენციას.

**ატლანტა-მილუოკი 110:85**

**28:17, 27:22, 29:16, 26:30**

**ა:** ჯონსონი (36+5 მოხსნა), სმიტი (17+14 მოხსნა), უილიამსი (16), ჰორფორდი (15+5 მოხსნა).

**მ:** ბოგუტი (21+13 მოხსნა), დელფინო (13), მაგეტი (11), სალმონსი (10).

**ინდიანა-ნიუ იორკი 119:117**

**29:27, 28:27, 30:28, 32:35**

**ი:** ჰენსბრო (30), გრეინჯერი (27+6 მოხსნა), კოლისონი (24+9 პასი), ჰიბერტი (15+12 მოხსნა+5 პასი), ფოსტერი (3+10 მოხსნა).

**ნ-ი:** ენტონი (29+9 მოხსნა), სტაუდმაიერი (21+10 მოხსნა), ფილდსი (17+5 პასი), დუგლასი (17), ბილაპსი (14+5 პასი), უილიამსი (10+6 მოხსნა).

**ჩიკაგო-ვაშინგტონი 98:79**

**31:19, 19:27, 25:14, 23:19**

**ჩ:** როუზი (23+7 პასი), დენგი (20+7 მოხსნა), ბოგანსი (17+5 მოხსნა), გიბსონი (9+13 მოხსნა), ტომასი (8+15 მოხსნა).

**ვ:** კროუფორდი (27), უოლი (17+11 მოხსნა+7 პასი), იანლიანი (14+6 მოხსნა), მაკგი (11+12 მოხსნა+12 დაფარება).

**პორტლენდი-დალასი 104:101**

**29:32, 24:24, 29:24, 22:21**

**პ:** ოლდრიჯი (30+8 მოხსნა), როი (21), მეტიუზი (18), ფერნანდესი (12).

**დ:** ნოვიცკი (28+11 მოხსნა), მერიონი (18+5 მოხსნა), ბობუა (16), ტერი (14), ჩენდლერი (12+5 მოხსნა), კიდი (1+14 პასი+5 მოხსნა).

## სამთო-სათხილამურო სპორტი

# ვონი მეოთხე თასს მიუახლოვდა



სწრაფდაშვების ტრიუმფატორები

გუშინ, შვეიცარიის კურორტ ლენცერჰაიდში მსოფლიოს თასის დასკვნითი ეტაპი დაიწყო. სწორედ ბოლო ოთხი სტარტის შემდეგ უნდა გაირკვეს ქალებს შორის მსოფლიო თასის მფლობელი. კანდიდატი ორია: მოქმედი ჩემპიონი **ლინდსი ვონი** და **მარია რიში**, რომელიც გუშინდელ სწრაფდაშვებამდე ლიდერობდა საერთო ჩათვლას, მაგრამ დღეიდან მდევრის როლში იქნება.

მართალია, ვონმა გუშინ თავის საყვარელ დისციპლინაში მეოთხე ადგილი დაიკავა (ეს არის წელს მისი ყველაზე უარესი შედეგი სწრაფდაშვებაში), მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა გენერალურ კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე გასასვლელად. ამერიკელმა 50 ქულა მიითვალა, რიში კი მოულოდნელად მე-17 ადგილზე აღმოჩნდა, ქულის გარეშე დარჩა და ახლა მასსა და ვონს შორის სხვაობა 27 ქულას შეადგენს. ასე რომ, ლინდსიმ მსოფლიოს თასის ზედიზედ მეოთხედ მოგების რეალური შანსი მიიღო. სეზონის დასრულებამდე სამი რბოლაა დარჩენილი.

რაც შეეხება სწრაფდაშვების ჩათვლას, აქ ვონმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა რიშზე, მესამეზე კი კიდევ ერთი ამერიკელი **ჯულია მანკუზო** გავიდა, ვინ, გუშინდელ სწრაფდაშვებაზე პირველი მივიდა ფინიშთან.

■ ■ ■

კაცებში მსოფლიოს თასის მფლობელი წინა კვირას გაირკვა - პირველად კარიერაში ბროლის გლობუსი ხორვატმა **ივიცა კოსტელიჩმა** მოიპოვა, თუმცა გუშინდელ სტარტს მაინც ჰქონდა ინტრიგა - უნდა გამოვლენილიყო გამარჯვებული სწრაფდაშვების ჩათვლაში. ბროლის მცირე გლობუსზე ორი მოთხილამურე - **დიდიე კუში** და **მიხაელ ვალჰოფერი** აცხადებდა პრეტენზიას. ვალჰოფერი ამ სეზონის შემდეგ ასრულებს აქტიურ კარიერას და მაჟორულ ნოტაზე უნდოდა სპორტიდან წასვლა. თუმცა კუში უფრო მომგებიან სიტუაციაში იმყოფებოდა - მას ექვსეულში შესვლა ჰყოფნიდა საბოლოო გამარჯვების მისაღწევად და შვეიცარიელმა ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა - მეოთხე მივიდა ფინიშთან და კარიერაში მეოთხედ მოიგო სწრაფდაშვების კლასიფიკაცია. ასეთი რამ მსოფლიოს თასის 44-წლიან ისტორიაში მეორედ მოხდა - პირველად ეს 1975-83 წლებში ავსტრიელმა **ფრანც კლამერმა** შეძლო.

ეტაპი კი მოულოდნელად 26 წლის ფრანგმა **ადრიენ ტეომ** მოიგო, რომლისთვისაც ეს იყო კარიერაში პირველი გამარჯვება და მეორე პოდიუმი.

**ლენცერჰაიდი (შვეიცარია)**

**სწრაფდაშვება**

**ქალები**

1. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - 1:27.50; 2. **ლარა გუტი** (შვეიც) - 1:28.31; 3. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - 1:28.65; 4. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1:28.88; 5. **ლოტე სმისეტ სეიერსტადი** (ნორ) - 1:29.09; 6. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 1:29.20...

**საერთო ჩათვლა**

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1705 ქულა; 2. **მარია რიში** (გერ) - 1678; 3. **ტინა მაზე** (ნორ) - 1039; 4. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - 992; 5. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - 976; 6. **ტანია პოუტიაინენი** (ფინ) - 729...

**კაცები**

1. **ადრიენ ტეო** (საფ) - 1:22.94; 2. **ჟოაკიმ პუხნერი** (ავსტრია) - 1:22.95; 3. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 1:23.10; 4. **დიდიე კუში** (შვეიცარია) - 1:23.25; 4. **კრისტოფ ინერჰოფერი** (იტა) - 1:23.25; 6. **პეტერ ფილი** (იტა) - 1:23.30...

**საერთო ჩათვლა**

1. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 1356; 2. **დიდიე კუში** (შვეიცარია) - 956; 3. **კარლო იანკა** (შვეიც) - 793; 4. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 789; 5. **მიხაელ ვალჰოფერი** (ავსტრია) - 727; 5. **სილვან ცურბრიგენი** (შვეიც) - 723...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტოსპორტი. ახალი სეზონის წინ



ვალენტინო ახალი მოტოთი

# დიადი ბრძოლის მოლოდინში

**კვირას კატარის ეტაპით იხსნება მოტოგრანპრიში მსოფლიოს ახალი ჩემპიონატი. 2011 წლის სეზონის წინ ყველა გუნდმა განაახლა შემადგენლობა, ყველა პილოტმა ახალი გამოწვევა მიიღო, ამიტომაც ეს ჩემპიონატი განსაკუთრებით საინტერესო უნდა გამოვიდეს.**

## DREAM TEAM

„დუკატის" გუნდი წელს განსაკუთრებული იქნება იტალიისთვის. ლეგენდარულმა ბრენდმა გასულ წელს დატოვა სუპერბაიკის სერია, რათა მთლიანად ერთ ჩემპიონატზე - მოტოგრანპრიზე ყოფილიყო კონცენტრირებული, თან ძალიან მნიშვნელოვანი შენაძენი გააკეთა - მის რიგებში გამოვა ლეგენდარული **ვალენტინო როსი**. იტალიელი იტალიურ გუნდში - ეს ყველაზე მეტად შეესაბამება „ოცნების გუნდის" ცნებას. ამასთან, უნდა გვესმოდეს, რომ ასეთი კავშირი სულაც არ არის წარმატების გარანტია - წინ არის ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობა.

ბოლო წლებში „დუკატის" ერთი შესამჩნევი პრობლემა ჰქონდა - მოტოციკლს მხოლოდ **კეისი სტოუნერი** მართავდა უნარიანად, რომელმაც ოთხი წლის წინ გუნდი ჩემპიონის ტიტულამდე მიიყვანა, მაგრამ მის გარდა მსგავს შედეგს ვერავინ მიაღწია. უფრო მეტიც, სხვებმა „დუკატიში" გამოსვლით ეჭვქვეშ დააყენეს თავიანთი კარიერა. ნათელი მაგალითია - **ნიკი ჰეიდენი**. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა 2009 წელს „დუკატიში" თავისი პირველი სეზონი მთლიანად ჩააგდო, შარშან კი პირწმინდად დამარცხდა სტოუნერთან.

ახლა ამერიკელს ახალი სეზონი და ახალი პირადი მოწინააღმდეგე ელის. რა თქმა უნდა, როსის გაუჭირდება ახალ მოტოციკლთან შეგუება, მაგრამ იტალიელს რამდენჯერმე შეუცვლია გუნდი და მაინც ყოველთვის მწვერვალზე ასულა. სხვა საქმეა, რომ მას მოტოგრანპრიში არასოდეს უასპარეზია იტალიურ გუნდში და ახლა ამ ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა მოუწევს. ნებისმიერ შემთხვევაში, როსისთვის ახალი სეზონი იოლი არ იქნება. ჯერ ერთი, დრო დასჭირდება აკლიმატიზაციას, გარდა ამისა, გასარკვევია ძველი ტრავმების მდგომარეობა, და კიდევ, ტესტებზე „დუკატის" მოტოციკლი საკმაოდ სუსტად გამოიყურებოდა.

მიუხედავად ამისა, ვალეს მაინც ასახელებენ ფავორიტებს შორის. შესაძლოა, მან ეს სტატუსი ძალიან მალე დაკარგოს, მაგრამ როსიმ უკვე მაგვაჩვია იმას, რომ ყველაზე ცუდ სიტუაციაშიც არ ღირს მისი ჩამოწერა.

## ნომერ პირველი ფავორიტი

თუ „დუკატის" „ოცნების გუნდს" უწოდებენ, ჩემპიონატის ყველაზე ძლიერი გუნდი წესით „ჰონდა" უნდა გახდეს.

ქარხნულმა საჯინიბომ თავის ბოქსებში სამი ძლიერი პილოტი შეკრიბა. გასული წლის ზაფხულში კეისი სტოუნერის გაფორმების შემდეგ, **ანდრეა დოვიციოზოს** ბედი გაურკვეველი გახდა. არადა, იტალიელმა ბოლო ორ სეზონში ძალიან მოუმატა. მართალია, შარშან მოგება არ ჰქონია, მაგრამ იყო ბევრი პოდიუმი და საინტერესო ბრძოლა ტრასაზე. როცა **პედროსა** საავადმყოფოში იწვა, ანდრეამ კარგად გაართვა თავი პირველი ნომრის სტატუსს. ამან გააჩინა კითხვა - რა შედეგს მიაღწევდა დოვიციოზო, გუნდში მეორე ნომრის სტატუსი რომ არ ჰქონოდა.

თუმცა ამ კითხვაზე პასუხს ვერ გავიგებთ, რადგან ახალ სეზონს დოვიციოზო მესამე (!) პილოტის რანგში იწყებს. გუნდის მთავარი ვარსკვლავები დანი პედროსა და კეისი სტოუნერი იქნებიან - გასარკვევი ისაა, მათ შორის რომელია მთავარი.

პედროსამ ძალიან მოუმატა გასულ სეზონებში. მას შეეძლო შარშან ჩემპიონობისთვის ებრძოლა, მაგრამ სეზონის შუაში რამდენიმე შეცდომამ ლორენსოსთან ბრძოლის შანსიც მოუსპო და ფსიქოლოგიურადაც უარყოფითად იმოქმედა. სეზონის ბოლოს მან ტრავმის გამო რამდენიმე რბოლა გამოტოვა და დაბრუნების შემდეგ განსაკუთრებული არაფერი უჩვენებია.

კეისი სტოუნერი „ჰონდაში" საჩემპიონოდ მივიდა - ეს ცალსახაა. უფრო მეტიც, ის უკვე დღეს ახალ სეზონში ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად მოიაზრება. სწორედ სტოუნერი იყო ტესტებზე ყველაზე სწრაფი და მისი ფავორიტის სტატუსიც აქედან გამომდინარეობს.

ასე რომ, მომავალი ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა სტოუნერისა და პედროსას დუელი იქნება. ჯერჯერობით აშკარა უპირატესობა კეისის მხარესაა, მაგრამ სეზონის მსვლელობისას ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს.

## ტიტულის დაცვა

მოქმედმა ჩემპიონმა **ხორხე ლორენსომ** გასულ წელს მოტოგრანპრის ბევრი რეკორდი დაამყარა. ესპანელის გენიალურობის მიუხედავად, მის ჩემპიონობას ბევრი სრულფასოვანს ვერ უწოდებს. ლორენსო ყოველ ჯერზე იდეალურ „ინდივიდუალურ" რბოლას ატარებდა, მაგრამ ხორხეს ძალიან დაეხმარა როსის ტრავმა, სტოუნერის ცუდი სტარტი და პედროსას უიღბლობა. ამან მის ტრიუმფს გარკვეული დაღი დაასვა.

ახლა ლორენსოს ბევრი რამის დამტკიცება მოუწევს. მეტოქეები მასზე „გაბრაზებულები" არიან, რადგან ძალიან ბევრი წააგეს შარშან. ასეთ სიტუაციაში ლორენსოს გაუჭირდება, სამაგიეროდ, ჩემპიონატი იქნება უფრო საინტერესო.

ადრე მას შიდაგუნდური დაპირისპირება ჰქონდა როსისთან, ახლა კი ლორენსო „იამაჰას" ერთპიროვნული ლიდერია. მართალია, გარკვეულ ყურადღებას გუნდის მეორე პილოტი **ბენ სპისიც** დაიმსახურებს, მაგრამ ამ ეტაპზე ეს ამერიკელი არ განიხილება ხორხეს კონკურენტად. ამიტომაც, ლორენსოს შიდაგუნდური ბრძოლა აღარ ექნება - ჩვენ უფრო მეტს ვიხილავთ: „ჰონდას" თავისი ლიდერები ჰყავს, „დუკატის" - თავისი. ეს იქნება დიადი საჩემპიონო ბრძოლა, სადაც ნებისმიერი იმსახურებს გამარჯვებას.

## დანარჩენები

საინტერესოდ გამოიყურება სასტარტო ოქმის მეორე ნახევარი. აქ არის რამდენიმე პილოტი, რომელმაც შეიძლება კონკურენცია გაუწიოს ძირითად ჯგუფს. ავიღოთ, მაგალითად, **ტონი ელიასი**. ესპანელი გასულ წელს დაბალი რანგის სერიაში გადავიდა და იქ იოლად მოიგო ტიტული, რაც ადრე არასოდეს მომხდარა. შესაძლოა, სწორედ ეს ტიტული არ ჰყოფნიდა იმისთვის, რომ მოტოგრანპრიში კომფორტულად ეგრძნო თავი. არიან სხვა „საშუალოები": **კოლი ედვარდსი, მარკო სიმონჩელი, ალვარო ბაუტისტა**... ისინი შესამჩნევები იყვნენ გასულ სეზონში და წელსაც შეუძლიათ თავის გამოჩენა.

**ლორის კაპიროსი** ოცდამეორე (!) სეზონს იწყებს. შარშან მან 300-ეტაპიანი ზღვარი გადალახა, მაგრამ მაინც ვერ ისვენებს. მისი გამოცდილება წესით უნდა დაეხმაროს „დუკატის". ან ავიღოთ **ჰიროში აოიამა**. იაპონელმა „ჰონდას" სწრაფი ბოლიდი მიიღო და საინტერესოა, როგორ მოარჯულებს „რკინის ცხენს" დაბალ კლასში ამასწინანდელი ჩემპიონი? ან **კელ კრატჩლოუ**, რომელიც შარშან სუპერბაიკში გამოდიოდა ბრწყინვალედ - გახდება ის ახალი ბენ სპისი?

მოკლედ სეზონის წინ ბევრი კითხვა დაგროვდა. ფაქტია, რომ წინ ძალიან საინტერესო ჩემპიონატი გველოდება. სტარტამდე კი ძალიან ცოტაა დარჩენილი.

### კალენდარი

20 მარტი - კატარი. ლოზაილი
3 აპრილი - ესპანეთი. ხერესი
24 აპრილი - იაპონია. მოტეგი
1 მაისი - პორტუგალია. ეშტორილი
15 მაისი - საფრანგეთი. ლე მანი
5 ივნისი - კატალონია. ბარსელონა
12 ივნისი - ბრიტანეთი. სილვერსტოუნი
25 ივნისი - ჰოლანდია. ასენი
3 ივლისი - იტალია. მუჯელო
17 ივლისი - გერმანია. ზახსენრინგი
24 ივლისი - აშშ. ლაგუნა სეკა
14 აგვისტო - ჩეხეთი. ბრნო
28 აგვისტო - აშშ. ინდიანაპოლისი
4 სექტემბერი - სან მარინო. მიზანო
18 სექტემბერი - არაგონი. მოტორლენდი
17 ოქტომბერი - ავსტრალია. ფილიპ აილენდი
23 ოქტომბერი - მალაიზია. სეპანგი
6 ნოემბერი - ვალენსია. რიკარდო ტორმო

### მონაწილეები

**Yamaha Factory Team**
1. ხორხე ლორენსო
46. ბენ სპისი

**Repsol Honda Team**
4. ანდრეა დოვიციოზო
26. დანი პედროსა
27. კეისი სტოუნერი

**Monster Yamaha Tech3**
5. კოლინ ედვარდსი
35. კელ კრატჩლოუ

**San Carlo Honda Grasini**
7. ჰიროში აოიამა
58. მარკო სიმონჩელი

**Aspar Team (Ducati)**
8. ექტორ ბარბერა

**Pramac Racing Team (Ducati)**
14. რენდი დე პუნიე
65. ლორის კაპიროსი

**Cardion AB Motoracing (Ducati)**
17. კარელ აბრაჰამი

**Rizla Suzuki MotoGP**
19. ალვარო ბაუტისტა

**LCR Honda MotoGP**
24. ტონი ელიასი

**Ducati Team**
46. ვალენტინო როსი
69. ნიკი ჰაიდენი

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩები** | |
| ჩელსი-კოპენჰაგენი | 0:0 (2:0) |
| რეალი-ლიონი | 3:0 (1:1) |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ბოტსვანა-ნამიბია | 1:1 |
| სანდეფიორდი-ლიუნგსკილე | 0:0 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰერტა A-ხემნიცი | 2:0 |
| კილი A-ჰამბურგი A | 0:0 |
| პლაუენი-მოისელვიცი | 0:1 |
| **ბელგიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩები** | |
| გენტი-სტანდარდი | 1:0 |
| ვესტერლო-სერკლი | 0:0 |
| **შოტლანდია** | |
| დანდი იუნ-ჰართსი | 2:0 |
| **I დივიზიონი** | |
| ქუინი-მორტონი | 2:0 |
| **შოტლანდიის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| აბერდინი-სტ. მირენი | 2:1 |
| ინვერნესი-სელტიკი | 1:2 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ლოზანა-ნიონე | 1:1 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| ოლიმპიაკ. (ვ)-ატრომიტოსი | 0:0 (1:2) |
| პაოკ-აეკ | 0:1 (0:0) |
| **კვიპროსის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| ანორთოსისი-აეკ | 1:1 (2:1) |
| ეთნიკოსი-ალკი | 0:2 (3:0) |
| აპოლონი-ოლიმპიაკოსი | 3:2 (1:1) |
| ომონია-არისი | 3:0 |
| **პოლონეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| იაგელონია-ლეჩია | 1:1 (0:0) |
| პოდბესკიძიე-ვისლა | 2:2 (1:0) |
| **სერბეთი** | |
| ინდიაა-ჰაიდუკი | 1:2 |
| **სერბეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩები** | |
| სლობოდა-ვოივოდინა | 1:2 |
| პარტიზანი-ცრ. ზვეზდა | 2:0 |
| **სლოვენია** | |
| პრიმორიე-რუდარი | 0:6 |
| დომჟალე-ტრიგლავი | 3:1 |
| პუბლიკუმი-ოლიმპია | 1:3 |
| კოპერი-გორიცა | 2:2 |
| მარიბორი-ნაფტა | 0:1 |
| **უნგრეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩი** | |
| კაპოშვარი-უიპეშტი | 2:2 (3:2) |
| **მოლდოვა** | |
| კოსტულენი-ისკრა | 0:1 |
| დაჩა-შერიფი | 1:1 |
| სფინტული-აკადემია | 0:2 |
| ნისტრუ-ოლიმპია | 0:3 |
| გაგაუზია-მილსამი | 0:3 |
| ტირასპოლი-ცსკა | 0:0 |
| **ჩერნოგორია** | |
| ბარი-მორნარი | 1:0 |
| დეციჩი-ზეტა | 0:0 |
| ლოვჩენი-პეტროვაცი | 0:0 |
| მლადოსტი-ბუდუჩნოსტი | 0:2 |
| რუდარი-გრბალი | 0:1 |
| სუტიესკა-მოგრენი | 1:4 |
| **ბოსნიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| ჟელეზნიჩარი-შიროკი ბრიეგი | 0:0 |
| **ლიტვის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩები** | |
| კაუნასი-ბანგა | 0:5 |
| შიაულიაი-ეკრანასი | 0:2 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| შანდონგი-სერეზო | 2:0 |
| არემა-ჟეონბუკი | 0:4 |
| ალ სადი-ფახთაქორი | 2:1 |
| ბუნიოდკორი-ალ იტიჰადი | 0:1 |
| პერსპოლისი-ალ ვეჰდა | 1:1 |
| ემირიტი-ალ რაიიანი | 2:0 |
| ალ შაბაბი-ზობ აჰანი | 0:0 |
| სუვონი-შანხაი | 4:0 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ტრირი-ოლდენბურგი | 76:65 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ლოკომოტივი-დინამო (რ) | 5:4 (ო) |
| სკა-ატლანტი | 1:3 |
| **გერმანია** | |
| მანჰაიმი-ნიურნბერგი | 3:2 |
| მიუნხენი-კიოლნი | 3:4 (ო) |
| **ნორვეგია** | |
| სპარტა-ლილეჰამერი | 3:1 |
| სტავანგერი-ლორენსკოგი | 2:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| პოპრადი-ბისტრიცა | 1:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-სლავია | 3:4 (ო) |
| **შვედეთი** | |
| ლულეო-იურგორდენი | 0:2 |
| ფერიესტადი-ბრიუნესი | 4:3 |
| შელეფტეო-ლინჩოპინგი | 3:1 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ინდიან უელსი** | |
| დელ პოტრო-კოლშრაიბერი | 7:6, 7:6 |
| კუერი-რობრედო | 1:6, 3:6 |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| ივანოვიჩი-ბარტოლი | 4:6, 6:7 |

## TV პროგრამა

### 17 მარტი. ხუთშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-დორტმუნდი.
12:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ვალანსიენი.
14:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ვალენსია.
16:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:00 იტალიის ჩემპიონატი. რომა-ლაციო
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-მონპელიე.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბარსელონა.
00:00 არგენტინის ჩემპიონატი. რივერი-ველესი.

**GMG-სპორტი**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ოკლაჰომა.
13:45 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. მიმოხილვა.
14:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
20:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-შოტლანდია.
21:45 რაგბი. ექვსი ერის თასი. მიმოხილვა.
22:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ოკლაჰომა.
23:40 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მიმოხილვა. ინდიან უელსი. აშშ.
23:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

21:45 ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ტვენტე-ზენიტი (LIVE).
23:55 ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვილიარეალი-ლევერკუზენი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

12:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სუპერგიგანტი. ლენცერჰაიდე. შვეიცარია (LIVE).
14:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სუპერგიგანტი. ლენცერჰაიდე. შვეიცარია (LIVE).
21:45 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ სიტი-დინამო (კ) (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ბრაგა (LIVE).
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-კოლორადო (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

22:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
00:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
02:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
06:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).

**SPORT+**

21:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. სპარტაკი-აიაქსი (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. პორტუ-ცსკა (LIVE).

**EUROSPORT**

12:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. კაცები. სუპერგიგანტი. ლენცერჰაიდე. შვეიცარია (LIVE).
14:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. კაცები. ჰოლმელკოლენი. ნორვეგია (LIVE).
15:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. სუპერგიგანტი. ლენცერჰაიდე. შვეიცარია (LIVE).
17:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. სპრინტი. ქალები. ჰოლმელკოლენი. ნორვეგია (LIVE).
18:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS215. პლანიცა. სლოვენია (LIVE).
19:30 სნუკერი. Players Tour Championship. ფინალი. II დღე. ინგლისი (LIVE).
22:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
23:45 სნუკერი. Players Tour Championship. ფინალი. II დღე. ინგლისი (LIVE).

**EUROSPORT-2**

14:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS215. კვალიფიკაცია. პლანიცა. სლოვენია (LIVE).
16:00 ფეხბურთი. ქალები. ამხანაგური მატჩი. ქალები (LIVE).
18:00 სნუკერი. Players Tour Championship. ფინალი. II დღე. ინგლისი (LIVE).
02:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი




კიმ კლაისტერსი

# დერბების დღე

ინდიანუელსის ტურნირების მორიგ სათამაშო დღეს ქალებს შორის გაცილებით საინტერესო ბრძოლები გაიმართა. კაცებმა მესამე წრე დაასრულეს და გუშინ იქ თითქმის ყველა შეხვედრა ორ სეტში დასრულდა, ამიტომაც მიმოხილვა ქალების მატჩებით დავიწყოთ.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის, ბელგიელი **კიმ კლაისტერსის** გამოვარდნა. მსოფლიოს მეორე ჩოგნის მარცხის მიზეზი მისი თამაში არ ყოფილა, უბრალოდ ფრანგ **მარიონ ბარტოლის** წინააღმდეგ ბელგიელს მხარი ასტკივდა და მეორე სეტის მსვლელობისას ყველასთვის მოულოდნელად შეწყვიტა ბრძოლა. იმ მომენტისთვის კიმს პირველი სეტი 6:3 ჰქონდა მოგებული, მეორეში კი 1:3-ს აგებდა. მატჩის შემდეგ კლაისტერსმა განაცხადა, რომ პირველად იგრძნო ტკივილი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალის შემდეგ და გადაწყვიტა ზედმეტ რისკს მორიდებოდა. აღსანიშნავია, რომ ბარტოლის აქამდე სამიდან სამი მარცხი ჰქონდა ბელგიელის წინააღმდეგ.

ახლა კი გადავიდეთ იმ შეხვედრებზე, რომლებშიც მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნები არკვევდნენ ურთიერთობას. ერთი იყო რუსული დერბი **მარია შარაპოვასა** და **დინარა საფინას** შორის. ამ ჩოგბურთელებს არ აქვთ ურთიერთშეხვედრათა მდიდარი ტრადიცია - აქამდე ისინი ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ანგარიში თანაბარი იყო - 3:3.

დღეისთვის მარია და დინარა რეიტინგში განსხვავებულ პოზიციებზე იმყოფებიან - შარაპოვა ოცეულში შედის, საფინა კი ორშაბათიდან დაბრუნდება პირველ ასეულში. მიუხედავად ამისა, მაყურებელს მაინც ბრძოლის იმედი ჰქონდა, რადგან საფინამ წინა წრეებში ის ჩოგბურთი აჩვენა, რომელსაც მისი გულშემატკივარი აგერ უკვე ორი წელია ელოდება.

მაგრამ შეხვედრა ჩოგბურთელთა რეიტინგის შესაბამისი აღმოჩნდა. შარაპოვამ თავიდანვე მოიპოვა ინიციატივა და თავის სტილში შეუტია. საფინა ამისთვის მზად არ აღმოჩნდა და მაშინვე წააგო თავისი მოწოდება. დინარას სუსტი მოწოდება ჰქონდა და ამით უადვილებდა საქმეს მეტოქეს, თანაც ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა. ყველაფერმა ამან კი ის გამოიწვია, რომ მარიამ 61 წუთში გაანადგურა თანამემამულე - 6:2, 6:0. შარაპოვა შემდეგ წრეში ჩინელ **შუაი პენგს** შეხვდება, რომელიც ერთადერთი განუთესავი ჩოგბურთელია მეოთხედფინალში. აზიელმა რუსი **ნადია პეტროვა** გამოთიშა ბრძოლას.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგნებმა შეადგინეს კიდევ ერთი წყვილი. ეს იყო სერბული დერბი **ელენა იანკოვიჩსა** და **ანა ივანოვიჩს** შორის. იანკოვიჩი აქ ტიტულს იცავდა, თანაც ბოლო ორი მატჩი მოგებული ჰქონდა თანამემამულისთვის, მაგრამ ივანოვიჩმა, რომელიც საფინას მსგავსად ცდილობს ღრმა კრიზისიდან გამოსვლას, ძალიან კარგი თამაში აჩვენა და ორ სეტში გაიმარჯვა - 6:4, 6:2. ახლა ანას მეოთხედფინალში უკვე ნახსენებ ბარტოლისთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა.

რაც შეეხება მსოფლიოს ამჟამინდელ პირველ ჩოგანს **კაროლინ ვოზნიაცკის,** მან რუს **ალისა კლეიბანოვასთან** მატჩამდე იცოდა, რომ აღარ ემუქრებოდა რეიტინგში პირველი პოზიციის დაკარგვა, რადგან კლაისტერსმა დათმო მატჩი ბარტოლისთან. დანიელმა გუშინდელ მატჩში წააგო ამ ტურნირზე პირველი სეტი. ეს საწყის პარტიაში მოხდა, როცა ვოზნიაცკიმ ვერ დაალაგა თამაში და ვერაფერი მოუხერხა რუსის აგრესიულ სტილს. მაგრამ მეორე პარტიიდან მოყოლებული, როგორც კი კაროლინმა შეცდომებს უკლო, კორტზე სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა და მომდევნო ორ სეტში კლეიბანოვამ მხოლოდ ოთხი გეიმი აიღო - 2:6, 6:3, 6:1.

ერთბაშად ორ შეხვედრაში გამარჯვებულის ბედი მესამე სეტის ტაი-ბრეიკზე გაირკვა. **შაარ პეერმა** როლან გაროსის ჩემპიონ **ფრანჩესკა სკიავონეს** აჯობა და ახლა **იანინა ვიკმაიერს** შეხვდება, **ვიქტორია აზარენკამ** კი ოთხი მატჩბოლი მოიგერია (თანაც სამმაგი მეტოქის მოწოდებაზე) და სამსაათიან მარათონში დაამარცხა **აგნიეშკა რადვანსკა.**

■ ■ ■

როგორც გითხარით, მამაკაცები მესამე წრეს ასრულებდნენ და მხოლოდ ერთ მატჩში გათამაშდა სამი პარტია. ძალიან იოლად მოიგო ზედიზედ მე-16 მატჩი **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**. ამ შეხვედრაზე არც გავამახვილებდით ყურადღებას, რომ არა **ერნესტ გულბისის** უცნაური სტატისტიკა - ლატვიელს მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ერთი „ვინერსი" (აქტიური მოქმედების მოპოვებული ქულა) ჰქონდა, ამასთან 28 უნებლიე შეცდომა დაუშვა. ასევე ერთი ნაბიჯით წავიდნენ წინ **როჯერ ფედერერი, ტომაშ ბერდიხი, ენდი როდიკი** და სხვა განთესილები.

გამონაკლისი იყო ორი განუთესავი მოთამაშის ბრძოლა. **რაიან ჰარისონი** და **მილოშ რაონიჩი** ტურნირზე უაილდქარდებით მოხვდნენ. კანადელი აშკარა ფავორიტი იყო - მან ამას წინ კარიერაში პირველი ტიტული მოიგო და დიდი პროგრესი განიცადა, მაგრამ ახალგაზრდა ამერიკელმა გასაღები მოუნახა კანადელის თამაშს და სამ პარტიაში მოიპოვა გამარჯვება. ახლა ჰარისონს როჯერ ფედერერთან ელის შეხვედრა.

**ATP**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 645 000 დოლარი

**1/16 ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ერნესტ გულბისი (ლატ, 31) 6:0, 6:1; **რაიან ჰარისონი (აშშ)**-მილოშ რაონიჩი (კან) 7:6, 4:6, 6:4; **ენდი როდიკი (აშშ, 8)**-ჯონ ისნერი (აშშ, 30) 7:5, 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 29) 6:0, 6:2; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-ტომას ბელუჩი (ბრა, 26) 6:3, 6:2; **რიშარ გასკე (საფ, 18)**-იურგენ მელცერი (ავსტრია, 10) 6:1, 6:3; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 12)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 17) 7:5, 6:3; **ვიქტორ ტროიცკი (სერ, 16)**-მიკაელ ლოდრა (საფ, 24) 6:3, 6:3.

**1/8 ფინალი**

ნადალი (1)-დევარმანი; მონტანიესი (23)-კარლოვიჩი; როდიკი (8)-გასკე (18); ტროიცკი (13)-ჯოკოვიჩი (3); კოლშრაიბერი (32)-დელ პოტრო; კუერი (21)-რობრედო (25); ბერდიხი (7)-ვავრინკა (12); ჰარისონი-ფედერერი (2).

**WTA**

**BNP Paribas Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-ალისა კლეიბანოვა (რუს, 22) 2:6, 6:3, 6:1; **მარიონ ბარტოლი (საფ, 15)**-კიმ კლაისტერსი (ბელ, 2) 3:6, 3:1 კლაისტერსის უარი; **შაარ პეერი (ისრ, 10)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 5) 6:4, 3:6, 7:6(3); **ანა ივანოვიჩი (სერ, 19)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 6) 6:4, 6:2; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 9) 4:6, 6:3, 7:6(3); **მარია შარაპოვა (რუს, 16)**-დინარა საფინა (რუს) 6:2, 6:0; **შუაი პენგი (ჩინ)**-ნადია პეტროვა (რუს, 18) 6:4, 5:7, 6:3; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 23)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 25) 7:5, 7:5.

**1/4 ფინალი**

ვოზნიაცკი (1)-აზარენკა (8); პეერი (10)-ვიკმაიერი (23); შარაპოვა (16)-შუაი პენგი; ივანოვიჩი (19)-ბარტოლი (15).

ოლიმპიზმი. ლონდონი 2012

# როგორ დავესწროთ ოლიმპიადას?

ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის დაწყებამდე 500 დღეა დარჩენილი და ზაფხულის თამაშებზე დასწრების ნებისმიერ მსურველს ამ კვირიდან შეეძლება ბილეთების შეძენა.

ეს პროცედურა საკმაოდ მარტივია: ექვსი კვირის განმავლობაში - 15 მარტიდან 26 აპრილამდე - შეგიძლიათ შეხვიდეთ ვებგვერდ tickets.london2012.com-ზე და დატოვოთ იქ თქვენთვის საინტერესო ბილეთზე განაცხადი.

ბილეთების შეძენის ეს ფორმა ვრცელდება ევროპის კავშირისა და შვეიცარიის მოსახლეობაზე. ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის ბილეთის შეკვეთა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მეშვეობით იქნება შესაძლებელი.

აჩქარება საჭირო არ არის - მნიშვნელობა არ აქვს ამ ექვსკვირიან პერიოდში რომელ დღეს გაკეთდება განაცხადი. 26 აპრილის შემდეგ ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი ყველა განაცხადს შეკრებს, დაითვლის და ყველაზე მოთხოვნად ბილეთებზე ერთგვარ ლატარიას ჩაატარებს.

■ ■ ■

ბილეთები ოლიმპიადაზე სხვადასხვა ღირებულებისაა და ფასებს შორის სხვაობა საკმარისად დიდია. მაგალითად, მძლეოსნობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ დისციპლინაზე - მამაკაცთა 100 მეტრზე გარბენის ფინალზე დასწრება 725 ფუნტი (1160 დოლარი) ეღირება, ხოლო გახსნის ცერემონიაზე საუკეთესო ბილეთების ფასი 2012 ფუნტი იქნება.

ამასთან, ბევრ სახეობაში საწყისი ეტაპების ცოცხლად ხილვა სულ რაღაც 20 ფუნტად იქნება შესაძლებელი.

ლონდონის ოლიმპიადაზე სპორტის 39 სახეობაში 649 სტარტია დანიშნული. სულ გასაღდება 8.8 მილიონი ბილეთი. აქედან 75 პროცენტი ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით გაიყიდება, 25 პროცენტს დაურიგებენ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს, სპონსორებსა და ექსკლუზიური უფლებების მქონე კომპანიებს.

საორგანიზაციო კომიტეტში ირწმუნებიან, რომ ბილეთების 90 პროცენტის ფასი 100 ფუნტზე დაბალია, ორი მესამედი - 50 ფუნტზე ნაკლები და 25 პროცენტი - 25 ფუნტზე ნაკლები.

აღსანიშნავია, რომ 16 წლამდე ასაკის ბავშვებს ბილეთები მათი ასაკის მიხედვით ერგებათ, ანუ შვიდი წლის ბავშვს ბილეთი 7 ფუნტი დაუჯდება და ასე შემდეგ. გარკვეული ფასდაკლებებია პენსიონერებისთვის.

მარათონისა და საგზატკეცილო ველორბოლის ხილვა ქუჩებში უფასოდ იქნება შესაძლებელი - ამ შეჯიბრებებში ბილეთები მხოლოდ საფინიშო ეტაპზე გაიყიდება.

გადამყიდველებთან საბრძოლველად საორგანიზაციო კომიტეტმა ერთი ადამიანისთვის ბილეთების მიყიდვაზე რაოდენობის ლიმიტი დააწესა - ვებგვერდზე ზუსტად არის მითითებული მათი მაქსიმალური რიცხვი.

ამავე ვებგვერდზე სპორტის ყველა სახეობა დღეების მიხედვით არის გაწერილი: მითითებულის სტარტის ზუსტი დრო, ადგილი და თითოეულ სპორტულ სესიაზე დასწრების ფასი.

**როგორ შეიძლება გადახდა?** აქ პირველ პლანზე გამოდის ლონდონის ოლიმპიადის ოფიციალური სპონსორი - კომპანია Visa. ბილეთების შეძენა მხოლოდ ამ საგადასახადო სისტემით იქნება შესაძლებელი. მნიშვნელობა არ აქვს იმას, რა ბარათი გაქვთ - საკრედიტო თუ საბედეტო.




**როგორ შეიძლება ბილეთების არჩევა?** მნიშვნელობა არ აქვს, როდის მისცემთ განაცხადს ბილეთებზე - ეს ნებისმიერ მომენტში იქნება შესაძლებელი 2011 წლის 15 მარტიდან 26 აპრილამდე.

უბრალო გულშემატკივარმა აქცენტი უნდა გააკეთოს იმ სესიებზე, სადაც მედალი არ თამაშდება - აქ მოხვედრის უფრო მეტი შანსი იქნება.

შეიძლება აქცენტი გაკეთდეს სპორტის გუნდურ სახეობებზე: ფრენბურთი, ხელბურთი, წყალბურთი, კალათბურთი, განსაკუთრებით ჯგუფურ ეტაპებზე, სადაც ბილეთებზე დიდი მოთხოვნა არ იქნება. გამონაკლისია ფეხბურთი ან პლაჟის ფრენბურთი.

შედარებით იოლი იქნება ბრიტანეთში ნაკლებად პოპულარულ სახეობებზე - ჭიდაობაზე, ძალოსნობაზე, ფარიკაობაზე, კრივზე, ტყვიის სროლაზე მოხვედრა. ამ მხრივ პრობლემატური უნდა იყოს ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა, ცურვა, ცხენოსნობა და ტანვარჯიში, რომლებშიც ბრიტანელები მედლებს ელიან.

გულშემატკივარმა აუცილებლად უნდა იქონიოს Visa ბარათი: ოლიმპიური პარკის ტერიტორიაზე და ყველა ოლიმპიურ ობიექტზე ამ სისტემის მიხედვით იქნება შესაძლებელი გადახდა.

ისინი, ვინც განაცხადებს შეიტანენ, 2011 წლის 24 ივნისამდე შეიტყობენ, რა სახის ბილეთების მფლობელები გახდნენ. ამასთან, თანხა ბარათიდან მოიხსნება 10 მაისიდან 10 ივნისის პერიოდში, ანუ რაღაც მომენტში ბარათიდან ჩამოიჭრება თანხის გარკვეული ოდენობა, მაგრამ ზუსტად რა ბილეთის მფლობელი გახდა გულშემატკივარი, ამას მხოლოდ რამდენიმე კვირის შემდეგ გაიგებს.

თუ თქვენ მიიღებთ ბილეთს რაიმე ტურნირზე, მაგრამ მოგვიანებით გაარკვევთ, რომ არ შეგიძლიათ მასზე დასწრება, საორგანიზაციო კომიტეტი თავად დაგარიგებთ, როგორ შეიძლება მისი დაბრუნება. მოგვიანებით მას თავიდან გაყიდიან. თუმცა ეს სერვისი მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ ამოქმედდება.

**გაიმართება თუ არა შეჯიბრებები ლონდონის ფარგლებს გარეთ?** საფეხბურთო ტურნირი მთელი ბრიტანეთის ტერიტორიაზე იქნება მოდებული: ლონდონის გარდა მატჩები გაიმართება ქოვენტრიში, გლაზგოში, კარდიფში, მანჩესტერსა და ნიუკასლში.

აფროსნობაში შეჯიბრება დორსეტის საგრაფოში - უეიმუტსა და პორტლენდში ჩატარდება, სამთო ველომრბოლები და კანოისტები - ესექსში გამოვლენ, ნიჩბოსნები - ბუკინგემშირში.

**როგორ შეიძენენ ბილეთებს ბრიტანეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრები გულშემატკივრები?** ეს დამოკიდებულია ქვეყანაზე, რომელშიც ცხოვრობთ. რამდენიმე ევროპული ქვეყნის მოქალაქეს უფლება აქვს დარეგისტრირდეს ლონდონის ოლიმპიადის ვებგვერდზე, სხვა ქვეყნის მცხოვრებებს კი მოუწევთ თავიანთ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებთან ან ავტორიზებულ ოფიციალურ გამყიდველებთან დაკავშირება.

## გაფუჭებული საათი

ოლიმპიადის დაწყებამდე 500 დღით ადრე ლონდონში ტრაფალგარის მოედანზე დაამონტაჟეს უზარმაზარი საათი, რომელმაც თამაშებამდე დარჩენილი დროის უკუღმა ათვლა დაიწყო. საორგანიზაციო კომიტეტმა ამასთან დაკავშირებით ოფიციალური ცერემონიაც გამართა, მაგრამ მიღებული შთაბეჭდილება ძალიან მალე გაუფერულდა - საქმე ისაა, რომ რამდენიმე საათში საათი გაჩერდა...

ექვსმეტრიანი და თითქმის ხუთტონიანი საათი ფირმა „ომეგას" მიერ არის დამზადებული. ეს კომპანია ოლიმპიური თამაშების ოფიციალური სპონსორია.

*„ბუნებრივია, ძალიან განაწყენებულები ვართ იმის გამო, რომ საათის მუშაობაში ტექნიკური შეფერხებები გაჩნდა, - ამბობს „ომეგას" წარმომადგენელი. - ახლა ვცდილობთ ყველაფრის გამოსწორებას".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

